სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ირმა აბესაძე

ერთაშორისი ურთიერთობანი და დემოგრაფიული ვითარება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1946-1965 წლებში

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ისტორიის დოქტორი, პროფესორი უჩა ბლუაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **თინა იველაშვილი**

ახალციხე

2025

განაცხადი

მე, ირმა აბესაძე, ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა

თარიღი 10.02.2025

ანოტაცია

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ,,ერთაშორისი ურთიერთობანი და დემოგრაფიული ვითარება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1946-1965 წლებში“ მიზანს წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მულტიეთნიკური რეგიონის, სამცხე-ჯავახეთის, დემოგრაფიული და მიგრაციული ცვლილებების ანალიზი 1946-1965 წლებში. ნაშრომში შესწავლილია ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მდგომარეობა, მათ შორის არსებული ურთიერთობების დინამიკა, ასევე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განხორციელებული ეროვნული და რელიგიური პოლიტიკის რეალიზება ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე და იმ შედეგების კვლევა, რომლებიც ამ პოლიტიკის გატარებას მოჰყვა.

სამეცნიერო კვლევა ეფუძნება ისტორიის კვლევის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს, მათ შორის სტატისტიკურ ანალიზს, მონაცემების შეგროვებას, ისტორიულ-შედარებით მეთოდს და ა.შ.

სამეცნიერო კვლევის დროს გამოვლენილი ფაქტების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული შედეგები და მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია რეგიონის ისტორიის შესწავლის კუთხით, ასევე, ზოგადად, საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების გასაცნობად, საბჭოთა ეპოქის დროს არსებული ეთნიკური და რელიგიური პოლიტიკის შეფასებისთვის. საარქივო დოკუმენტების დიდი ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისგან. შესავალში მოცემულია შესასწავლი საკითხის ზოგადი დახასიათება, თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია, ასევე ჩამოყალიბებულია შედეგები და მოცემულია კვლევის დროს გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა.

პირველი თავი ეთმობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ისტორიული საზღვრებისა და ეტიმოლოგიის აღწერას, ასევე მოცემულია მხარის ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების მოკლე მიმოხილვა სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის ჩათვლით.

მეორე თავში განხილულია სამცხე-ჯავახეთის, როგორც მულტიეთნიკური რეგიონის ჩამოყალიბების პრობლემა, ასევე წარმოდგენილია მოსახლეობის რაოდენობის, ეროვნული შემადგენლობისა და მიგრაციული პროცესების ანალიზი XIX-XX სს-ში 1944 წლის ჩათვლით.

მესამე და მეოთხე თავები ეძღვნება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში XX ს-ის 40-60 -იანი წლებში მიმდინარე მიგრაციული პროცესებისა და დემოგრაფიული ვითარების აღწერას. განხილულია აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული და რელიგიური პოლიტიკის შედეგები რეგიონულ დონეზე და მოცემულია ეროვნებათშორისი ურთიერთობების ძირითადი მახასიათებლების ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნა წარმოადგენს ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შეჯამებას, რომელიც მოცემულია თეზისების სახით.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული საარქივო მასალების, სამეცნიერო ლიტერატურისა და ელექტრონული რესურსების ვრცელი სია.

Abstract

Demographics and relations between ethnicities of Samtskhe-Javakheti region 1946-1965

Abesadze I.

The following paper aims to gain deeper understanding of demographic characteristics of Georgia's one of the most ethnically diverse regions, Samtskhe-Javakheti. Secondly, Soviet Unions various policies deeply affected relations between the different ethnicities, therefore it is imperative to analyze their influence on local governmental level. Research uses traditional as well as modern methodology, including statistical analysis, qualitative research and historical-comparative methods.

Research findings and conclusions are important and give us insight into the region's history, its demographics and migration process and help us evaluate ethnic and religious policies of the soviet era. Many documents used during the research are introduced into scientific papers for the first time.

The research consists of an introduction, four main chapters and a conclusion. Introduction provides a general description of the main topic, relevancy of the subject, main research objectives, methodology used and the expected results.

The first chapter describes the historical boundaries of the Samtskhe-Javakheti region and the region's etymology. The chapter also provides brief political and historical information during the Ottoman rule.

The second chapter examines the issues that might occur during the development of multiethnic region. The chapter also analyzes population size, ethnic composition and migration processes during the 19th and 20th centuries up to 1944.

The third and fourth chapters are dedicated to describing migration processes and the demographic situation in the region during the 1940s–1960s. These chapters also analyze the

results of Soviet national and religious policies at the regional level and highlight the key features of interethnic relations.

The Conclusion of the dissertation summarizes the conducted research as it was presented in the thesis. The work is supplemented with an extensive list of archival materials and scientific literature that were used during the research.

შინაარსი

ანოტაცია 3
შესავალი 8
სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება 8
თემის აქტუალობა 15
კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები 16
კვლევის საგანი და მეთოდოლოგია 18
კვლევის შედეგები 19
საკითხის წინაისტორია, ლიტერატურის მიმოხილვა, საკვლევი პრობლემის შესწავლის მდგომარეობა 22
თავი 1. ისტორიული მიმოხილვა 32
1.1. ისტორიული საზღვრები და ეტიმოლოგია 32
1.2. მესხები, მათი განსახლება, წყაროები 35
1.3. ისტორიულ-პოლიტიკური განვითარება 38
1.4. ოსმალთა ბატონობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში 41
თავი 2. სამცხე-ჯავახეთი - მრავალეთნიკური რეგიონი 45
2.1. მოსახლეობა 45
2.2. მიგრაციული პროცესები XVI საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე 51
2.3. მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1900-1944 წწ. 61
2.4. მაჰმადიანი მესხები 68
თავი 3. მიგრაციული პროცესები და დემოგრაფიული ვითარება 78
3.1. ეთნიკურ-დემოგრაფიული სურათი 1946-65 წლებში საქართველოში 78
3.2. ეთნიკურ-დემოგრაფიული სურათი 1946-55 წწ. სამცხე-ჯავახეთში 85
3.3. მიგრაციული პროცესები 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იან წლებში 98
თავი 4. ეთნოპოლიტიკური ურთიერთობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 107
4.1. ერთაშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში 107
4.2 საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა 110
4.3. ეროვნული პოლიტიკა და ერთაშორისი ურთიერთობანი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1946-1965 წლებში 116
4.4. რელიგიური თემები 134
დასკვნა 149
გამოყენებული ლიტერატურა 153

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ქართველურ ტომთა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ნაკადი - მუშქები, იგივე მესხები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. მათი განსახლების არეალს, ძირითადად, მტკვრის სათავეებსა და ჭოროხის აუზში მდებარე ტერიტორიას - მესხეთი ეწოდება. ზოგჯერ მას ზემო ქართლადაც მოიხსენიებენ. ფეოდალური მესხეთი მოიცავდა სამცხის, ჯავახეთის, კოლა-არტაანის, შავშეთის, კლარჯეთის, ერუშეთის, აჭარის, იმერხევის, ტაოს და სპერის პროვინციებს.

მესხეთის მკვიდრი - მესხი ქართული ეთნოსის ერთ-ერთი მთავარი წევრია. მის ქართველობას ენობრივი, ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიულ-გეოგრაფიული თუ მრავალი სხვა ფაქტორი ადასტურებს.

მესხეთის განუყოფელი ნაწილი სამცხე-ჯავახეთი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. მესხეთის სხვა ოლქებთან ერთად სამცხე-ჯავახეთი აქტიურად მონაწილეობდა ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, იყო ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის თანამონაწილე.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ანტიკურ პერიოდსა და ადრეულ შუა საუკუნეებში მჭიდროდ დასახლებულ და ხალხმრავალ მხარედ მოჩანს, რომლის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ ებრაელები, ბერძნები, სომხები. რაც შეეხება, სამხრეთ საქართველოს მოსაზღვრე პროვინციებს (ანი, ყარსი, ვლაშკერტი, არზრუმი), ეს იყო ერთგვარი ,,შერეული ზონა", სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდა ქართული და სომხურენოვანი მოსახლეობა.

XVI საუკუნის მიწურულს ოსმალეთის იმპერიამ რეგიონი, რომელიც იმ პერიოდისათვის სამცხე-საათაბაგოს სახელით დამოუკიდებელ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ხანგრძლივი დროით მოაქცია თავის საზღვრებში. დაიწყო

ადგილობრივი მოსახლეობის ისლამიზაციის მძიმე პროცესი. პირველ რიგში, დაკავებულ ტერიტორიებზე შემოიღეს თურქული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა. ასევე, ქართული მოსახლეობის გამუსლიმების მიზნით, დაამკვიდრეს მიწათმფლობელობის ოსმალური წესი. რელიგიის იძულებით მიღებას თან სდევდა ქართული ენის შეცვლა თურქული ენით.

რელიგიური, სოციალური თუ პოლიტიკური ზეწოლის მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთში ქართველები მოსახლეობის აბსოლიტურ უმრავლესობას შეადგენდნენ. XVIII საუკუნის ბოლოსთვის სამცხე-ჯავახეთი ჯერ კიდევ წმინდა ქართულ ეთნიკურ მხარეს წარმოადგენდა.

მძიმე გამოდგა რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდი, როდესაც ხელოვნური და უხეში ჩარევით თვისობრივად შეიცვალა მოსახლეობის, მათ შორის, ეროვნული შემადგენლობის ზოგადი მაჩვენებლები. მეფის რუსეთის მიერ განხორციელებული ძალდატანებითი გადასახლებები თუ ჩასახლებები მთლიანად ქართული ეროვნული ინტერესების შელახვის ხარჯზე მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, კვლავაც მაღალი რჩებოდა ქართველთა ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

რუსეთის იმპერია მისთვის სასურველი დემოგრაფიული სურათის მისაღებად ყველანაირ ხერხს მიმართავდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატა მაჰმადიანი ქართველებისთვის ეროვნების შეცვლაში და რელიგიური კუთვნილების გამო ,,თათრებად" ან ,,თურქებად" გამოცხადებაში. მაგ., XIX საუკუნის ბოლოს (1880 წლისთვის), სტატისტიკური მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთში ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები და ე.წ. ,,თათრები" (22 499 ქართველი, 49 590 სომეხი, 16 400 ,,თათარი"). ,,თათრების" დიდი ნაწილი ენითა და წარმომავლობით ქართველი იყო, მაგრამ მაჰმადიანობის გამო აღრიცხავდნენ ,,თათრებად."[1]

იმპერიული ხელისუფლება აგრეთვე ცდილობდა, ხელი შეეშალა მკვიდრი ქართული მოსახლეობის, განსაკუთრებით მართლმადიდებელი ქართველების, რეგიონში დასახლება-მომრავლებისთვის, ხელს უწყობდა მაჰმადიანი ქართველების გასახლების

[1] ამ შემთხვევაში, ,,თათარი'' არა ეთნიკურობის, არამედ სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინია.

პროცესს, ქართველებისაგან დაცლილ სოფლებში კი მასიურად ასახლებდა სხვადასხვა ეროვნების (სომხური, ბერძნული) მოსახლეობას. ეროვნებას უცვლიდნენ იმ ქართველებსაც, ვინც კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი იყო, მათ სომხებად წერდნენ.

ამდენად, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მაჩვენებელი რაიმე სერიოზული მიგრაციული პროცესის გარეშეც ქართველების საწინააღმდეგოდ იცვლებოდა. ***მცირდებოდა არა ქართველების რაოდენობა, არამედ სტატისტიკა იცვლებოდა ქართველთა საწინააღმდეგოდ.*** მიუხედავად ამისა, ქართული ელემენტი მაინც დომინირებდა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, განსაკუთრებით სამცხეში.

ანტიქართული პოლიტიკა ,,წარმატებით" გაგრძელდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. მუსლიმი ქართველები ამჯერად აზერბაიჯანელებად, ხოლო შემდეგ თურქებად გამოაცხადეს. ამ გზით კიდევ ერთხელ ხელოვნურად შეიცვალა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ეთნო-დემოგრაფიული სურათი. ეთნიკურად ქართულ რეგიონში ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. მაგ., 1926 წლის აღწერის დროს მრავალი ეროვნებით ქართველი თურქად ჩაწერეს მაჰმადიანობის გამო. აღწერის შედეგად სამცხეში აღირიცხა 24 ათასი ქართველი, 15 ათასი სომეხი და 50 ათასი თურქი.

ხანგრძლივი მიგრაციული ცვლილებების პროცესში მნიშვნელოვანი ეტაპია XX საუკუნის შუა ხანები. 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან მუსლიმი მოსახლეობის (ძირითადად ეთნიკური ქართველების) იძულებითი მასობრივი დეპორტაცია განხორციელდა შუა აზიასა და ყაზახეთში. საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან მაჰმადიანთა გასახლების აქცია მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პირობებში ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლების სამხედრო-სტრატეგიულ და პოლიტიკურ ამოცანებს. ერთის მხრივ, ეს იყო მოსახლეობის დასჯა ომის დროს თურქეთთან თანამშრომლობის საბაბით; ამავე დროს, აქციის უმთავრესი მიზანს წარმოადგენდა თურქეთის მიერ 1918-1921 წლებში მიტაცებული ქართულ-სომხური ტერიტორიების ნებით თუ ძალით დაბრუნების განზრახვა. გეგმის განხორციელების შემთხვევაში

საქართველოს შემოუერთდებოდა მაჰმადიანი მოსახლეობით დასახლებული ვრცელი ტერიტორია, რომელიც სამცხე-ჯავახეთის მუსლიმ მოსახლეობასთან ერთად შექმნიდა უზარმაზარ მაჰმადიანური სივრცეს. ეს კი გამოიწვევდა სერიოზულ კონფესიურ და პოლიტიკურ პრობლემებს პატარა ქრისტიანული ქვეყნისთვის. სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობის მასობრივი გასახლება და მათ ადგილზე ქრისტიანთა დასახლება მიზნად ისახავდა ამგვარი გართულებების პრევენციას. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ,,არასაიმედო" ნაწილის მიმართ რეპრესიების ტალღა შემდგომ წლებშიც (40-იანი წლების ბოლო და 50-იანი წლების დასაწყისი) გრძელდებოდა.

1944 წელს მუსლიმი ქართველების მასობრივი გასახლების შემდეგ რეგიონის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ***1959 წელს სამცხე-ჯავახეთში 52 359 კაცით ნაკლები ცხოვრობდა, ვიდრე 1939 წელს,*** მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთის დაცარიელებულ სოფლებში დაუყოვნებლივ განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მოსახლეობის იძულებითი გადმოსახლება. გადმოსახლების ოპერაცია ჩატარდა ისევე ოპერატიულად და მაქსიმალურად მოკლე დროში, როგორც ეს მოხდა ე.წ. ,,სპეცკონტიგენტის" გასახლების შემთხვევაში. ოპერაცია დაიწყო ბორჯომისა და ხაშურის რაიონებიდან 1944 წლის 15 ნოემბერს და დასრულდა ამავე წლის 10 დეკემბრისთვის. ჩასახლებული ოჯახებისთვის ყველა აუცილებელი პირობა იქმნებოდა, რაც არსებობისთვის იყო საჭირო, მაგრამ მათი ერთი ნაწილი მაინც ცდილობდა უკან დაბრუნებას. ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან და გარემოსთან შეგუების პროცესი რთული აღმოჩნდა მიგრანტებისთვის, ასევე რთულად მიმდინარეობდა მათი სომხურ მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ადაპტაციის პროცესი, რაც პერიოდულად დაძაბულ ვითარებას ქმნიდა.

XX საუკუნის 40-იან წლებში განხორციელებულმა მასობრივმა დეპორტაციამ კარდინალურად შეცვალა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ეთნო-დემოგრაფიული სურათი. მიგრაციულ პროცესებს მთელი რიგი დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული, სამეურნეო და ა.შ. ცვლილებები მოჰყვა. არსებითად შეიცვალა ეთნო-რელიგიური

სტრუქტურაც. ***ქართველები საბოლოდ აღმოჩნდნენ უმცირესობაში, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა შეადგინა სომხურმა თემმა.***

მიგრაციული პროცესები სამცხე-ჯავახეთში გაგრძელდა XX ს-ის 50-60-იან წლებში, თუმცა უკვე ნაკლები ინტენსივობით, ხოლო გამომწვევი მიზეზები განსხვავებული იყო. ამ პერიოდში სხვა რაიონებიდან მოსახლეობის გადმოსახლების გარდა, მიზანმიმართულად ხორციელდებოდა შიდა სარაიონო მიგრაციაც.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მოსახლეობის რაოდენობის ზოგადმა მაჩვენებელმა. კვლავ აღინიშნა ცვლილებები ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, აღნიშნულ პერიოდში გრძელდება ეთნიკური ქართველების შემცირების ტენდენცია, განსაკუთრებით ჯავახეთის მხარეში, რაც არცთუ იშვიათად, წარმოადგენდა ადგილობრივი პარტიული ხელისუფლების მიზანმიმართული ქმედების შედეგს. ***1959 წლის მონაცემებით, რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ სომხები – 113 747 კაცი (მთელი მოსახლეობის 64,5%).*** შდრ: სომხები მოსახლეობის 41,8 %-ს შეადგენდნენ 1926 წელს, 1939 წელს – 44,0%, მათ შორის სამცხეში 1926 წ. – 15,1%, 1959 წ.- 36,2 %; ჯავახეთში ეს მაჩვენებელი 79,7-დან 88,7%-მდე გაიზარდა. სომხები უმრავლესობას შეადგენდნენ ახალციხის რაიონში – 25 753 (51,1%) და აბსოლუტურ უმრავლესობას – ახალქალაქისა (57 509- 90,8%) და ნინოწმინდის რაიონებში (27 090 - 84,4%). სომხური მოსახლეობის მატება ფიქსირდება 1970 წლის მონაცემებშიც, რომლის მიხედვით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 125 737 სომეხი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა (66,1%).

ერთი შეხედვით, ადგილი აქვს ქართველთა ხვედრითი წილის ზრდას 1939 წლის მონაცემებთან შედარებით (9,9%), 1959 წელს ეს მონაცემი 47 762 კაცს, ანუ მთელი მოსახლეობის 27% უდრის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 1939 წელს აზერბაიჯანელებად აღრიცხული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი[2] ეროვნებით ქართველი იყო, ამიტომ ქართველები იმ დროისთვის რეგიონში უმრავლესობას შეადგენდნენ. 1959 წლისთვის ჩვენ სახეზე გავაქვს ქართველთა როგორც აბსოლუტური

[2] 1939 წლის აღწერით, აზერბაიჯანელები შეადგენდნენ რეგიონის მთელი მოსახლეობის 38,5%-ს.

რაოდენობის (110 239), ისე ხვედრითი წილის შემცირება. 1970 წლისთვის ქართველთა რაოდენობა შეადგენდა 53 204, მაგრამ თითქმის იგივეა პროცენტული მაჩვენებელი – 27,9%. ქართული მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენდა მხოლოდ ადიგენისა და ასპინძის რაიონებში, სადაც მოსახლეობა შედარებით მცირერიცხოვანი იყო.

საინტერესოა, რომ ზოგადად საქართველოში 50-იანი წლებიდან იცვლება არაქართული მოსახლეობის მიგრაციის ძირითადი მიმართულება, კერძოდ, იწყება მათი გადინება საქართველოდან. ამან გამოიწვია ქართველთა ხვედრითი წილის მატება 70-იანი წლების დასაწყისისთვის, შეადგინა რა საქართველოს მთელი მოსახლეობის 66,8%.

ისტორიული მოვლენების დინამიკისა და უწყვეტი ბუნებრივი თუ ხელოვნურად წარმართული მიგრაციის შედეგად რეგიონი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც მულტიეთნიკური სივრცე, სადაც საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და დღემდე თანაარსებობენ ქართველები, სომხები, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები და სხვა ეთნიკური ჯგუფები. მათი ურთიერთობა როგორც ერთმანეთთან, ასევე რეგიონის მკვიდრ მოსახლეობასთან – ქართველებთან, საერთო ჯამში, მშვიდობიანად მიმდინარეობდა და უმეტესწილად ექსცესების გარეშე ვითარდებოდა. თუმცა, პერიოდულად მაინც ჩნდებოდა გარკვეული სახის დაძაბულობა, რასაც საბჭოთა ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების მიკერძოებული პოლიტიკა და განსხვავებული ეთნოსებისა თუ რელიგიური თემების მიმართ დამოკიდებულება უწყობდა ხელს.

საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ე.წ. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს ეფუძნებოდა, მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან სულ უფრო ველიკოდერჟავულ ხასიათს იღებდა. საქართველოში ეროვნულ უმცირესობებს საკუთარ ენაზე განათლების მიღების, თვითმყოფადი კულტურის განვითარების ყველა პირობა გააჩნდათ. ამასთან, ამ პროცესს მეორე მხარეც ჰქონდა. ის ქვეყანაში მცხოვრები მცირერიცხოვანი ჯგუფების მარგინალიზაციას, თავის თავში ჩაკეტვას და ეროვნული უმრავლესობისგან - ქართველებისგან გაუცხოებას იწვევდა. სახელმწიფო ენის არცოდნა

ან არასათანადო ცოდნა არცთუ იშვიათად ქმნიდა უხერხულობას და დაძაბულობას ერთაშორის ურთიერთობაში.

ხელისუფლების რაიონული პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოები, ცენტრალური ხელისუფლების შიშით, ხშირად ,,თვალს ხუჭავდნენ" ქართველთა შევიწროებისა და არაქართული მოსახლეობის მიერ მიწების მიტაცებისა და დაკანონების ფაქტებზე. მკვიდრი მოსახლეობა იძულებული ხდებოდა, დაეტოვებინა მათთვის არაკომფორტული საცხოვრებელი გარემო. ***რეგიონი, განსაკუთრებით კი ჯავახეთი, თანდათან იცლებოდა ქართველებისგან.*** ქართული სოფლების დაცლას ხელს უწყობდა საბჭოთა პერიოდში არსებული სასოფლო საბჭოების გამსხვილების მავნე ტენდენცია, როდესაც ქართულ სოფლებს სომხურ სასოფლო საბჭოში აერთიანებდნენ.

საქართველოში, მისი ისტორიული ბედიდან გამომდინარე, უძველესი დროიდანვე ჩამოყალიბდა ერთაშორისი ურთიერთობების გარკვეული ტრადიცია. ქართველი მოსახლეობა ყოველთვის მშვიდობიანად თანაარსებობდა მის ქვეყანაში მცხოვრებ განსხვავებული მრწამსის, კულტურის, ტრადიციების მქონე ერებთან. სხვადასხვა ეთნოსის მშვიდობიანი თანაცხოვრება იყო ქართული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. XIX საუკუნიდან კი, მას შემდეგ, რაც დაკარგა დამოუკიდებლობა და გახდა ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა იმპერიის ნაწილი, საქართველო ვეღარ უზრუნველყოფდა საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების კონტროლს. ეს აისახა ერთაშორის ურთერთობებზეც. კომუნისტური რეჟიმის პირობებში მთავარი გამაერთიანებელი გახდა არა ქართული სახელმწიფო ან ქართული ენა, არამედ ე.წ. ,,საბჭოთა ადამიანის'' გაურკვევლი იდენტობა და რუსული ენა, რომელმაც თანდათან დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სამცხე-ჯავახეთის მულტიეთნიკურ რეგიონად ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, ბუნებრივი და ხელოვნურად განხორციელებული მიგრაციული ცვლილებების შედეგები, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციის თემა; შესწავლილია XX საუკუნის 40-იან წლებში სამცხე-ჯავახეთის დაცარიელებულ სოფლებში საქართველოს

სხვადასხვა რაიონიდან მოსახლეობის იძულებითი ჩამოსახლების საკითხი, გაანალიზებულია პროცესის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები; XX საუკუნის 50-60-იანი წლების მიგრაციული და დემოგრაფიული პროცესების, ასევე რეგიონული ეროვნული პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ქართველთა პროცენტული მაჩვენებელის შემცირების დინამიკა რეგიონის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში.

სადისერტაციო ნაშრომი ეხება საკვლევ პერიოდში რეგიონში მოქმედი რელიგიური თემების მდგომარეობას; კვლევაში გაანალიზებულია სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ებრაელების, დუხობორების, სომხური სამოციქულო ეკლესიის, ასევე კათოლიკური ეკლესიისა და სხვა რელიგიური კონფესიების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა და განსხვავებული მიდგომები. ნაჩვენებია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ამ განსხავავებული დამოკიდებულების ფორმირებას განაპირობებდა. ნაშრომში აგრეთვე შესწავლილია 1946-65 წლებში სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური ჯგუფების - ქართველებისა და სომხების ურთიერთობები, ყურადღება გამახვილებულია რეგიონში ჩამოსახლებული ქართველი და სომეხი მოსახლეობის შეგუებისა და თანაცხოვრების პროცესზე.

თემის აქტუალობა

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინაშე თანამედროვე ეტაპზე მდგარი გამოწვევებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ერთაშორისი ურთიერთობებია. ქვეყანაში მცხოვრები სხვადახვა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანების მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის თანაბარი განცდა ეთნიკური ქართველების გვერდით, ქართული სახელმწიფოს ინტერესების განუხრელი დაცვის პირობებში, სრულიად მიღწევადია. ამ ამოცანის შესრულება კი შესაძლებელია საქართველოში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ერთაშორისი ურთიერთობების მდიდარი გამოცდილების შესწავლითა და გაზიარებით. სამცხე-ჯავახეთის მულტიეთნიკური

რეგიონი ამგვარი ურთიერთობისა და ტრადიციის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. საქართველოს ისტორიის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც საბჭოთა იმპერიის დროინდელი ხელოვნური ურთიერთობების ბუნებრივ საწყისებზე გადაწყობა და ხელახლა დალაგება მიმდინარეობს, უაღრესად აქტუალურია უახლოეს წარსულში ამ სფეროში დაშვებული შეცდომების, აგრეთვე მიღწევებისა და წარმატებების შესწავლა-ანალიზი.

ასევე მნიშვნელოვანია იმ ხელოვნური მიგრაციებისა და დემოგრაფიული ცვლილებების მიზეზებისა და შედეგების კვლევა, რამაც ეთნიკური ქართველები ძირძველ ქართულ მიწაზე უმცირესობად აქცია. სახელმწიფოს დემოგრაფიული და ეროვნული პოლიტიკის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია ამგვარი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება.

კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩატარებული სამეცნიერო კვლევა რამდენიმე ამოცანის შესრულებას ისახავს მიზნად:

- ერთ-ერთი მთავარი მიზანია XX საუკუნის 40-50-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის მიზეზების და შედეგების კვლევა, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენდნენ რეგიონის ეთნო-დემოგრაფიულ სტრუქტურასა და მოსახლეობის ეროვნულ-რელიგიურ შემადგენლობაზე;
- 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციის შემდეგ სამცხე-ჯავახეთის დაცარიელებულ სოფლებში მოხდა მოსახლეობის იძულებითი ჩასახლება საქართველოს სხადასხვა რაიონიდან. კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს რეგიონში მიგრირებული მოსახლეობის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეგუებისა და

თანაცხოვრების პროცესის შესწავლა, ამ სფეროში სამცხე-ჯავახეთის უნიკალური გამოცდილების განზოგადება;

- სადისერტაციო ნაშრომში აღწერილია XX ს.-ის 40-60-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის ძირითადი ასპექტები. 1944 წ. მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების შემდეგ, რეგიონში სომხური ეთნიკური ელემენტი უმრავლესობაში აღმოჩნდა. ამავე დროს ადგილობრივი ხელისუფლება ატარებდა მიზანმიმართულ შერჩევით პოლიტიკას, რაც აზიანებდა მკვიდრი ქართული მოსახლეობის ინტერესებს. კვლევის მიზანია რეგიონში ერთაშორის ურთიერთობებზე მსგავსი მიდგომების გავლენის შესწავლა, აგრეთვე ქართული მოსახლეობის მიერ რეგიონის დატოვების მიზეზების ანალიზი; ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა რეგიონში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სფეროში არსებულ ვითარებასაც;
- XX ს-ის 40-60-იანი წლებში საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა, დაერეგულირებინა ურთიერთობა როგორც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, ასევე სხვა რელიგიური კონფესიების მიმდევრებთან. თუმცა, შეინარჩუნა მათ მიმართ არარერთგვაროვანი მიდგომა. ეს ნათლად ჩანს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები რელიგიური თემების მაგალითზე. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია აღნიშნული პერიოდის რელიგიური პოლიტიკის თავისებურებების შესწავლა და დადგენა, თუ რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილებები რეგიონში მცხოვრებ რელიგიურ ჯგუფებზე;
- სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური და განსაკუთრებით, ადგილობრივი ხელისუფლების ნეგატიური როლის სათანადოდ წარმოჩენა რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. სწორედ მათი გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგად სამცხე-ჯავახეთში მკვეთრად შემცირდა ქართული მოსახლეობის

რაოდენობა და ხვედრითი წილი, ჯავახეთი კი მონოეთნიკურ, ძირითადად, სომხურ რეგიონად ჩამოყალიბდა.

კვლევის საგანი და მეთოდოლოგია

კვლევის საგანს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეთნო-რელიგიური ჯგუფების მდგომარეობის შესწავლა 1946-1965 წლებში, ასევე მიგრაციული პროცესებისა და რეგიონის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე მათი გავლენის ანალიზი; კვლევა გამოკვეთს საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული და რელიგიური პოლიტიკის ძირითად ასპექტებს და შეისწავლის მათ როლს რეგიონში ეთნიკურ ურთიერთობათა განვითარებაზე.

სადისერატაციო კვლევა ეფუძნება ისტორიის კვლევის ტრადიციულ და თანამედროვე ტექნოლოგიებს. ნაშრომში გამოყენებულია სამეცნიერო კვლევის ის მეთოდები, რომელთა მეშვეობით ჩატარდა მონაცემების შეგროვება, ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა.

პირველ რიგში, მოხდა საკვლევი თემის შესახებ არსებული მონაცემების შეგროვება. აღწერილობითი მეთოდის გამოყენებით მოძიებულ იქნა ნარატიული თუ დოკუმენტური წყაროები, ასევე კრიტიკული გააზრების საფუძველზე შესწავლილ იქნა საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა სტატისტიკურ და კლასტერულ ანალიზს, მოცემულია ცხრილები და დიაგრამები. სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და პროცენტული მაჩვენებლების დადგენისთვის გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რაც გულისხმობს ფაქტებისა და მოვლენების შედარება-შეპირისპირების გზით დასკვნების გამოტანას, სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ერთ-ერთ ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მეთოდია. კერძოდ, მისი დახმარებით მოხდა ეროვნული და რელიგიური პოლიტიკის შედარება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებისა და განსხავებული პოლიტიკური მმართველობის

(განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის) პირობებში. ამ გზით კი დადგინდა, თუ რა გავლენას ახდენდა ისტორიულ-პოლიტიკური ცვლილებები სამცე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკური და რელიგიური თემების მდგომარეობაზე.

მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის მეთოდის დახმარებით მოხდა რელიგიური კონფესიებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ არსებული განსხვავებული მიდგომების გამოკვეთა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; აღნიშნული მეთოდის დახმარებით ჩამოყალიბდა კვლევის ძირითადი შედეგები და მტკიცებულებები.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე აბსტრაქციის პრაქტიკული კვლევის მეთოდები. კერძოდ, ინდუქციის მეთოდის საშუალებით განზოგადებული სახე მიეცა კონკრეტულ ფაქტებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, პირიქით, დედუქციის გზით საბჭოთა პერიოდის ეროვნული რეგიონალური პოლიტიკის დახასიათება დაყვანილ იქნა კონკრეტულ ფაქტებამდე. ჰიპოთეზის მეთოდის საფუძველზე გამოითქვა რამდენიმე ვარაუდი. ნაშრომში ასევე გამოყენებულია ინტერვიუს მეთოდი მოვლენების უშუალო მომსწრეებსა და მონაწილეებთან.

კვლევის შედეგები

ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

- 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მუსლიმი მოსახლეობის ნაცვლად რეგიონის დაცარიელებულ სოფლებში სხვადასხვა რეგიონიდან იძულებით ჩასახლებული ქართული მოსახლეობის ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან და გარემოსთან შეგუების პროცესი რთულად მიმდინარეობდა. აუცილებელი საარსებო პირობების შექმნის მიუხედავად ნაწილი ცდილობდა უკან დაბრუნებას. ხანგრძლივი და მტკივნეული აღმოჩნდა ჩასახლებულთათვის სომხურ მოსახლეობასთან თანაცხოვრებაც.
- XX ს-ის 40-50-იან წლებში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა შიდა რაიონული მიგრაციული პროცესები, რომელთა უკონტროლო განხორციელებამ გამოიწვია მრავალი სოფლის სრული დაცარიელება და

ლიკვიდაცია. განსაკუთრებით რთული იყო ვითარება ჯავახეთში, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების უუნარო და ზოგჯერ მიზანმიმართული პოლიტიკა იწვევდა ქართული, ისედაც მცირერიცხოვანი სოფლების დაცლას.

- 1944-1955 წლებში სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე ხელოვნურმა მიგრაციებმა გამოიწვია თვისობრივი ცვლილება მოსახლეობის რაოდენობრივი და ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით. კერძოდ, მოხდა მოსახლეობის საერთო რაოდენობრივი მაჩვენებლის შემცირება, ასევე შემცირდა ქართველთა როგორც აბსოლუტური რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, ისე ხვედრითი წილი.
- საარქივო მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ XX ს.-ის 40-60-იან წლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეროვნული პოლიტიკა ხშირად სცდებოდა ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის ფარგლებს და პირიქით, ქართველი მოსახლეობის ინტერესებს ლახავდა. მინიჭებული პრივილეგიებს ეროვნული უმცირესობები ხშირად იყენებდნენ საკუთარი პროფესიული, პარტიული თუ მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებისთვის.
- მძიმე სიტუაცია იყო ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გამოყენების მხრივ. საკვლევ პერიოდში რუსული წარმოადგენდა საქმისწარმოებისა და კომუნიკაციის ძირითად ენას, ხოლო მისი ცოდნა კარიერული წინსვლის მთავარ ფაქტორს. ამავე მიზანს ემსახურებოდა სომხური და ზოგჯერ ქართული გვარების რუსული დაბოლოებით ჩანაცვლება.
- საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა ხელს უწყობდა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ჩაკეტვასა და პარალელური საზოგადოებების შექმნას; ამძაფრებდა ეროვნებათშორის ურთიერთობებს;

რთულ სასაზღვრო რეგიონში ქმნიდა დაძაბულობას და საფუძველს ეთნოკონფლიქტის განვითარებისთვის.

- სტალინის მმართველობის გარკვეულ ეტაპზე დაიწყო ე.წ. ,,დათბობის“ პოლიტიკის გატარება რელიგიური თემების მიმართ. მოგვარდა ურთიერთობა მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, ასევე შეიქმნა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო, რომელსაც საქართველოში წარმოადგენდა რწმუნებული. საბჭოს ევალებოდა კონტროლის განხორციელება რელიგიური კონფესიების საქმიანობაზე.
- საარქივო მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველოში არსებული რელიგიური თემებიდან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის სასულიერო პირებსა და მრევლს. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა რელიგიურ პროზელიტიზმსა და სასულიერო პირების თვითნებობას.
- საბჭოთა ხელისუფლების ანტისემიტური განწყობების გამო შედარებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ებრაელები. სტალინური პერიოდის შეღავათები ნაკლებად გავრცელდა ასევე კათოლიკეებსა და სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებზე. საქართველოში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთში, დაიხურა ებრაელთა სინაგოგები, არ ფუნქციონირებდა კათოლიკური ტაძრები. რაც შეეხება მუსლიმებს, 1944 წლის დეპორტაციის შემდეგ ვიდრე 70-იან წლებამდე, როდესაც რეგიონში განხორციელდა მთიელ აჭარელთა ჩამოსახლების პროცესი, მათი რაოდენობა მინიმუმდე იქნა დაყვანილი.
- ე.წ. ,,სტალინური დათბობის“ პოლიტიკა ხრუშჩოვის მმართველობის დროს, XX საუკუნის 50-60-იან წლებში, შეიცვალა ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ დაწყებული ახალი შეტევით და ფართომასშტაბიანი ათეისტური პროპაგანდით. რელიგიური კონფესიები კვლავ იქცნენ დევნისა და შევიწროების ობიექტებად.

პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები და დასკვნები, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს რეგიონის ისტორიის შესწავლის კუთხით, აგრეთვე ზოგადად, საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების გასაცნობად და საბჭოთა ეპოქის დროს არსებული ეთნიკური და რელიგიური პოლიტიკის შეფასებისთვის. საარქივო დოკუმენტების დიდი ნაწილი პირველად შემოდის სამცნიერო ბრუნვაში.

საკითხის წინაისტორია, ლიტერატურის მიმოხილვა, საკვლევი პრობლემის შესწავლის მდგომარეობა

სამცხე-ჯავახეთის მდიდარი წარსულის წარმოსაჩენად გამოყენებულია მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა და ისტორიული გამოკვლევები.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათებისთვის, ასევე მისი საზღვრების, სახელწოდებების ეტიმოლოგიის, ტერმინებისა და განმარტებებისათვის გამოყენებულია ლეონტი მროველის,[3] ჟამთააღმწერელის,[4] ვახუშტის,[5] ივანე ჯავახიშვილის[6] მიერ მოცემული აღწერილობები, აგრეთვე შოთა ლომსაძის[7], მერაბ ბერიძის[8], ტარიელ ფუტკარაძისა[9] და სხვათა მოსაზრებები.

მესხთა ტომების განსახლების შესახებ მსჯელობა ეყრდნობა უძველეს აღმოსავლურ, ებრაულ, ბერძნულ და ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს, ასევე სიმონ ჯანაშიას[10], პავლე ინგოროყვას,[11] ოთარ ჯაფარიძისა[12], მერი ინაძისა[13] და სხვათა შრომებს, სადაც მოცემულია სხვადასხვა თვალსაზრისი მესხების წარმომავლობისა და ქართველურ ტომებთან მათი იგივეობის შესახებ.

---

[3] (ქართლის ცხოვრება, ტ.1 1955)
[4] (ჟამთააღმწერელი 2009)
[5] (ვახუშტი 1973)
[6] (ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ისტორიული რარიტეტები 1989)
[7] (ლომსაძე, მესხეთი და მესხები 2000)
[8] (ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმური ანალიზი) 1992)
[9] (ტ. ფუტკარაძე 2014)
[10] (ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, ჯანაშია. 1943)
[11] (ინგოროყვა 1954)
[12] (ო. ჯაფარიძე 1991)
[13] (ინაძე 2009)

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების აღწერისას გამოყენებულია საქართველოს ისტორიის შესაბამისი ეპოქების ამსახველი მასალები, მათ შორის საქართველოს ისტორიის ნარკვევები[14], ივანე ჯავახიშვილის ,,ქართველი ერის ისტორია“[15], სხვადასხვა მონოგრაფიები და მატიანეები. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის დამყარების საკითხს, აქ უდაოდ მნიშვნელოვანი გამოკვლევაა შოთა ლომსაძის მონოგრაფია ,,სამცხე-ჯავახეთი“[16], სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ოსმალური პოლიტიკა და მისი შედეგები მესხეთისთვის. ასევე არგუმენტირებულადაა დასაბუთებული ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის შუა ხანებშიც კი, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ და რომ, ოსმალების უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, ქართველთა სრული გამაჰმადიანება ვერ მოხერხდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობისა და მიგრაციული პროცესების შედეგად წარმოქმნილი ეთნიკური ვითარების შესწავლას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიეძღვნა. მათ შორის, უნდა გამოვყოთ ვახტანგ ჯაოშვილის მონოგრაფია XVIII-XX სს-ში საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ[17]. მონოგრაფია წარმოადგენს აღნიშნულ საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან ერთ-ერთ უმთავრეს ნაშრომს, სადაც მეტად სერიოზული კვლევის შედეგებია წარმოდგენილი. გამოკვლევაში ნაჩვენებია XVIII-XX-სს-ში საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შედეგად დემოგრაფიული ვითარების ცვლილებები. ავტორი ეხება წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განხილულ საკვლევ პერიოდსაც, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ ჯაოშვილის მონოგრაფიაში არ არის განხილული ისეთი საკითხი, როგორიცაა საბჭოთა პერიოდში მუსლიმი ქართველების და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მასობრივი გასახლება და ამ ფაქტის გავლენა დემოგრაფიულ სურათზე. ასევე არაფერია ნათქვამი იძულებით შიდა

[14] (საქართველოს ისტორიის ნარკვევები: რვა ტომად: ტომი II 1973)
[15] (ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ხუთ ტომად, ტ.I 2012)
[16] (ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე) 2011)
[17] (ჯაოშვილი 1984)

მიგრაციებზე, ნაჩვენები არ არის საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებაზე.

ცალკე უნდა გამოვყოთ ვაჟა ლორთქიფანიძის შრომები, სადაც შესწავლილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობა უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე, მოცემულია მოსახლეობის რაოდენობრივი და ეროვნული შემდგენლობის მაჩვენებლები სხვადასხვა პერიოდში, განხილულია მუსლიმი ქართველების გასახლების საკითხი და ა.შ.[18] ამდენად, ეს შრომები მეტად მნიშვნელოვანი დასაყრდენი აღმოჩნდა კვლევის ჩატარებისთვის.

სამცხე-ჯავახეთი, როგორც მულტიეთნიკური რეგიონი, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. მის ტერიტორიაზე ისტორიული ძნელბედობის, პოლიტიკური თუ სოცილურ-ეკონომიკური მიზეზების გამო უამრავი ეროვნების ადამიანი აღმოჩნდა დასახლებული, რომლებიც ქართველების გვერდით შრომობდნენ, მოღვაწეობდნენ და თავს სავსებით სამართლიანად ამ მიწის მკვიდრად მიიჩნევდნენ. ესენი იყვნენ: სომხები, ოსები, ქურთები, ლეკები, ებრაელები, რუსი სექტანტები (,,დუხობორები”), უკრაინელები, პოლონელები და სხვ. ქართული მოსახლეობაც არ იყო ერთგვაროვანი რელიგიური კუთვნილების თვალსაზრისით. იყვნენ როგორც მართლმადიდებელი, ასევე კათოლიკე და ოსმალეთის იმპერიის ზეწოლის შედეგად გამაჰმადიანებული ქართველები, რომლებიც თავს ,,იერლის” (ადგილობრივს) უწოდებდნენ. მათი რეგიონში ჩამოსახლების საკითხები განხილულია შოთა ლომსაძის[19], ანზორ თოთაძის[20]და სხვა ავტორთა შრომებში. განსაკუთრებით ღირებულია შოთა და ოთარ თეთვაძეების ნაშრომი ,,სომხები საქართველოში“[21], რომელიც ეხება საქართველოში მცხოვრებ სომხურ ეთნიკურ ჯგუფს, განხილულია თეორიები სომეხთა წარმომავლობის

---

[18] (ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი: დემოგრაფიული განვითარების პრობლემები 1998), (ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. (დემოგრაფიული განვითარების პრობლემები) 1994), (ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ისტორიული მიმოხილვა XIX საუკუნემდე 1992), (ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XIX საუკუნის II ნახევარში 1993)

[19] (ლომსაძე, მესხები: ახალციხური ქრონიკები 1997)

[20] (თოთაძე 1993)

[21] (თეთვაძე და თეთვაძე 1988)

შესახებ, მოტანილია წყაროები და გამოკვლევები სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, ნაჩვენებია საქართველოში სომეხთა მიგრაციის ეტაპები, ასევე ისტორიის გაყალბების მცდელობები. ნაშრომში აგრეთვე შეფასებულია ბოლო დროის, ანუ პოსტსაბჭოთა პერიოდში სომეხთა როლი აფხაზეთის ომის დროს, ჯავახეთში მათი შოვინისტური ორგანიზაციების გააქტიურება და ა.შ.

საინტერესო აღმოჩნდა დავით მელუას გამოკვლევა ,,ეროვნული უმცირესობები საქართველოში“[22], სადაც ავტორი დეტალურად განიხილავს ამ სფეროში არსებულ საკანონმდებლო ბაზას და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის გზით იძლევა პრობლემის გადაწყვეტის გზებს. აღნიშნული შრომები, ისევე როგორც სხვა ავტორების გამოკვლევები მნიშვნელოვან გზამკვლევს წარმოადგენს ეთნო-დემოგრაფიულ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

სადისერტაციო ნაშრომში ცალკე ქვეთავი ეთმობა ე.წ. ,,თურქი მესხებისა” და მათი დეპორტაციის საკითხს, რომლის განხილვისას გამოყენებული და სრულად გათვალისწინებულია მრავალი ავტორის, მათ შორის უჩა ბლუაშვილის,[23] მერაბ ბერიძის,[24] და სხვათა ნააზრევი. აღნიშნულ საკითხზე არსებული მრავალრიცხოვანი და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების გაცნობისა და შეჯერების საფუძველზე მიღებული დასკვნები წარმოდგენილია წინამდებარე სამეცნიერო კვლევაში.

საინტერესო აღმოჩნდა 2002 წელს ჩატარებული ევროპის ეროვნულ უმცირესობათა კონფერენცის მასალები,[25] სადაც საუბარია ე.წ. მაჰმადიანი მესხების შესახებ, განხილულია მათი რეპატრიაციისა და საქართველოში დაბრუნების საკითხები. პრობლემა დანახულია ქართველ რეპატრიანთა თვალით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას.

---

[22] (მელუა 1996)

[23] (ბლუაშვილი, სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების მოტივაციის საკითხისთვის 2013)

[24] (ბერიძე, თბილისელები 2015)

[25] (Грузия - Многонациональное Государство 4-5.03. 2002.)

საგანგებოდ რეპატრიანტებისთვის მესხეთის წარსულის გასაცნობად შეიქმნა უჩა ბლუაშვილის ნაშრომი ,,მესხეთის სახელოვანი შვილები'',[26] რომელშიც ქართულ და რუსულ ენებზე მოთხრობილია მესხეთის მოკლე ისტორია უძველესი დროიდან 2007 წლამდე, საქართველოს მიერ რეპატრიაციის კანონის მიღებამდე.

გოჩა ქიმაძის ნაშრომში ,,ქართული სახელმწიფოებრიობა და ,,თურქი მესხების" პრობლემა"[27] განხილულია თურქი ავტორების მოსაზრებანი ე.წ. მაჰმადიანი მესხების საკითხთან დაკავშირებით (ჟურნალი ,,თარიჰი"). ავტორის აზრით, თურქი მეცნიერების ნაწილი ცდილობს თავდაყირა დააყენოს საქართველოსა და მისი სამთავროების, მათ შორის მესხეთის ისტორია. აღნიშნულია, რომ ქართველ მაჰმადიანთა გათურქების პროცესი დაჩქარდა რუსეთთან შეერთების შემდეგ. ნაშრომში მოთხრობილია მესხი რეპატრიანტების საქართველოში დაბრუნების საკითხის განხილვის ისტორია და ნაჩვენებია განსხვავებული მოსაზრებები აღნიშნულ თემაზე. განხილულია პრობლემის იურიდიული მხარეც, კერძოდ ის, რომ საქართველო არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე; მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.

რაც შეეხება სადისერტაციო კვლევის ერთ-ერთ ძირითად საკითხს, კერძოდ, ეთნო-დემოგრაფიული მდგომარეობის აღწერას XXს-ის 40-60-იან წლებში, საქართველოში არსებული ზოგადი მდგომარეობა ნაჩვენებია აღწერების შედეგებისა და სტატისტიკური კრებულების, ასევე აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე.

საბჭოთა პერიოდის დემოგრაფიული ვითარების შესწავლისა და ანალიზისთვის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს პერიოდული საკავშირო აღწერების მასალები - საკავშირო აღწერა ჩატარდა ხუთჯერ: 1926, 1939, 1959, 1970, 1979.[28] ეს მასალები ქვეყნდებოდა სტატისტიკური კრებულების სახით. საკვლევი პერიოდის შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1939 წლისა და 1959 წლის აღწერები

[26] (ბლუაშვილი, მესხეთის სახელოვანი შვილები 2008)
[27] (ქიმაძე 2004)
[28] აღწერები XIX ს-ში რუსეთის იმპერიაში ჩატარდა 1800, 1832, 1865, 1886, 1897 წწ., მათგან საყოველთაო ხასიათის იყო 1897 წლის აღწერა.

და შედეგები.[29] მათზე დაყრდნობით გაანალიზებულია მოსახლეობის საერთო რაოდენობრივი მაჩვენებლები, ასევე ეროვნული შემადგენლობის როგორც საერთო, ისე პროცენტული მაჩვენებლები, ბუნებრივი მატების, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, ასევე გარე და შიდა მიგრაციების ამსახველი მონაცემები.

საკვლევ თემაზე სერიოზულ გამოკვლევას წარმოადგენს მაყვალა ნათმელაძის ნაშრომი ,,დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში".[30] აღნიშნული მონოგრაფია საარქივო მასალებითაა განმტკიცებული, წარმოდგენილია ახალი მიდგომები და დასკვნები. ავტორის აზრით, უახლესი ისტორიის გააზრება ხელახლა უნდა მოხდეს და გამოიკვეთოს პრობლემური თემები. ერთ-ერთ ასეთ პრობლემურ საკითხად მიიჩნევა დემოგრაფიული პროცესების ანალიზი საქართველოში. ნაშრომში ჯერ განხილულია დემოგრაფიული სიტუაცია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, შემდეგ სხვადასხვა ეროვნების ჯგუფების (მათ შორის გერმანელების) გასახლება. ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ,,მაჰმადიანი მესხების" თემას, აღწერილია დემოგრაფიული პროცესები ომის შემდგომ პერიოდში 50-იანი წლების დასაწყისამდე. პროცესები განხილულია ზოგადად მთელი საქართველოს მასშტაბით, ამიტომ სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე შიდა მიგრაციული პროცესები აქ ვერ აისახებოდა, თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ძალიან საინტერესო მასალებია გარე მიგრაციული პროცესების შესწავლის თვალსაზრისით.

გიორგი წულაძის ნაშრომში ,,საქართველოს დემოგრაფიული ვითარება"[31] გაკეთებულია 1950-2012 წლების დემოგრაფიული პროცესების მოკლე ანალიზი და ნაჩვენებია დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები 2050 წლისთვის. თუმცა გამოკვლევაში არ ჩანს, თუ რამ გამოიწვია ეროვნულ შემადგენლობაში ცვლილებები.

თანამედროვე დემოგრაფიული ვითარებაა განხილული გიორგი მელაძის მონოგრაფიაში ,,საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები".[32] შესწავლილია

---

[29] (საბჭოთა საქართველოს 40 წელი: სტატისტიკური კრებული 1961), (საბჭოთა საქართველოს 50 წელი: სტატისტიკური კრებული 1971), (საქართველოს მოსახლეობა: სტატისტიკური კრებული 1998)
[30] (ნათმელაძე 2002)
[31] (წულაძე 2013)
[32] (მელაძე 2007)

მოსახლეობის დინამიკა, სტრუქტურა, ბუნებრივი მატება და მიგრაციული პროცესები. ძირითადად წარმოდგენილია 1990-2002 წლების პერიოდი.

საერთო დემოგრაფიული სურათისგან განსხვავებული ვითარება შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. სწორედ ამ პროცესებს აღწერს ფუტკარაძე თავის ნაშრომში ,,ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში“.[33] მასში განხილულია სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე ეთნიკური და დემოგრაფიული პროცესები, ნაჩვენებია მოსახლეობის რიცხოვნების დინამიკა, ასევე სქესობრივ-ასაკობრივი, კონფესიური და ეთნიკური სტრუქტურა. ავტორს გაკეთებული აქვს საინტერესო დასკვნები და რეკომენდაციები. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ცარიზმისა და შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე, რომლის მიზანსაც სომხური თემისთვის მაქსიმალური პრივილეგიების შექმნა წარმოადგენდა.

1989-1991 წწ. ჯავახეთში აჭარელთა ჩამოსახლების თემას ეძღვნება მ. ალექსიძისა და დ. გამცემლიძის ავტორობით გამოცემულ ნაშრომი ,,მე ჯავახეთს რა მიშავდა”[34]. აღნიშნული მოვლენა შეფასებულია დადებით პროცესად ჯავახეთში არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარების ფონზე. განხილულია ,,თურქი მესხების” თემაც და აღნიშნულია, რომ მათი საქართველოში დაბრუნება დიდი ნაწილის თურქული ორიენტაციის გამო მიზანშეწონილი არაა. განხილულია აგრეთვე ზოგადად ჯავახეთის პრობლემები (ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და ა.შ.), ქართული სოფლების დაცლისა და თანდათანობით გაქრობის საკითხი. თუმცა ავტორები არ განიხილავენ იმ მიზეზებს, თუ რამ გამოიწვია ქართული სოფლების დაცლა. კიდევ ერთი ავტორის, ეკატერინე მეტრეველის მიმოხილვითი ნაშრომი ,,ჯავახეთი - მთავარი ტენდენციების მიმოხილვა“ [35] ეხება რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზის საქმიანობას (აქ დასაქმებული იყო ჯავახეთის სომხური მოსახლეობა), ახალქალაქიდან ბაზის გაყვანის შემდეგ (2007)

[33] (თ. ფუტკარაძე 1998)
[34] (ალექსიძე მ., გამცემლიძე დ. 1991)
[35] (მეტრეველი 2013)

ჯავახეთის რეგიონში შექმნილ პრობლემებს, ასევე სომხური ორგაზაციების ,,ჯავახკისა" და ,,ვირქის" საქმიანობას.

სადისერტაციო ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ეროვნებათშორისი ურთიერთობებისა და საბჭოთა პერიოდის ეროვნული პოლიტიკის საკითხების წარმოჩენას. აღნიშნულ თემატიკაზე შექმნილი მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურიდან გამოვყოფდით რამდენიმე ნაშრომს. კერძოდ, ლია მელიქიშვილის[36], პაპუნა კაციტაძის,[37] პაატა ლეიაშვილის[38] და სხვათა გამოკვლევებს. მათში განხილულია პოლიეთნიკური საზოგადოების ეთნოგრაფიული კვლევის თავისებურებანი, მოცემულია ველზე სამუშაო რეკომენდაციები, მათ შორის, კითხვარის ვარიანტები. ასევე განხილულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები და მოცემულია პრობლემის მოგვარების გზები; კერძოდ, როგორია სახელმწიფოს როლი და ჩართულობა და სახელმწიფო ენის სწავლების დონე. ასევე საინტერესოა, თუ რა როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორები ეთნოკონფლიქტების პროვოცირებაში და რამდენად შესაძლებელია ანტიკონფლიქტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების შემთხვევაში მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი კონფლიქტები.

საინტერესო გამოკვლევაა ალექსანდრე დაუშვილის მონოგრაფია ,,საეროვნებათშორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1941 წწ"[39], რომელშიც ეროვნებათშორისი ურთიერთობები შესწავლილია ,,მუშათა კლასის" ანუ სოციალურ ასპექტში და განხილულია კომუნისტური იდეოლოგიის გავლენა და დამკვიდრება. ავტორის დასკვნით, XX საუკუნის 20-30-იანი წლებში საქართველოს სამრეწველო რეგიონების ეთნო-დემოგრაფიული ვითარება განსაზღვრავდა შრომითი კოლექტივის ეროვნულ შემადგენლობას. მასზე ზეგავლენას ახდენდა კონკრეტული ერის ტრადიციული სამეურნეო ყოფა, საწარმოს ისტორიული ტრადიცია, ხოლო ენობრივი

[36] (მელიქიშვილი, სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში 2011)
[37] (კაციტაძე 2014)
[38] (ლეიაშვილი 2002)
[39] (დაუშვილი 2000)

სიტუაცია დამოკიდებული იყო იმაზე, თუ სად მდებარეობდა კონკრეტული საწარმო - მონოეთნიკურ თუ პოლიეთნიკურ რეგიონში, აგრეთვე ეროვნული ჯგუფების ხვედრით წილზე, ხელმძღვანელი კადრების ეროვნულ კუთვნილებაზე და ა. შ. ავტორი მიუთითებს ერთ საინტერესო ფაქტზეც, კერძოდ აღნიშნავს, რომ 20-იანი წლების დასაწყისსა და შუა ხანებში იყო ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განმტკიცების მცდელობა, მაგრამ 30-იანი წლებიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ალექსანდრე დაუშვილი განიხილავს ასევე 1937 წლების რეპრესიების გავლენას ეროვნებათშორის ურთიერთობებზე. ავტორის აზრით, ამ მხრივ კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება და გახშირდა ანტისემიტიზმის გამოვლინებები. ალექსანდრე დაუშვილის აღნიშნული გამოკვლევა გაჯერებულია ფაქტებით, მოცემულია მათი თეორიული გააზრება. ნაშრომის დახმარებით გაანალიზებულ იქნა საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში ერთაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უჩა ბლუაშვილის სტატიები,[40] რომლებშიც განხილულია საქართველოს ევროპასთან ინტეგრირების საფრთხეები ქართული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით, დასაბუთებულია საქართველოში სამოქალაქო (სახელმწიფო) იდენტობის ჩამოყალიბების აუცილებლობა, განხილულია აგრეთვე საქართველოს მიერ სტრასბურგის 1992 წლის ქარტიისა და 1995 წლის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირების და ე. წ. ,,რეგიონული ენების" შემოღების საკითხები. ბლუაშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა დაინახა კავშირი თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნების ჩანაფიქრსა და რეგიონიდან მუსლიმი მოსახლეობის გასახლებას შორის და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ სწორედ სსრკ ხელმძღვანელობის მიერ ქართული მიწების დაბრუნების განზრახვა წარმოადგენდა რეგიონიდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების უმთავრეს მიზეზს. საქმე ისაა, რომ ამ მიწების შემოერთების შემთხვევაში ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მუსლიმები სამცხე-ჯავახეთის მუსლიმ მოსახლეობასთან ერთად შექმნიდნენ ვრცელ მაჰმადიანურ ველს,

[40] (ბლუაშვილი, ევროატლანტიკური ორიენტაცია და ქართული იდენტობა 2011), (ბლუაშვილი, ეროვნულ უმვირესობათა უფლებები და ქართული სახელმწიფოს ინტერესები 2012)

რაც რესპუბლიკაში არა მხოლოდ კონფესიური, არამედ პოლიტიკური ვითარების მკვეთრ ცვლილებას გამოიწვევდა.

სადისერტაციო ნაშრომში ცალკე ქვეთავადაა წარმოდგენილი საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა და რელიგიური კონფესიების მდგომარეობა რეგიონში. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობისას, გარდა საარქივო მასალებისა, გამოყენებულ იქნა საინტერესო მონოგრაფიები და სტატიები. კერძოდ, ნუგზარ ბარდაველიძის შრომები[41] საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, ასევე თინა იველაშვილის,[42] მიხეილ ქართველიშვილის[43], თეიმურაზ ფანჯიკიძის[44] მონოგრაფიები. გამოკვლევებში განხილულია საბჭოთა პერიოდის რელიგიური პოლიტიკის თავისებურებები, მოცემულია საქართველოში და კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიმდინარე რელიგიური პროცესებისა და რელიგიური კონფესიების მდგონარეობის განხილვა და ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში შესწავლილ იქნა სხვადასხვა არქივში დაცული მასალები. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული არქივიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ბიუროს, ასევე პლენუმების სხდომის ოქმებისა და დადგენილებების საშუალებით წარმოდგენილია ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა და დამოკიდებულება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების და დემოგრაფიული საკითხების მიმართ. საინტერესო აღმოჩნდა აგრეთვე საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის მასალები, კერძოდ, რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის ფონდი. ფონდის მასალები გამოყენებულ იქნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რელიგიური თემების მდომარეობის შესასწავლად. ახალციხის სახელმწიფო რაიონული არქივის მასალები მეტად

---

[41] (ბარდაველიძე, კათოლიკური ეკლესია საქართველოში (მოკლე ქრონოლოგიური ინფორმაცია) 2016), (ბარდაველიძე, საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, უახლესი პერიოდი 2018)
[42] (იველაშვილი 2015)
[43] (ქართველიშვილი 2022)
[44] (ფანჯიკიძე 2003)

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა XX ს-ის 40-60-იანი წლების დემოგრაფიული ცვლილებებისა და შიდა მიგრაციული პროცესების აღწერისა და შესწავლის თვალსაზრისით.

თავი 1. ისტორიული მიმოხილვა

1.1. ისტორიული საზღვრები და ეტიმოლოგია

სამცხე-ჯავახეთი - საქართველოს ძირძველი ისტორიული მხარის მესხეთის შემადგენელი ნაწილია. იგი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიას. მესხეთში ანუ ზემო ქართლში, გარდა სამცხე-ჯავახეთისა, შედიოდა აბოცი (პალაკაციო), კოლა-არტაანი, შავშეთ-კლარჯეთი, ტაო-ოლთისი, თორთუმ-ისპირი. გეოგრაფიულად მესხეთი მოიცავდა მდ. მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის მთელ ხეობას, იგი ბორჯომის ხეობიდან ერზრუმის მისადგომებამდე და ტაშირ-აბოციდან შავ ზღვამდე იყო გადაჭიმული. პოლიტიკურად მესხეთი შეადგენდა ერთ საგამგებლო ერთეულს, საერისთავთსაერისთავოს და სამთავროს. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ,,XIII ს. მეორე ნახევრიდან მესხეთის სამთავრო იწყებოდა ტაშისკარიდან და კარნუქალაქამდე აღწევდა” (ჯავახიშვილი 1989, 45).

მესხეთში ოდითგანვე ქართველები ცხოვრობდნენ. ,,ყოველთა ამათ ადგილებთა და ქვეყანათა კრებით ეწოდა მესხნი” (ვახუშტი 1973, 121). ანუ ,,მესხნი” ვახუშტისთან კრებითი სახელია ზემოთ ჩამოთვლილ პროვინციებში მცხოვრები ხალხისა. ამასთან ჯავახეთის აღწერისას ავტორი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ორ მცირე ქალაქში – გოკიოსა და ბარალეთში, მესხებს გარდა სახლობენ ,,სომეხნი, ურიანი ვაჭარნი”.

შ. ლომსაძის აზრით, ეთნიკურმა ტერმინმა „მესხები“ წარმოშვა ტოპონიმური ტერმინი „მესხეთი“. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულად სამცხის მოსახლეობის აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა ტერმინი მესხი და არა ,,სამცხელები”, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ,,მესხეთის სხვა თემის მოსახლეობა სამცხისგან განსხვავებულად მესხად აღარ იწოდებოდნენ” (ლომსაძე 2011, 280). წყაროებში ამიტომ გვხვდება გამოთქმა ,,ყოველთა მესხთა” (ჟამთააღმწერელი 2009, 252), ან ,,ყოველი

მესხეთი”, ან ,,მესხნი დიდნი და მცირენი ყოველნივე”, ანუ ,,სახელი ჯავახი, კლარჯი (თემობრივი დანაყოფი, ანუ თემონიმი, როგორც ტ. ფუტკარაძე მოიხსენიებს) უდრის მესხს (ტომობრივ დანაყოფს) და ორივე ეს უდრის ქართველს (ერთ ეროვნულ ერთეულს)” (ლომსაძე 2011, 281). მ. ბერიძეც აღნიშნავს, რომ: ,,ისტორიულად ჯავახობა მესხობას არ გამორიცხავდა და ამას ისიც ადასტურებს, რომ ვახუშტი ჯავახ-შავშ-კლარჯთ ასახელებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სამცხე-საათაბაგოს შიდა ამბებზე ლაპარაკობს, მაგრამ, როცა საუბარი უფრო ფართო მასშტაბის მოვლენებს ეხება, მაშინ ყველას მესხთ უწოდებს” (ბერიძე 1992, 15).

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია მესხეთთან დაკავშირებული ტერმინების აღრევის შემთხვევები, რაც ზოგჯერ გაუგებრობას იწვევს. მაგ.: არჩილთან ჯავახეთი ნახსენებია მთლიანად მესხეთის სინონიმად, ევლია ჩელებისთვის სამცხე-ჯავახეთი ,,საქართველოს შავშეთის” შემადგენელი ნაწილია (ჩელები 1971, 297) და ა.შ.

XIX საუკუნის II ნახევრიდან დამკვიდრებას იწყებს ტერმინი (ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაში და არასპეციალისტებთან) - მესხეთ-ჯავახეთი. სამცხე გაიგივდა მესხეთთან, ხოლო ჯავახეთი თითქოსდა ამოვარდა მესხეთის შემადგენლობიდან. ივ. ჯავახიშვილი (როგორც ზემოთ მივუთითეთ) განმარტავს, რომ მესხეთი, იგივე ზემო ქართლი მოიცავს აბოცს (პალაკაციო), კოლა-არტაანს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, ოლთისს, თორთუმ-ისპირს და სამცხე-ჯავახეთს. სამწუხაროდ, ტერმინთა მსგავსი აღრევა შეგნებულად თუ შეუგნებლად დღემდე გრძელდება.

სახელწოდება ,,სამცხე”, გავრცელებული მოსაზრებით, წარმოდგება მესხთა ტომის სახელისგან - სა-მესხე, სა-მცხე. სამცხის სახელწოდება ახსნილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომელიც სამცხის სახელს სამ ციხეს უკავშირებს: ,,სამთა ციხეთათვის …იწოდა სამცხე” (ვახუშტი 1973, 658), მისივე მოსაზრებით, სამცხეს ადრე ეწოდებოდა ოძრხე: ,,განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად. არამედ აწ ოძრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს” (ვახუშტი 1973, 657). ციხე-ქალაქი ოძრხე, რომელიც დაუარსებია ქართველთა ერთ-ერთ ეთნარქს ოძრახოსს, მართლაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა სამცხის ცხოვრებაში VIII საუკუნემდე. ასევე

მნიშვნელოვანი პუნქტი იყო აწყური, ხოლო XI საუკუნიდან კი მოიხსენიება ახალციხე, რომლის ძველი სახელწოდებაც უნდა ყოფილიყო ლომსია (დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით სამცხე მოიცავს ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებს)[45].

სამცხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ჯავახეთი, მისი სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ასევე ქართველთა ერთ-ერთ ეთნარქს, მცხეთოსის ძმას - ჯავახოსს. ლეონტი მროველის მიხედვით, მას დაუარსებია ქალაქი წუნდა, რომელიც ფარნავაზის დროს წუნდის საერისთავოს ცენტრს წარმოადგენდა: ,,მისცა ფანავრითაგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი წუნდა და ქალაქი არტანისა" (ქართლის ცხოვრება, ტ.I 1955, 10).

ჯავახეთი შედიოდა ისტორიული ზემო ქართლის, მესხეთის, ხოლო მოგვიანებით სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში და წარმოადგენდა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს. მისი პოლიტიკური ცენტრი თავდაპირველად იყო წუნდა, X საუკუნიდან ქვემო ჯავახეთის ცენტრი ხდება თმოგვი, ხოლო XI საუკუნიდან ზემო ჯავახეთის ცენტრია ახალქალაქი (ჯავახეთი დღეისთვის მოიცავს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს, ასევე ასპინძის რაიონის ნაწილს და თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიის ნაწილს). ოსმალეთის გაბატონების შემდეგ ჯავახეთი შედიოდა გურჯისტანის ანუ ჩილდირის ვილაიეთში, იგივე ახალციხის საფაშოში. ისტორიული სამცხე-საათაბაგო ოსმალებმა დაყვეს ლივებად, სანჯაყებად და ნაჰიებად. ჯავახეთი მოექცა სამი დიდი ლივის ფარგლებში. ეს ლივები იყო - ხერთვისის, ახალქალაქისა და ჩილდირის. 1828 წლიდან ამ მხარეში რუსული მმართველობა დამყარდა. ჯავახეთი მოექცა თბილისის გუბერნიის ახალქალაქის ,,უეზდში", რომელიც დაყოფილი იყო ორ - ბარალეთისა და ბოგდანოვკის ,,უჩასტოკად" (ბერიძე 1992, 14).

[45]ადმინისტრაციულად სამცხე-ჯავახეთის მხარე მოიცავს სამცხეს (ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის მუნიციპალიტეტები), თორს (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) და ჯავახეთს (ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები).

1.2. მესხები, მათი განსახლება, წყაროები

მესხეთის სახელწოდება უშუალოდ უკავშირდება ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომის მოსხ/მესხების (იგივე მუსკები/მუშქები) სახელს. ბიბლიის მიხედვით მათი წინაპარი უნდა იყოს იაფეტის შვილი მოსოქ/მოსოხ-მეშექი (დაბადება: X,2), ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი მესხებისა და იბერების წინაპრად მიიჩნევდა ბიბლიაში მოხსენიებულ ,,თობელსა“ და ,,მოსოხს“. თობელმა სათავე დაუდო თობელებს (იბერები), ხოლო მოსოხმა - მოსოხენებს. ისინი ითვლებოდნენ მადნეულის საუკეთესო მწარმოებლებად. ბიბლიის მიხედვით, ,,თობელი არის მჭედელი რვალისა და რკინისა“ (დაბადება: IV, 22); ეზეკიელი კი ამბობს, რომ იავანი, თობალი და მოსოხი რვალის ჭურჭელს ტვიროსში ჰყიდნენ (ეზეკ.: XXVII, 13).

რაც შეეხება მესხებისა და ზოგადად ქართველური ტომების განსახლების საკითხს, ამის შესახებ არსებობს სხვდასხვა მოსაზრება და თეორია. აკად. სიმონ ჯანაშია ემხრობოდა წინარე ქართველურ ტომთა ადგილობრივი წარმოშობის თეორიას. მეტიც, იგი მიიჩნევდა, რომ ხეთურ-იბერიული მოდგმის ხალხის (ე.წ. იაფეტური მოდგმა - ნ. მარი) გავრცელების არეალი, გარდა სამხრეთ ამიერკავკასიისა და წინა აზიისა, მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას, კერძოდ, მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთს, ჩრდილოეთ აფრიკას და სამხრეთ ევროპას (შეაღწიეს თვით ეგვიპტეში ,,ჰიქსოსების'' სახით). ამ ხალხიდან ხეთები და სუბარები, რომლებმაც შექმნეს მითანის სამეფო, წარმოადგენდნენ ქართველთა წინაპრებს (ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, ჯანაშია. 1943, 14). ძვ.წ. IX-VIII სს-ში მათ დააფუძნეს ახალი სამეფო-ურარტუ, რომლის მოსახლეობაც ხალდის (ქალდის) სახელით მოიხსენიებოდა. როგორც ჩანს, მუსკები (მუშქები) თუბალებთან ერთად შედიოდნენ სწორედ ხეთურ-სუბარულ გაერთიანებაში, რომლის დაშლის შემდეგ II ათასწლეულის დასასრულს დამოუკიდებელ გაერთიანებად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ.[46]

---

[46] სავარაუდოდ, მესხური ტომების გადაადგილება უნდა მომხდარიყო ზემო ევფრატისპირეთიდან ჩრდილოეთით კაპადოკიისაკენ და შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში. თუმცა ნ. ხაზარაძე მიიჩნევს, რომ პირიქით, მესხების გავრცელება დაიწყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ.

ს. ჯანაშიას მოსაზრებას ქართველურ ტომთა ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ იზიარებდა ბ. კუფტინი და განამტკიცებდა არქეოლოგიური მონაცემებით. როგორც ცნობილია, ადრე ბრინჯაოს ხანიდან (ძვ.წ IV ათასწლეულის II ნახევარსა და III ათასწლეულის I ნახევარში) საქართველოსა და სამხრეთ ამიერკავკასიაში გავრცელდა მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო კულტურა (ე.წ. ,,მტკვარ-არაქსის კულტურა"), რომელიც მეტად ფართო არეალს მოიცავდა. კერძოდ, მთელ კავკასიას, დაღესტანს, ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და ოსეთს, ასევე სამხრეთით აღმოსავლეთ ანატოლიასა და ჩრდილო-დასავლეთ ირანს, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაც კი (სირია, პალესტინა). ამ კულტურის მატარებელი ხალხი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი კავკასიური, ხურიტული და ქართველური წარმომავლობის (ო. ჯაფარიძე 1991, 136). მტკვარ-არაქსის კულტურა გავრცელებული იყო მესხეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, ჯავახეთის პლატოზე, ახალციხის ქვაბულში (ამირანის გორა) და სხვ. საგულისხმოა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის დასუსტების შემდეგ მესხეთში ძვ. წ. II ათასწლეულში ვრცელდება კოლხური კულტურა წარმოდგენილი ე.წ. კოლხური ცულებით. ძირითადად შესწავლილია ბორჯომის ხეობა.

რაც შეეხება წერილობით წყაროებს, პირველად მუსკებს ანუ მესხებს ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I მოიხსენიებს ძვ.წ. 1100 წლით დათარიღებულ წარწერაში. ისინი იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ ასურეთის ტერიტორიების დაპყრობასაც კი ცდილობდნენ. ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ,,მუსკების სამოქალაქო ცხოვრება საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა და ქალაქებიც ბლომად ჰქონიათ'' (ჯავახიშვილი 2012, 30). განვითარებული იყო ხელოსნობაც, განსაკუთრებით, თითბერის ჭურჭლის დამზადება. მუსკები ასურეთის მეფეს ძვ.წ. IX საუკუნეში ხარკად აძლევდნენ თითბერის ჭურჭელს, ხარებს, ცხვრებსა და ღვინოს (ჯავახიშვილი 2012, 30).

ბერძნულ წყაროებში მესხები პირველად მოიხსენიებიან ჰეკატეოს მილეტელთან, რომლის მიხედვით მოსხები კოლხური ტომია; ჰეროდოტესა და სტრაბონის მიხედვით მოსხები სხვა ტომებთან ერთად ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე (ტ. ფუტკარაძე 2014, 64). მათ ჰქონდათ ქალღმერთ ლევკოთეას მდიდრული ტაძარი, რომელიც

მოგვიანებით, როგორც ჰეროდოტე აღნიშნავს, გაძარცვულ იქნა[47]. იოსებ ფლავიუსი მოსოხენებს მიიჩნევს კაბადოკიელებად, რაზეც მისი აზრით, მიუთითებს კაბადოკიელთა დედაქალაქის სახელი - მაზახა (ტ. ფუტკარაძე 2014, 65). ბერძნულ წყაროებში მოგვიანებით (ძვ. წ. IV ს.) მოიხსენიება ასევე მოსხიკე (მუსქებისა და ქასქების საცხოვრისი). მუშქ-მესხების სახელს უნდა უკავშირდებოდეს მცხეთის და სამცხის ეტიმოლოგიაც. მესხი ტომების ქართველურ წარმომავლობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ დაღესტანში ქართველების აღსანიშნავად დღემდე იყენებენ ტერმინს - მოსოქი/მუსექი, ხუნძები ფშავ-ხევსურებს ,,მოსიხის" სახელით იცნობენ.

არსებობს აგრეთვე მოსაზრება მესხთა ტომების თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრების შესახებ. აფხაზთა ქართველური, კერძოდ, მესხური წარმომავლობის შესახებ მოსაზრება წამოაყენა ნ. მარმა, რაც შემდეგში განავითარა პ. ინგოროყვამ. პ. ინგოროყვას აზრით, აფხაზთა ტომის სახელწოდება ყოფილა ,,მოსხი" (მოსოხი), იგივე მესხი, რაც თავისთავად ცხადყოფს, რომ აფხაზები ქართველ ტომთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ (ინგოროყვა 1954, 137). აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა მეცნიერთა ნაწილმა.[48] აფხაზეთის მკვიდრი ქართველური ტომები მოსხები, კოლხები და სხვ. სანიგებთან ერთად შედიოდნენ ახ. წ. II საუკუნეში შექმნილ აბაზგიის სამთავროში და მონაწილეობას ღებულობდნენ მის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში.

უდავოა, რომ მესხები ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომია, რომელიც მეზობელ ხალხებში ,,ყოველთა ქართველთა" სახელად განზოგადდა (ტ. ფუტკარაძე 2014, 65). უდავოა ისიც, რომ მესხები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველური ტომების გაერთიანებათა თუ სახელმწიფოთა შექმნის პროცესში.

---

[47] სიმონ ჯანაშიას ვარაუდით, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ლევკოთეას ტაძრის ადგილას იქნა აგებული ღვთისმშობლის სახელობის აწყურის ტაძარი.

[48] მათი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მოსხებისა და აბაზგების იგივეობასთან, არამედ მათ მონათესავეობასთან და საერთო ისტორიასთან. (ინაძე 2009)

1.3. ისტორიულ-პოლიტიკური განვითარება

როგორც ცნობილია, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. -ით XII-VIII სს. მოხდა ქართველურ ტომთა დიდი გაერთიანების ჩამოყალიბება, რომელსაც ,,დიაოხი" ეწოდებოდა. მათი სამეფო ქალაქი შამშილუ, სავარაუდოდ, მდებარეობდა თორთუმისა და მტკვრის სათავეებში, თორთუმის ციხის ადგილას. მოგვიანებით ეს გაერთიანება გაანადგურა ურარტუს სამეფომ. ძვ. წ-ით VI-V სს.-ში საქართველოს სამხრეთ პროვინციები დაიპყრო აქემენიდების სამეფომ. ამ სამეფოს მე-19 ოლქში სხვა ქართველურ ტომებთან ტიბარენებთან და მოსინიკებთან ერთად შედიოდნენ ,,ტაოხებიც" (დიაოხელთა ბერძნული სახელწოდება), რომლებიც ქსენოფონტეს მიხედვით ცხოვრობდნენ ოლთისის ოლქში და არ ემორჩილებოდნენ სპარსეთს. როგორც შ. ლომსაძე ვარაუდობს, ,,ტაოხებში" იგულისხმებიან მესხები (ლომსაძე 2000, 3).

ძვ.წ.-ით IV საუკუნეში ქართულმა ტომებმა, რომლებიც გათავისუფლდნენ აქემენიდური სპარსეთის გავლენისგან, შესაძლოა ბერძნების დახმარებით, დაიწყეს ბრძოლა გაერთიანებისთვის და შექმნეს ქართლის სამეფო. ამ პროცესში ყველაზე აქტიური როლი სწორედ მესხებმა (მესხურმა ტომებმა) შეასრულეს, რაც აირეკლა დედაქალაქის - მცხეთის და ასევე სამცხის სახელწოდებაში: მსხ ¬ მცხ.

მესხთა გავლენა ო. ლორთქიფანიძის აზრით, დასავლეთ საქართველოშიც აღწევდა. იგი მიიჩნევს, რომ ძვ.წ. II-I სს-ში ,,მესხების ქვეყანა" მოიცავდა დღევანდელი ღადო-ახალციხის ქედის სამხრეთ კალთებსაც და უშუალოდ ემეზობლებოდა ,,ვანის ქვეყანას". მისი აზრით: ,,გამორიცხული არაა მესხთა, ე.ი. აღმოსავლეთ ქართული ტომების ცალკეული ჯგუფების კოლონიზაცია რიონის დაბლობში. ძვ. წ. IV-III სს. იყო სწორედ აღმოსავლეთ ქართული ტომების, და პირველ რიგში მესხთა ფართოდ განსახლების და აქტივობის ხანა" (ო. ლორთქიფანიძე 1984, 113). დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ქართლის (იბერიის) სამეფო ყოველთვის მოიცავდა სამცხე-ჯავახეთსა და მთლიანად მესხეთს. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, როდესაც ჩამოთვლის ფარნავაზის დროინდელ ქართლის საზღვრებს, ქართლის შემადგენლობაში მოიხსენიებს სამცხეს, ჯავახეთს, კოლა-არტაანს და კლარჯეთს ანუ მესხეთში შემავალ

თემებს. ქართლი კი ამ დროისათვის ფართო მნიშვნელობით გულისხმობდა მთლიანად საქართველოს, როგორც ეს გიორგი მერჩულეს აქვს ფორმულირებული: ,,ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომლისა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების" (მერჩულე 2014, თავი XLIV).

გარდა პოლიტიკურისა, მესხები დიდ როლს ასრულებდნენ ქართლის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. შემთხვევითი არაა, რომ ქრისტიანობის გავრცელება, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართლის სამეფოს განვითარება - წინსვლის საქმეში, სამხრეთ საქართველოდან დაიწყო. სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, აწყურში დაარსდა პირველი საეპისკოპოსო კათედრა; წმინდა ნინოს შემოსვლაც ქართლში მესხეთის (ჯავახეთის) გზით მოხდა. როდესაც ვახტანგ გორგასლის დროს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ნიშნად მთელ საქართველოში დაარსდა საეპისკოპოსოები, მესხეთში სამი საეპისკოპოსო (არტანუჯის, ოცხისა და წუნდის) დადგინდა. ვახტანგის დროსვე კლარჯეთის შემოერთების შემდეგ აიგო არტანუჯის ციხე, რომელიც იცავდა სამხრეთ საქართველოს ოლქებს.

ირანელთა, ბიზანტიელთა და VII საუკუნიდან არაბთა შემოსევებმა დაასუსტა ქართლი, რომელსაც VI საუკუნის 70-იანი წლებიდან ერისმთავარი განაგებდა. დასუსტდა და შემცირდა მოსახლეობა მესხეთშიც. განსაკუთრებით გაუკაცრიელდა მესხეთი მურვან ყრუს შემოსევების დროს, რასაც დაერთო 746-747 წლებში ბიზანტიიდან შემოჭრილი ეპიდემია - ,,შავი ჭირი" (ქოლერა). VIII ს. ბოლოს, როდესაც გრიგოლ ხანძთელი ტაო-კლარჯეთში მივიდა, მას აქა-იქ ტყეს შეფარებული მოსახლეობის მცირე რაოდენობა დახვდა, ხოლო მოქმედი მონასტრებიდან მხოლოდ ოპიზის მონასტერი ფუნქციონირებდა.

სასულიერო და საერო პირთა დაუღალავი შრომისა და ღვაწლის შედეგად მხარე ნელ-ნელა აღდგა და ხელახლა დასახლდა, ძირითადად, ქართლიდან გადმოსული მოსახლეობით. IX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სამეფო (იგივე ,,ქართველთა სამეფო"). მისი საზღვარი სამხრეთით არაქსის ზემო ხეობამდე, ხოლო დავით დიდის დროს X საუკუნეში ვანის ტბამდე და

ერზინჯანამდეც კი აღწევდა.[49] ტაო-კლარჯეთის სამეფოს გარშემო მოხდა ქართული მხარეების შემოკრება და გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რასაც დიდად შეუწყო ხელი ერთიანი სამწიგნობრო და საეკლესიო ენის არსებობამ. საგულისხმოა, რომ მესხეთმა და აქ არსებულმა მონასტრებმა ამ მხრივაც უდიდესი როლი შეასრულეს.

XI საუკუნეში საქართველოში დაიწყო სელჩუკთა თავდასხმები. ალფ-არსლანის პირველი შემოსევის დროს სელჩუკებმა აიღეს ახალქლაქი, მოსახლეობა აყარეს და ირანში გადაასახლეს. თურქთა შემოსევებისაგან განსაკუთრებით დაზარალდა მესხეთი, რასაც თან დაერთო 1088 წელს ძლიერი მიწისძვრა: დაინგრა თმოგვის ციხე და სოფლები.[50] მდგომარეობის გამოსწორება შეძლო დავით აღმაშენებელმა. მან საქართველო და მათ შორის მესხეთი გაწმინდა თურქებისგან, გაატარა რეფორმები და შეუდგა ქვეყნის აღმშენებლობას. დავითისა და თამარის ეპოქაში ქვეყანა დამშვიდდა, დაიწყო სამეურნეო და კულტურული აღმავლობა. ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში (ხუროთმოძღვრება, მწერლობა, მხატვრობა, ჭედურობა) კვლავაც აქტიური რჩებოდა მესხეთის როლი.

მესხეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მონღოლებთან ბრძოლის საქმეშიც. სამცხის მთავარი ივანე ჯაყელი-ციხისჯვარელი სხვა ქართველი ფეოდალებისაგან განსხვავებით მონღოლებს არ დანებდა და მანამდე ებრძოდა მათ, ვიდრე რუსუდან მეფისგან ბრძოლის შეწყვეტის ბრძანება არ მიიღო. სამცხეში დაიგეგმა აჯანყების მოწყობა მონღოლების წინააღმდეგ უმეფობის პერიოდში, რომელიც კოხტასთავის შეთქმულების სახელითაა ცნობილი. საბოლოოდ მონღოლებმა გადაწყვიტეს, სამცხე ჩამოეშორებინათ საქართველოსთვის და იგი როგორც ,,ხასინჯუ" დაექვემდებარებინათ უშუალოდ ყაენისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სამცხის მმართველები კვლავაც ატარებდნენ ქართულ სამეფო საკარისკაცო ტიტულებს - ამირსპასალარობას, მანდატურთუხუცესობას და ათაბაგობას, აღნიშნული ფაქტით საფუძველი ჩაეყარა სამცხის პოლიტიკურ გამოყოფას საქართველოდან.

---

[49] აქ მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად შედიოდა სამცხე-ჯავახეთიც.

[50] მემატიანეები ხშირად მიუთითებენ სამცხეში დამანგრეველ მიწისძვრებზე, მარტო თმოგვის ციხე რამდენჯერმე დაინგრა - 1089, 1283, 1319 წლებში.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა მესხეთისთვის თემურ-ლენგის შემოსევები, რომლის დროსაც აოხრდა ჯავახეთი, კოლა-არტაანი, სამცხე და ტაო. მძიმე ვითარება გრძელდებოდა მთელი XV საუკუნის მანძილზე. 1483 წელს იაყუბ ყაენმა ურიცხვი ლაშქრით დალაშქრა საქართველო, აიღო და დაანგრია ახალციხე, ,,ვინც მუსლიმი გახდა, ის უვნებელი გადარჩა, ხოლო ,,ვინც არ მიიღო ჭეშმარიტი სარწმუნოება, ის არყოფნის გზით გაეჩქარა (მოიკლა)'' - წერს ჰასან რუმლუ (ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ 1966, 17-18). XV ს-ის ბოლოს, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, მესხეთი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ცალკე სამთავროდ, რაც სამცხის მმართველი დინასტიის - ჯაყელების სეპარატისტული პოლიტიკის უდავო შედეგიც იყო. სამცხის მთავრების სამოხელეო თანამდებობა- ათაბაგობა, რომლის ბოძებაც საქართველოს მეფეების მიერ ხდებოდა, იქცა მათ პოლიტიკურ ტიტულად. მესხეთის აღმნიშვნელი პოლიტიკური სახელწოდება კი ამიერიდან გახდა ტერმინი სამცხე - საათაბაგო.

1.4. ოსმალთა ბატონობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში

XVI საუკუნეში სამცხე-საათაბგო აღმოჩნდა ახალი საშიშროების წინაშე. მას დაპყრობით დაემუქრა გაძლიერებული ოსმალეთის იმპერია. ათაბაგები ცდილობდნენ, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ანტიოსმალურ კოალიციაში, რომლის შექმნის ინიციატივით გამოვიდა რომის პაპი. ყვარყვარე ჯაყელმა 1459 წელს თავისი ელჩი ფარსადანი მიავლინა ბურგუნდიის მთავართან და შესთავაზა კავშირის შეკვრა. სამწუხაროდ, ანტიოსმალური კოალიციის შეკვრა ვერ მოხერხდა და ქართველი მეფე-მთავრების დროებითი ერთიანობა მათ შორის დაუნდობელმა ბრძოლამ შეცვალა. სამცხე-საათაბაგო ოსმალეთისა და სპარსეთის თავდასხმების ობიექტი გახდა. მიუხედავად ამისა, სამცხის ათაბაგები აგრძელებდნენ სეპარატისტულ პოლიტიკას, რაც დამღუპველი აღმოჩნდა სამხრეთ საქართველოსთვის. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმერეთისა და ქართლის მეფეებიც, სამცხე-საათაბაგოში ოსმალები გაბატონდნენ. XVI საუკუნის ბოლოდან იწყება მათ მიერ დაპყრობილი ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანების ხანგრძლივი და მძიმე პროცესი.

პირველ რიგში, ოსმალეთი შეუდგა დაკავებულ ტერიტორიებზე თურქული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოღებას. ქართული მოსახლეობის გამუსლიმების მიზნით, დაამკვიდრეს მიწათმფლობელობის ოსმალური წესი. ისტორიკოსი შ. ლომსაძე აღნიშნავს, რომ ,,თუ მესხეთის პოლიტიკურ დამორჩილებას თურქებმა ერთსაუკუნოვანი ბრძოლა მოანდომეს, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ეს ბრძოლა სამასი წელი გაგრძელდა. სარწმუნოებრივი საკითხები საადგილმამულო საკითხებს რომ არ დაკავშირებოდა, ქრისტიანული ეკლესია ბრძოლას ალბათ არ წააგებდა" (ლომსაძე 2011, 284).

XVII ს. 30-იანი წლებისთვის ახალციხის საფაშოს[51] ფეოდალთა უმრავლესობა ჯერ ისევ ქრისტიანობას ინარჩუნებდა. გამაჰმადიანებულთა, მათ შორის ფაშების, ოჯახის წევრებიც კი ქრისტიანები იყვნენ. გადამწყვეტი შეტევა ქრისტანობის წინააღმდეგ დაიწყო 1639 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ძალითაც ირანმა მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის გავლენის სფეროდ ცნო.

XVII ს-ის 50-იან წლებში როსტომ ფაშამ (1644-1659) გამოსცა ბრძანება, რომ ყველა დიდ მოხელეს უარი ეთქვა ქრისტიანობაზე. წარჩინებულთა ერთი ნაწილი გამაჰმადიანდა, ნაწილი კი გაიქცა საქართველოს სხვა კუთხეებში. მოიშალა საეპისკოპოსოებიც. როსტომ ფაშამ ხატებს მოხსნა თვალმარგალიტი და დაწვა ჯვრებთან, სახარებასთან და სხვა საეკლესიო წიგნებთან ერთად.

შარდენის დაკვირვებით, XVII ს. 70-იან წლებში ახალციხის საფაშოს ბარის მოსახლეობა შერეული იყო რელიგიური თვალსაზრისით (ქრისტიანები და მაჰმადიანები), ხოლო მთაში ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობდნენ (შარდენი 2014, 50-55).

XVIII ს. 40-70-იან წლებში, როგორც ვახუშტის აღწერიდან და გიულდენშტედტის ,,მოგზაურობიდან" ჩანს, ფეოდალები სრულიად გამაჰმადიანებულნი არიან, სამოსელი თურქულია, ენაც კი ხშირად ,,ნადიმთა და კრებულთა" შინა - თურქულია. გლეხების უმეტესობა კვლავ ქრისტიანია, თუმცა სამცხეში XVIII ს-ის I ნახევარში გლეხთა ნაწილი

[51] ოსმალეთთან მიერთების შემდეგ სამცხე-საათაბაგო ახალციხის საფაშოდ იწოდებოდა.

გამაჰმადიანდა, უკეთესი მდგომარეობა იყო ჯავახეთში. ენა ქართული იყო სამცხეშიც და ჯავახეთშიც: ,,ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათვის ოსმალთა” (ვახუშტი 1973, 131). ,,ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის ბოლოსაც კი სამცხე-ჯავახეთი ჯერ კიდევ წმინდა ქართულ ეთნიკურ მხარეს წარმოადგენდა“ - აღნიშნავს შ. ლომსაძე (ლომსაძე 2011, 297). საგულისხმოა, რომ ისლამის შესვლა და გავრცელება სამხრეთ საქართველოში მოხდა ჯერ ლაზეთში, შემდეგ ჭოროხის ხეობაში, შემდეგ სამცხე-ჯავახეთში, შავშეთ-აჭარაში და ბოლოს ქობულეთის მხარესა და ზემო კინტრიშში. სამწუხაროდ, თანდათან ხდებოდა თურქულენოვანი ტოპონიმიის წარმოქმნა და დამკვიდრებაც.

რელიგიის მიღებას თან სდევდა ქართული ენის შეცვლა თურქულით. გიორგი ყაზბეგის დაკვირვებით, დაპყრობილ მესხეთში მშობლიური ენის გადავიწყება ყველაზე ადრე ხდებოდა იმ სოფლებში, რომლებიც დიდი გზის პირას მდებარეობდნენ და ოსმალებთან ურთიერთობაში მეტად იყვნენ ჩართულნი. შ. ლომსაძე მიუთითებს, რომ ქართული ენა და ქრისტიანობა ყველაზე მტკიცედ შემორჩათ ახალციხის საფაშოს იმ სოფლებს, რომელნიც ფაშას სახასოს წარმოადგენდნენ და ერთგვარი იმუნიტეტით სარგებლობდნენ (ლომსაძე 2011, 298).

XVI საუკუნიდან დაწყებული, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში ერთიმეორის მიყოლებით უქმდებოდა საეპისკოპოსოები. 1753 წელს გაუქმდა ლაზ-ჭანთა უკანასკნელი ეპარქია - ხოფის საეპისკოპოსო. XVII ს-ის II ნახევარში სამცხე-საათაბაგოში შემავალი 14 მართლმადიდებლური საეპისკოპოსოდან დარჩა მხოლოდ ერთი, სავარაუდოდ აწყვერის ან საფარის, ისიც გაუქმდა 1763 წელს. მართლმადიდებლური ღვთისმსახურება მაინც აღევლინებოდა, მაგ.: რაბათის წმინდა მარინეს ეკლსიაში, ასევე საფარის მონასტერში. თვით გამაჰმადიანებული მოსახლეობაც კი XIX ს. დასაწყისამდე იცავდა ქრისტიანულ წესებს, მარხულობდა და ა.შ. სრულად იყო შენარჩუნებული ქართული წეს-ჩვეულებები და ქართული ენა XIX ს-ის 70-იან წლებამდეც კი.

გამაჰმადიანებული ქართველები არ მიიჩნევდნენ თავს თურქებად, მაგრამ აღარც ქართველებად იწოდებოდნენ, რადგან ქრისტიანები არ იყვნენ. ეთნიკური თურქებისგან

გასამიჯნად ისინი თავს უწოდებდნენ ,,იერლის” (ადგილობრივი) ან ,,ბინალის” (ამ ქვეყნის ბინადარი). იერლიმ იცოდა, რომ ის თურქი არაა, არც ქურთი, არც თარაქამა, არც ქართველი, ანუ ქრისტიანი, არამედ იერლია, ე.ი. ქართველი მაჰმადიანი, ამ ქვეყნის ნამდვილი პატრონი და ბინადარი (ლომსაძე 2011, 308). მიუხედავად ამისა, ოფიციალურ დოკუმენტებში ისინი ,,თათრებად”, ბოლოს კი ,,თურქებად” მონათლეს.

თავი 2. სამცხე-ჯავახეთი - მრავალეთნიკური რეგიონი

2.1. მოსახლეობა (ზოგადი მიმოხილვა XX ს-მდე)

ანტიკურ პერიოდსა და ადრეულ შუა საუკუნეებში მესხეთი მჭიდროდ დასახლებულ და ხალხმრავალ მხარედ ჩანს, რომლის მოსაზღვრე პროვინციებში (ანი, ყარსი, ვლაშკერტი, არზრუმი) ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქართველი მართლმადიდებლები და სომხურ-გრიგორიანული მოსახლეობა. გარდამავალი ჩანს მესხეთის სამხრეთის პროვინციების ე.წ. გარდამავალი ზონის ენაც (ქართულ-სომხური, ქართულ-ბერძნული და ბოლოს ქართულ-თურქული); ,,მესხეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბოლო დრომდე ქართული იყო. აქვე მცირე რაოდენობით გვხვდებიან სომხები, ებრაელები, ბერძნები“ (ლომსაძე 2011, 283). მოსახლეობის რაოდენობა ხან მატულობდა, ხან მცირდებოდა (კატასტროფული სიტუაციაა არაბობის დროს). ხშირ შემთხვევაში უკაცრიელდებოდა ბევრი დასახლებული პუნქტი. ისტორიულ წყაროები მოწმობენ არაბების, თურქ-სელჩუკებისა და მონღოლთა ამაოხრებელი ლაშქრობების მძიმე შედეგებს სამცხე-ჯავახეთისთვის. გამუდმებულ ომებს თან ერთვოდა კატასტროფული მიწისძვრები, მოუსავლიანი წლები, ეპიდემიები და სხვ.

ადრეულ საუკუნეებში მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა, რა თქმა უნდა, ძნელია. მართალია, საქართველოში პერიოდულად ტარდებოდა აღწერები, მაგრამ ამ აღწერების შედეგები ან დაკარგულია ან არ იძლევა მოსახლეობის რაოდენობის ზუსტად დადგენის საშუალებას ცალკეული კუთხეების მიხედვით. სუმბატ დავითის ძის მიხედვით, ქართლში VII საუკუნეში სტეფანოზის ერისმთავრობის დროს ,,ქუეყანაი ქართლისა აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს'' (ქართლის ცხოვრება, ტ.1 1955, 323). რიგით მეორე აღწერა ბიზანტიელების მიერ უნდა ჩატარებულიყო XI საუკუნის 20 -იან წლებში, მაგრამ არც ამ აღწერის შედეგებია ცნობილი. შემდეგი აღწერა ჩაატარეს უკვე მონღოლებმა 1254 წელს. აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 5 მილიონს უდრიდა. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ვ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ სამცხე-ჯავახეთში სულ მცირე 200 ათასი კაცი ცხოვრობდა (ვ. ლორთქიფანიძე 1992, 44).

კატასტროფულად მცირდება მოსახლეობის რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში მომდევნო საუკუნეებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგო ოსმალებმა დაიპყრეს და მას ,,გურჯისტანის ვილაიეთი" (საქართველოს პროვინცია) უწოდეს. აუტანელი პირობებისა და ქრისტიანობის დაკარგვის შიშით, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ქვეყნის შიდა რაიონებში გადასახლდა, ნაწილი თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა, ნაწილი კი შეეგუა ახალ მმართველობას.

ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", რომელიც 1595 წელსაა შედგენილი ოსმალების მიერ მოსახლეობის დაბეგვრის მიზნით.

სამცხე-საათაბაგო, დავთრის მიხედვით, დაყოფილია ადმინისტრაციულ ერთეულებად - ლივებად (სადროშოებად) და ნაჰიებად (რაიონებად). სულ აღნუსხულია 8 ლივა და 28 რაიონის 1160 სოფელი. მათგან 368 სოფელი უკაცრიელია, ძირითადად პეტრეს (ბორჯომის) ლივაში. ამ დავთრის მონაცემების მიხედვით, ვ. ლორთქიფანიძის გაანგარიშებით (კომლთა რაოდენობის რვაზე გამრავლებით), XVI საუკუნის ბოლოს, სამცხე-საათაბაგოში 101 864 კაცი ცხოვრობდა, სამცხეში - 31 400, ხოლო ჯავახეთში - 8 344 კაცი, მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 39 744 კაცს შეადგენდა. ამ დროისთვის მოსახლეობის 95 %-ზე მეტს ქართველები შეადგენდნენ, ხოლო 97% -ს ქრისტიანები. დავთარში ყოველი მუსლიმის სახელს გაკეთებული აქვს სპეციალური ნიშანი (ვ. ლორთქიფანიძე 1992, 46).

XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე არავითარი პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, თუმცა პროფესორმა ვ. ჯაოშვილმა არაპირდაპირი გზით გამოთვალა მხარის მოსახლეობა 1770 წლისთვის. მისი აზრით, სამცხე-ჯავახეთში ამ დროისთვის ცხოვრობდა 34 ათასი კაცი (ჯაოშვილი 1984, 48).

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის რაოდენობა ოსმალთა ბატონობის პერიოდში საგრძნობლად შემცირდა. ამასთან, მოიმატა გამაჰმადიანებულ ქართველთა რიცხვმა, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში ,,მოსახლეობის ეროვნული

შემადგენლობის მხრივ კარდინალურ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია და მესხეთის მიწა-წყალზე თურქთა მასობრივი ჩამოსახლება არ ყოფილა" (ქიმაძე 2004, 24).

არანაკლებ მძიმე პირობები შეიქმნა მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში XIX საუკუნეში. რუსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული ომების შედეგად, სამცხე-ჯავახეთი, როგორც იქნა, კვლავ საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. გამაჰმადიანებული ქართველებისა და აქ მცხოვრები თურქების დიდმა ნაწილმა რუსეთთან მიერთების შემდეგ დატოვა ეს მხარე და თურქეთში გადასახლდა. გადასახლების პროცესი (ე.წ. ,,მუჰაჯირობა") გრძელდებოდა მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში. ამასთან, ის გამაჰმადიანებული ქართველები, ჯერ კიდევ წმინდა ქართულით მოლაპარაკენი, ვინც სამშობლოში დარჩა, რუსეთის მთავრობამ ,,თათრებად" მონათლა (ფრონელი 1991, 40). რასაკვირველია, ეს ფაქტი მათ აღმსარებლობას უსვამდა ხაზს და არ მიანიშნებდა ეროვნებაზე. მკვლევარი კლარა ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ ქართველთა გამუსლიმების შემთხვევაში მესხურ გვარებს აცილებდნენ დაბოლოებას - ,,შვილი", ,,ძე" და უმატებდნენ თურქულ ,,ოღლის" (ბარათაშვილი 1997).

რუსეთის იმპერიამ ადგილობრივ სკოლებში გააბატონა რუსული და თურქული ენები. დიდი რაოდენობით ჩამოასახლეს სომხები. პერმანენტულად მიმდინარეობდა რეგიონში თურქების, ქურთების, ბერძნებისა და რუსების ჩამოსახლება.

რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას XIX საუკუნეში, თურქების გაანგარიშებით, 1828 წლისთვის ჯერ კიდევ ახალციხის საფაშოდ წოდებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა 34 283 ოჯახი (დაახლ. 280 000 ადამიანი). აქედან ახალციხის სანჯაყში ცხოვრობდა დაახლოებით 39 000 კაცი. დიუპრეს მოწმობით, მარტო ქალაქ ახალციხის მცხოვრებთა რაოდენობა აღემატებოდა 40000-ს. შ. ლომსაძის გაანგარიშებით, 1828-29 წწ. ომის დაწყებამდე ახალციხის საფაშოს შემოერთებულ ნაწილში (10 სანჯაყი) ცხოვრობდა დაახლოებით 106 000 ადამიანი; ქალაქ ახალციხეში ცხოვრობდნენ ქართველი მაჰმადიანები, მართლმადიდებლები, კათოლიკეები, თურქები, ქართველი ებრაელები და სომხები - დაახლოებით 30 000 კაცი (ლომსაძე 2011, 319); ომის პერიოდში დაღუპულთა

და შემდეგ თურქეთში გადახვეწილთა რაოდენობა კი იყო დაახლოებით 60 ათასი კაცი. მათგან ორ მესამედს შეადგენდნენ ქართველი მაჰმადიანები. ამის გამო, გაჩნდა დიდძალი თავისუფალი მიწა-მამული, რომელთა უმეტესობა რუსეთის მთავრობამ სახაზინოდ აქცია. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. შოთა ლომსაძე: ,,ეს იყო ჩვენი ეროვნული კატასტროფა, რამაც საქართველოში უხმაუროდ ჩაიარა" (ლომსაძე 2011, 320). მიუხედავად ამისა, XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ახალციხის მხარეში ახალქალქის მაზრისაგან განსხვავებით ქართული ელემენტი მაინც უმრავლესობას შეადგენდა.

1865 წელს გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით, პოლიციის მოხელეთა მიერ შეკრებილ იქნა ცნობები მოსახლეობის რაოდენობისა და ზოგიერთი სტრუქტურული მაჩვენებლის (ეროვნება, რელიგია) მიხედვით. ამ მონაცემებით, ახალციხის მაზრაში ცხოვრობდა 20 ათასი ქართველი მაჰმადიანი (ვ. ლორთქიფანიძე 1993, 16).

1880 წლის სამრევლო წიგნების მიხედვით, ახალციხის მაზრაში 45 169 კაცი ცხოვრობდა - ქართველები, სომხები, თათრები[52]. სომხები ძირითადად ცხოვრობდნენ ქალაქ ახალციხეში (76%), ხოლო სოფლებში ცხოვრობდნენ ქართველები - 17 300 კაცი, მათ შორის 4 337 მართლმადიდებელი, 12 963 ქართველი მაჰმადიანი.

ვაჟა ლორთქიფანიძის მონაცემებითაც სამცხე-ჯავახეთში 1880 წლისთვის ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები და ,,თათრები" (22 499 ქართველი, 49 590 სომეხი, 16 400 ,,თათარი"). ამასთან ახალციხის მაზრაში ქართველები სჭარბობდნენ სომხებს (18 150 ქართველი, 16 886 სომეხი), ხოლო ახალქალაქის მაზრში სომხური მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო - 4 279 ქართველი, 32 704 სომეხი (ვ. ლორთქიფანიძე 1993). რაც შეეხება ,,თათრებს", მათი გარკვეული ნაწილი წარმოშობით ქართველი იყო, მაგრამ მაჰმადიანობის გამო აღრიცხავდნენ ,,თათრებად".[53] ეროვნებას უცვლიდნენ იმ ქართველებსაც, ვინც კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი იყო. მათ სომხებად

[52] თათრებად აღრიცხულთა გარკვეული ნაწილი სინამდვილეში ქართველი მაჰმადიანები იყვნენ.
[53] ამ შემთხვევაში, თათარი არა ეთნიკურობის, არამედ სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინია.

წერდნენ. ამიტომაა, რომ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რაიმე სერიოზული მიგრაციული პროცესების გარეშეც ქართველების საწინააღმდეგოდ იცვლებოდა.

1886 წელს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა შეადგენდა 122 590 კაცს. მათგან 33 001 ქართველი იყო, 61 426 სომეხი და 16 114 ,,თათარი". 1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა პირველი საყოველთაო აღწერა, რომლის მონაცემებით სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 141 546 კაცი ანუ 1886 წელთან შედარებით 19 ათასით მეტი. ამ აღწერით საგრძნობლადაა შემცირებული ქართველთა რაოდენობა, გაზრდილია სომხების რიცხვი და პირველად ჩანს თურქი მოსახლეობა. რა თქმა უნდა, თურქები მაშინ არ შემოსულან საქართველოში, ისინი აღწერაში გამოჩნდნენ პირველად, რასაც თავისი ახსნა აქვს. კერძოდ, აღწერაში მოხსენიებული თურქები, რომლებიც მანამდე არსად ჩანან საოჯახო სიებში, უნდა იყვნენ ეროვნებით ქართველები, რომლებიც მათი რელიგიური კუთვნილებისა და ენის გამო თურქებად ჩაწერეს.[54] ვაჟა ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ ,,თათარსა და თურქს შორის აღრევას ადგილი არ ჰქონია და, რომ 1897 წელს აღრიცხული თურქები ძირითადად ქართველები არიან. ამ მიზეზითაა სწორედ შემცირებული ქართველების რაოდენობა 1886 წელთან შედარებით 14 337 კაცით" (ვ. ლორთქიფანიძე 1998, 154).

[54] 1897 წლის აღწერის დროს ეროვნება განისაზღვრებოდა მშობლიური ენის მიხედვით, მაჰმადიანი ქართველები კი, როგორც ჩანს, ძირითადად თურქულად საუბრობდნენ.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1897 წელს (ვ. ლორთქიფანიძე 1998, 152)*:*

	მოსახლეობა	ქართველი	სომეხი	თათარი	თურქი
ქალაქი ახალციხე	15357	3578	9035	108	59
ახალციხის მაზრის სოფლები	53480	8635	6109	12262	24078
მთლიანად ახალციხის მაზრა	68837	12213	15144	12370	24137
ქალაქი ახალქალაქი	5440	129	4136	27	17
ახალქალაქის მაზრის სოფლები	67269	6322	48403	6545	279
მთლიანად ახალქალაქის მაზრა	72709	6451	52539	6572	296
სამცხე-ჯავახეთი	141546	18664	67683	18942	24433



სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1897 წელს

	ქ. ახალციხე	ახალციხის მაზრის სოფლები	ახალციხის მაზრა	ქ. ახალქალაქი	ახალქალაქის მაზრის სოფლები	ახალქალაქის მაზრა	სამცხე-ჯავახეთი
თურქი	59	24078	24137	17	279	296	24433
თათარი	108	12262	12370	27	6545	6572	18942
სომეხი	9035	6109	15144	4136	48403	52539	67683
ქართველი	3578	8635	12213	129	6322	6451	18664

2.2. მიგრაციული პროცესები XVI საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე

1578 წლიდან, მას შემდეგ რაც ოსმალეთმა დაიპყრო სამცხე-საათაბაგო, ქართველების დიდმა ნაწილმა დატოვა მშობლიური კუთხე. ისინი უმთავრესად ქართლში, იმერეთსა და გურიაში სახლდებოდნენ. მიგრაციის პროცესი XVII საუკუნეშიც გაგრძელდა. XVIII ს.-ში მესხეთიდან მიგრაციამ თანდათან იკლო. დაიწყო პირიქით - ქართლ-კახეთიდან და იმერეთიდან გაქცეული მოსახლეობის (ძირითადად გლეხობის) მესხეთში ჩამოსვლა და დასახლება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბევრმა სამცხე-ჯავახეთში გასახლებულმა უკან დაიწყო დაბრუნება. მაგ. ,,1801 წელს ოქტომბერში ჯავახეთიდან

გადმოვიდა ქართველთა 17 ოჯახი, რომლებიც ადრე ქართლში ცხოვრობდნენ. გადმოსულები მოითხოვდნენ თავიანთ ძველ ადგილზე დასახლებას“ (ლომსაძე 2011, 323).

ახალციხეში მრავლად იყვნენ აგრეთვე ლეკების მიერ გატაცებული და ტყვედ გაყიდული ქართველები. 1810 წელს, როდესაც გენერალ ტორმასოვის ნაწილები გადავიდნენ ახალციხის მხარეში, ასეთი გლეხობა მათ აქ მრავლად დახვდათ. 1810 წლის ოქტომბერში ქართულ მილიციას მიეცა ბრძანება (მთავარმართებელი ტორმასოვი), შემოევლო მთელი საფაშო და აქედან გაესახლებინა ქრისტიანული მოსახლეობა და გაერეკა მათი საქონელი. მოხდა ქართველ ქრისტიანთა მასობრივი გასახლება (1500 ოჯახი), რის გამოც შესამჩნევად შემცირდა მათი რიცხვი. სწორედ ამ პერიოდში სოფელ კოთელიიდან, რომელიც ჯავახეთის მართლმადიდებელ ქართველთა მთავარი საყრდენი იყო[55], აყარეს 112 ოჯახი და ქვემო ქართლში გადაასახლეს (სოფ. დიდი ლილო და ლორეს მხარე). ამგვარმა პოლიტიკამ დიდი ზიანი მიაყენა სამცხე-ჯავახეთს. აგრეთვე იყო მცდელობა, რომ გაესახლებინათ ხერთვისის სანჯაყის ბეგები ქვეშევრდომებთან ერთად ქვემო ქართლში.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როცა ახალციხის საფაშოს ნაწილი საქართველოს შემოურთდა, ბევრი გლეხი დაბრუნდა ქართლიდან და იმერეთიდან თავის მიწაზე. ახალციხის აღებისთანავე პასკევიჩთან გამოცხადდნენ მესხეთიდან გაქცეულ თავად-აზნაურთა შთამომავლები და მოითხოვეს ყოფილი მამულების დაბრუნება, მაგრამ მათ უარი მიიღეს[56].

ახალციხის გათავისუფლებას მოჰყვა მოახალშენეთა რაოდენობის გაზრდა. ბატონყმობას გამოქცეული გლეხები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში დიდ რაოდენობით სახლდებოდნენ სამცხეში, აგრეთვე ბორჯომის ხეობაში. ბორჯომის ხეობას დიდ ყურადღებას აქცევდა ვორონცოვიც, რომელსაც სურდა ბორჯომის მინერალური წყლების უკეთ მოწყობა. ამ ტერიტორიაზე პრეტენზია ჰქონდათ ავალიშვილებს, მაგრამ

---

[55] სოფელ კოთელიაში აფარებდნენ თავს სოლომონ მეორე, ალექსანდრე ბატონიშვილი და სხვა ქართველი ემიგრანტები

[56] პასკევიჩი გათავისუფლებულ მიწებზე რუსების ან სხვა ხალხის ჩამოსახლებას გეგმავდა

ყველა სადავო მამული გადაეცა ხაზინას. მთავრობამ მხოლოდ რამდენიმე უკრაინელი კაზაკის ჩამოსახლება შეძლო, დანარჩენი მოახალშენეები ქართველები იყვნენ. თუმცა ისინი არ გასცილებიან საკირისა და ტაძრისის მიდამოებს, გასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში დასახლების ნებას მათ არ აძლევდნენ. ქართველი მოახალშენეები დასახლდნენ მხოლოდ ჩრდილოეთ სამცხეში; არსებობდა იმერეთის სახაზინო გლეხების სამცხე-ჯავახეთში დასახლების პროექტიც, მაგრამ არ განხორციელებულა (ლომსაძე 2011, 331).

რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, ხელი შეეშალა მკვიდრი ქართული მოსახლეობის, განსაკუთრებით მართლმადიდებელი ქართველების, რეგიონში დასახლება - მომრავლებისთვის და ხელოვნურად ცვლიდა ეთნო-დემოგრაფიულ სურათს. ამავე დროს, ხელს უწყობდა არაქართველი მოსახლეობის, მათ შორის, სომხების, რუსი სექტანტების და სხვ. ჩამოსახლებას, რითაც ქმნიდა დასაყრდენს იმპერიის ურყევი ბატონობისთვის.

სომხების პერიოდულ შემოსვლა-ჩამოსახლებას საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ჰქონდა ადგილი. მკვლევარები შოთა და ოთარ თეთვაძეები ნაშრომში ,,სომხები საქართველოში" სომეხთა მიგრაციის 4 ძირითად ეტაპს გამოყოფენ:

1. VI-XIV სს.
2. XV-XVIII სს.
3. XVIII ს. ბოლო-XX ს. 20-იან წლებამდე
4. 1921-1990 წწ. (თეთვაძე და თეთვაძე 1988)

სომხური მოსახლეობის გამრავლება-შემცირება საგარეო-პოლიტიკურ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული. სომხები იკავებდნენ ზოგჯერ მნიშვნელოვან თანამდებობებსაც კი, ხოლო სომეხი ვაჭრები ებრაელ ვაჭრებთან ერთად XVII-XVIII სს. სარგებლობდნენ გარკვეული პრივილეგიებით. XVIII ს-ში ბევრმა სომეხმა მელიქმა თავადობა მიიღო ქვემო ქართლში და სომეხთა კომპაქტური დასახლება შექმნა. სომეხი ვაჭრების საქართველოში დამკვიდრებას ხელს უწყობდა ერეკლე II. შოთა ლომსაძე

აღნიშნავს, რომ ,,სომეხ მელიქთა და მდიდარ ვაჭართა ლოლიავს ერეკლემ ქვემო ქართლი კინაღამ გადააყოლა“ (ლომსაძე 2000, 344).

აღმოსავლეთში სომეხ ვაჭართა როლის მნიშვნელობას რუსეთმა უკვე პეტრე პირველის დროიდან მიაქცია ყურადღება. ამ პერიოდიდან იქმნებოდა პროექტები, რომლის მიზანიც იყო რუსეთის მიერ კავკასიაში დაკავებულ ტერიტორიებზე ირანიდან და თურქეთიდან ქრისტიან სომეხთა ჩამოსახლება. 1826-1828 წლებში რუსეთ-ირანის ომის დროს 35 ათასი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში, ძირითადად, ქვემო ქართლში. რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის დროს თურქეთში მცხოვრებმა სომხებმა გამოთქვეს სურვილი, ჩასახლებულიყვნენ საქართველოში რუსეთის ნაცვლად. თავდაპირველად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნესელროდეს გეგმით სომხების ჩასახლება უნდა მომხდარიყო კოლხეთში, იმერეთ-სამეგრელოს ტერიტორიაზე, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა. 1828 წლიდან ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ყაზახების ჩამოსახლების იდეამ ადგილი დაუთმო თურქეთიდან ქრისტიანი სომხების ჩამოსახლების პროექტს. ახალციხის საფაშოში მათი შემოსახლების იდეის ავტორობა კი ეკუთვნის გენერალ პასკევიჩს.

პასკევიჩმა იმპერატორს წარუდგინა მოხსენება, სადაც ითხოვდა 10 000 სომხური ოჯახის გადმოსახლების ნებართვას. თითოეული კომლისთვის კი - 25 მანეთს. ეს, მისი აზრით, დიდად შეუწყობდა ხელს შემოერთებულ მხარეში ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინებას. ნებართვის მიღების შემდეგ პასკევიჩი შეუდგა გადმოსახლების ორგანიზებას, შეადგინა რა გადმოსახლების ეროვნული კომიტეტი გუბერნატორ ზავილეისკის თავჯდომარეობით. ოფიციალურად გადმოსახლება დაიწყო 1830 წლიდან. თავდაპირველად გამიზნული იყო 8 000 კომლის ჩამოსახლება, მაგრამ წამოვიდა ბევრად მეტი - 14 000 ოჯახი. ამის გამო, საბოლოოოდ ჩაიშალა კაზაკათა სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლების გეგმა.

პარალელურად მიმდინარეობდა მაჰმადიან ქართველთა გასახლების პროცესი, რომელსაც ყოველნაირი ღონისძიებით აჩქარებდნენ და ხელს უწყობდნენ.. სწორედ ამ მიზნით, პასკევიჩმა თვითნებურად მისცა ადგილობრივ ბეგებს მამულების გაყიდვის

უფლება, რომელიც გროშებზე იყიდებოდა სხვადასხვა ჯურის ვაჭარ-სპეკულანტებზე ან თვითონ რუს მოხელეებზე. რუსი მოხელეები მიმართავდნენ ასევე პროპაგანდას, შანტაჟს, დაშინებას, მუქარას. შეშინდნენ თვით ქრისტიანი ქართველებიც კი. თავის მხრივ, თურქეთის მთავრობაც დაჟინებით მოითხოვდა ახალციხის საფაშოს მთელი მოსახლეობის გადასახლებას თურქეთში. ამ საქმეში დიდად ,,იშრომა“ გენერალმა ვასილ ბებუთოვმა, რომელიც 1828-1830 წლებში საფაშოს დროებითი მმართველობის უფროსი იყო. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საშინელი ზეწოლისა, ქართველ მაჰმადიანთა დიდი ნაწილი მაინც დარჩა, განსაკუთრებით სამცხეში, სადაც ისინი ქართულ ენაზე საუბრობდნენ. დარჩენილ ქართველებს ექცეოდნენ როგორც თურქებს და თიშავდნენ ქრისტიანებისაგან.

გადმოსახლებულ სომეხთა დასახლება ხდებოდა როგორც სახაზინო, ასევე მემამულეთა კერძო მიწებზე. კოლონისტების ნაწილი დასახლდა ისეთ სოფლებშიც, სადაც მკვიდრი მოსახლეობა უკვე ცხოვრობდა. შ. ლომსაძის მიხედვით გადმოსახლებულთა რაოდენობა სულ შეადგენდა 90 000 კაცს (არზრუმიდან, ბაიაზეთიდან, ყარსიდან). ახალციხესა და ახალქალაქში გადმოსახლდნენ არზრუმელი სომხები - 5 000 ოჯახი, დაახლ. 30-35 ათასი კაცი (ლომსაძე 2011, 358). სომეხი კოლონისტები სწრაფად შეეგუენ სამცხე-ჯავახეთში ცხოვრებას და მტკიცედ დამკვიდრდნენ. მათ შექმნეს ძლიერი საეკლესიო- რელიგიური თემები და ისე შეცვალეს სოციალურ-ეკონომიკური ლანდშაფტი, რომ სოფლები უძველეს სომხურ დასახლებებს დაამსგავსეს. ახალქალაქის მაზრა თითქმის მთლიანად დაიფარა სომხური სოფლებით, რომელთა შორის აქა-იქ პატარა ოაზისებად დარჩნენ ქართული სოფლები. ზაგურსკი აღნიშნავდა, რომ ქვეყანა ისეთ სახეს იღებს, თითქოს თავიდანვე სომხებით ყოფილიყო დასახლებული.

ახალმა მშენებლობებმა მოსპო მარჯვენა ნაპირის ჯავახეთში ტყის უკანასკნელი ნარჩენები, მოისპო მრავალი ქართული ძეგლი. ამის შესახებ ხმამაღლა აცხადებდა ივანე გვარამაძე. საგულისხმოა, რომ სომეხთა გაბატონებასა და პრეტენზიებს XIX საუკუნეში აქტიურად უპირისპირდებოდა ქართული ინტელიგენცია (ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა).

მერაბ ბერიძე აღნიშნავს, რომ: ,,იმ ადგილებში, სადაც სომეხთა ჩასახლება მოხდა, მთლიანად მოისპო ჯავახეთის მაშინდელი მიკროტოპონიმია. უცვლელი დარჩა მხოლოდ სოფელთა სახელები, რასაც თავისი ეკონომიკურ-სოციალური საფუძველი ჰქონდა" (ბერიძე 1992, 17). უცვლელი დარჩა უცხო ენისთვის რთულად გამოსათქმელი სახელწოდებებიც კი, მაგ. აწყური. ამიტომ გაუგებარია ზოგიერთი უცხოელი მკვლევარის მცდელობა, მოგვცეს ძირძველი ქართული დასახლებების სახელწოდებათა ახლებური წაკითხვა და ეტიმოლოგიური ახსნა. ,,აწყურის ეტიმოლოგიის ბოლოდროინდელი მკვლევარია სომეხი მეცნიერი სანოსიანი, რომელმაც ეტიმოლოგია მოგვცა აწყურის - აცკური... არის ასევე მეორე აზერბაიჯანელი მეცნიერი იუნუსოვი, რომელიც აწყურს კითხულობს აზგურად. მას უნდა, რომ ამ ,,აზგურში'' დაინახოს ,,გურ" ელემენტი, იმიტომ რომ, ,,გურები" იყვნენ ძველი თურქული მოდგმის ტომები... ეს არის არა გულუბრყვილო ეტიმოლოგია, არამედ გამიზნული, რომელიც ემსახურება გაყალბებას" - წერს მეცნიერი მერაბ ბერიძე (ბერიძე, თბილისელები 2015). თურქული წაკითხვა ახალციხის არის ,,აპასქა", ან ,,ახისკა" და ა. შ.

კოლონისტთა სამცხე-ჯავახეთში დასახლებას ქართველები უყურებდნენ, როგორც დროებით მოვლენას, მაგრამ 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით შემოერთებული ყარსის ვილაიეთში მცხოვრები, ჯავახეთიდან გადასახლებული მაჰმადიანი ქართველები რუსებმა უფრო ღრმად, თურქეთში გაასახლეს, ხოლო დაცარიელებულ სოფლებში სომხების დაბრუნების ნაცვლად, ბერძნები, დუხობორები და მალაკნები ჩაასახლეს. ცხადია, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა მკვიდრი ქართული მოსახლეობის შემცირება, რათა ადვილად შეძლებოდა სრული კონტროლის მოპოვება.

სომეხთა დიდი ტალღა შემოვიდა საქართველოში XX საუკუნის დასაწყისშიც თურქეთში მათი მასობრივი განადგურების შემდეგ (1915-1916 წწ.). ცალკე საკითხია 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომი, როდესაც სომხებმა წამოაყენეს ტერიტორიული პრეტენზიები - ლორე, ბორჩალო, ახალქალაქზე და თვით თბილისზეც კი.

მომდევნო ათწლეულებში კვლავ გრძელდებოდა სომხური მოსახლეობის დიდი ჯგუფების შემოსვლა და დამკვიდრება სამცხე-ჯავახეთში. 1914 წლისთვის მხარის

მოსახლეობა 201 ათასს უდრიდა (გაიზარდა 60 ათასით, ძირითადად, სომხური მოსახლეობის ხარჯზე). 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით სამცხე-ჯავახეთის სოფლის მოსახლეობა შეადგენდა 160 254 კაცს. აქედან ჯავახეთში მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ (73,4%), ხოლო სამცხეში ოსმალო - თათრები სჭარბობდნენ (74,6%). ეროვნება ამ შეთხვევაშიც განისაზღვრებოდა რელიგიური და ეროვნული ნიშნით, შესაბამისად ,,მცირდებოდა" ქართველების რაოდენობა (ვ. ლორთქიფანიძე 1998, 155). უფრო ზუსტად, ქართველების რაოდენობა კი არ მცირდებოდა, არამედ სტატისტიკა იცვლებოდა ქართველთა საზიანოდ.

დღევანდელი მდგომარეობით, სომხები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ქალაქ თბილისში, სამხრეთ საქართველოში (ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები), ასევე დიდია სომხური მოსახლეობის კონცენტრაცია აფხაზეთში. მათი ძირითადი მასა მონოფიზიტი ქრისტიანია და ემორჩილება ეჩმიაძინის ტაძარს. შედარებით მცირეა კათოლიკე სომხების რიცხვი, რომლებიც ძირითადად სამხრეთ საქართველოში ცხოვრობენ. არიან მუსლიმი სომხებიც, რომლებსაც ჰემშინებს უწოდებენ (მელუა 1996, 5). მათი დიდი ნაწილი გასახლებულ იქნა საქართველოდან 1944 წელს მაჰმადიან მესხებთან ერთად.

XVIII ს. ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში სამცხეში დასახლდნენ თურქული წარმოშობის ტომები ყარაფაფახელები, იგივე თარაქამები, იგივე მომთაბარე ელები. პირველად ისინი აღა მაჰმად ხანის მმართველობის პერიოდში მოადგნენ ახალციხის საფაშოს ალი ბეგის თაოსნობით. ახალციხის ფაშებმა ბორჩალოდან და ყაზახ-შამშადილოდან გადმოსული ელები თავიანთი ჯოგებით ქართლის საზღვრის გაყოლებით დაასახლეს, გაათავისუფლეს გადასახადებისგან და დააკისრეს სამხედრო სამსახური. ამის შემდეგ ყარაფაფახელები თანდათანობით გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე. ახალციხის საფაშოში ორი რიგის თარაქამა ცხოვრობდა. ერთნი გადმოსახლებულნი იყვნენ XVIII ს. ბოლოს, ხოლო მეორენი XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. მათი შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო მეზობლებზე თავდასხმა და ძარცვა იყო.

უცნობია, თუ მათი რა ნაწილი გადასახლდა თურქეთში ახალციხის საფაშოს შემოერთების დროს, მაგრამ ფაქტია, რომ სომეხთა ჩამოსახლების მომენტისთვის ახალქალაქის მიდამოებში 100 კომლზე მეტი თარაქამა ისევ ცხოვრობდა. სომეხთა კომპაქტური დასახლების მიზნით, თარაქამები აყარეს და დაასახლეს ნიალის ველზე სოფლებში: ლებისი, ვანი, ქარზამეთი, კიონდრა და სხვ., სადაც შექმნეს ე.წ. ლებისის საზოგადოება. ისინი ცნობილნი იყვნენ ხალიჩების დამზადებით და საუკეთესო ცხენებით. ცხოვრობდნენ ასევე სოფლებში: კოპაძე, იფნიეთი, დილიკა და სხვ., საკმაო რაოდენობით იყვნენ თარაქამები ურავლის ხეობაშიც. XIX ს-ის ბოლოსაც კი მათი ნაწილი კვლავ მომთაბარეობას ეწეოდა. ამ დროისთვის შიიტობიდან გადასულნი იყვნენ სუნიზმზე (ლომსაძე 2011, 334).

მესხეთის ტერიტორიაზე ძველთაგანვე, კერძოდ, XVI ს-დან ჩანან ე.წ. მომთაბარე ქურთები.[57] XIX ს-ში სამცხე-ჯავახეთში ორი სხვადასხვა სარწმუნოების ქურთები ყოფილან: ისმაიელები და ჯუნიკები. ჯუნიკები ამტკიცებდნენ, რომ მოვიდნენ თურქეთიდან XIX ს-ის შუა წლებში. ისინი ცხოვრობდნენ ურავლის ხეობის სოფლებში: გუმბათი, გავეთი, ჩორჩო, აგარა, ენთელი. ისმაიელები ძირითადად ვარძიის ხეობის სოფლებში ცხოვრობდნენ და ზაფხულობით ნიალის ველზე მიდიოდნენ.

XIX ს-ის 80-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში ქურთების სულ შვიდი სოფელი იყო. აქედან 5 ახალციხის მაზრაში და 2 - ახალქალაქის მაზრაში. ქურთების სოფლები ფაქტიურად ზამთრის საძოვრებს წარმოადგენდა. ქურთებმა ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი ადათები, მიღებული ჰქონდათ მაჰმადიანობა და ეკუთვნოდნენ სუნის სექტას. 1830 წელს სომხებთან ერთად თურქეთიდან ქურთებიც შემოსახლდნენ და დასახლდნენ ჭაჭრაქის სანჯაყში. მათი ერთი ნაწილი ლაპარაკობდა სომხურად და მიღებული ჰქონდა სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება (ლომსაძე 2011, 337).

ბერძნები სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდნენ 1830 წლიდან, როდესაც გუმიშხანედან ლტოლვილი ბერძნების დიდი ჯგუფი დასახლდა წალკის ველზე, 50-მდე ოჯახი კი დაბინავდა ახალქალაქში. მათი დიდი ნაწილი გასომხდა. რამდენიმე ოჯახი ბოლო

[57] იხსენიებიან გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში.

დრომდე შემორჩა. ამავე პერიოდში, სამცხეში, სოფელ ციხისჯვარში, შავწყალას ხეობის ნასოფლარებში დასახლდა ბერძენთა 100-მდე ოჯახი. ისინი მისდევდნენ ხვნა-თესვასა და მესაქონლეობას.

1830 წლამდე ამიერკავკასიაში რუსული მოსახლეობა არ გვხვდება. ამ წელს მთავრობის დადგენილებით გადაწყდა სექტანტები (დუხობორები) წაეყვანათ ჯარში, კავკასიის კორპუსში და აქვე დაესახლებინათ მათი ოჯახებიც. 1839 წელს გამოვიდა განკარგულება, ხოლო პირველი ნაკადი საქართველოში ჩამოვიდა 1841 წლის ივნისში. ისინი მოვიდნენ თავფარავანის ტბის მიდამოებში და დასახლდნენ სახაზინო მიწებზე, ქართულ ნასოფლარებში, რომლებსაც თავიანთი სახელები უწოდეს. ასე შეიქმნა ჯავახეთში 8 რუსული სოფელი: ბოგდანოვკა, ტამბოვკა, ორლოვკა, გორელოვკა, სპასოვკა, ტროიცკოე, ეფრემოვკა, როდიონოვკა.

1836 წელს გადმოასახლეს მალაკნები.

1930 წელს თითქმის 200 ათასი რუსი იქნა საქართველოში გადმოსახლებული.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ ლეკებიც. მათ ქირაობდნენ ჯერ სამცხის მთავრები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, შემდეგ უკვე ახალციხის ფაშები. ბევრი მათგანი რჩებოდა სამცხეში და სახლდებოდა ძირითადად ქართლისა და იმერეთის საზღვრების გასწვრივ. განსაკუთრებით გაიზარდა ლეკების რიცხვი XIX ს-ის დასაწყისში, როდესაც ისინი ფაქტიურად აკონტროლებდნენ ახალციხის საფაშოს, აქტიურად ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში. ლეკების კვალი ჩანს ახალციხეში (მაგ.: სოფ ივლიტაში), ახალქალაქში, აბასთუმანში, ხერთვისში და ა.შ. მათი ჩამოსვლა შეწყდა 1828 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. უნდა ითქვას, რომ ლეკები ადვილად შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მიიღეს რა მათი ენა და ზნე-ჩვეულებები (ლომსაძე 2011, 341).

საბოლოოდ ლეკები, როგორც მუსლიმები, ქურთებთან ერთად გასახლებულ იქნენ სამცხე-ჯავახეთიდან 1944 წელს. დარჩენილმა უმნიშვნელო რაოდენობამ კი სრული ინტეგრაცია განიცადა, ისე, რომ მათი კვალი აღარ შემორჩა.

რაც შეეხება ოსურ მოსახლეობას, სამხრეთ საქართველოში ძირითადად ცხოვრობდნენ ბორჯომის ხეობაში. მათი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, თუმცა იყვნენ მუსლიმი ოსებიც.

XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში გენერალ ერმოლოვის ინიციატივით მოხდა გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება საქართველოში სოფლის მეურნეობაში ჩამორჩენილობის დასაძლევად. ამ პერიოდში შეიქმნა გერმანელთა დასახლება აბასთუმანშიც. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გერმანელები პირწმინდად გაასახლეს საქართველოდან, ხოლო მათ საცხოვრისზე მცირემიწიანი რაიონებიდან მოხდა მოსახლეობის ჩასახლება. მათ შორის, ახალქალაქის რაიონიდან 100, ხოლო ბოგდანოვკის (ახლ. ნინოწმინდის) რაიონიდან 50 ოჯახი ჩაასახლეს წალკის რაიონის სოფ. როზენბერგის კოლმეურნეობაში, ცხადია, ძალდატანებით (ნათმელაძე 2002, 18).

საქართველოში და მათ შორის, სამცხე-ჯავახეთში, ებრაელები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. ებრაელთა დასახლებები იყო აბასთუმანში, ადიგენში აწყურში, ახალქალაქში, ხერთვისში, ბარალეთში და სხვ. მოგვიანებით ძირითადმა ნაწილმა ახალციხეში მოიყარა თავი, სადაც ჰქონდთ სინაგოგები და თავისუფლად ასრულებდნენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, არასოდეს ჰქონიათ დაპირისპირება ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან. ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვან მეგობრულ ურთიერთობებს კარგად ასახავს ტერმინი - ,,ქართველი ებრაელი“. აღნიშნული ტერმინი ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია ცნობილია (ლეონტი მროველთან დაფიქსირებულია ,,ქართველი ჰურიები”). უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი, ორმაგი ეთნიკური წარმომავლობის მაჩვენებელი ტერმინი ქართულ სინამდვილეში ნაკლებად გვხვდება. მაგ., არ არის მიღებული ტერმინები ,,ქართველი ბერძენი”, ,,ქართველი ოსი” და ა. შ. სომხების შემთხვევაშიც კი ნაკლებად გამოიყენება ,,ქართველი სომხები”, უფრო გვხვდება ,,თბილისელი სომხები”, ,,ახალციხელი სომხები” და ა. შ.[58]

სამცხე-ჯავახეთის მრავალეთნიკური საზოგადოების ნაწილს ზემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფების გარდა, წარმოადგენდნენ პოლონელები,

[58] შდრ. სომხურ ენაში არსებობს ტერმინი ,,ქართველი-სომეხი” - სომხურად ,,ვირაჰაი”.

უკრაინელები და სხვ., თუმცა მათ არ შეუქმნიათ კომპაქტური დასახლებები და სრულად ინტეგრირდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

2.3. მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1900-1944 წწ.

XVI- XIX სს.-ში მიმდინარე პოლიტიკურმა და მიგრაციულმა პროცესებმა დიდი გავლენა იქონია სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიულ სურათზე და თვისობრივად შეცვალა მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა, მაგრამ ქართული ელემენტი მაინც ყოველთვის სჭარბობდა, განსაკუთრებით სამცხეში.

1900 წლის მონაცემებით, ჯავახეთსა და ახალციხეში ითვლებოდა სულ 10 088 მართლმადიდებელი ქართველი. ალექსანდრე ფრონელის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 1914 წლისთვის ახალციხის მაზრაში ცხოვრობდა 78 100 კაცი, ქალაქ ახალციხეში - 19 220, აქედან:

- ქართველი - 1 075
- რუსი - 470
- ბერძენი - 116
- ებრაელი - 2 322
- სომეხი - 15 031

ახალციხის მაზრის სოფლებში ცხოვრობდა:

- სომეხი - 6 852
- ბერძენი - 130
- ქართველი (მართლმადიდებელი და კათოლიკე) – 8 805
- ებრაელი - 218
- ქურთი - 2 400
- რუსი - 99
- თათარი - 32 564
- თურქი - 7 752 (ფრონელი 1991, 46).

უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალციხის მაზრის მოსახლეობიდან 45 ათასი მაინც ქართველი იყო, რადგან თათრებში და თურქების ნაწილშიც იგულისხმებოდნენ სწორედ ის ქართველი მაჰმადიანები, რომელთაც რუსეთის მთავრობამ ეროვნება შეუცვალა და თათრებად ან თურქებად მონათლა.

1917 წელს საქართველოში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერა. ამ აღწერის შედეგებზე დაყრდნობით[59] ვ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ ეროვნების განსაზღვრა მოხდა რელიგიური ნიშნით, რამაც სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობა საგრძნობლად შეამცირა.

სამცხე-ჯავახეთის სოფლის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1917 წელს (ვ. ლორთქიფანიძე 1998, 156)***:***

	სამცხე		ჯავახეთი		სამცხე-ჯავახეთი	
	აბსოლუტურად	პროცენტობით	აბსოლუტურად	პროცენტობით	აბსოლუტურად	პროცენტობით
ქართველი	9 088	13,6	11 391	12,2	20 479	12,8
სომეხი	6 762	10,1	68 592	73,4	75 354	47,0
თათარი	15 040	22,5	3 619	3,9	18 659	11,6
ოსმალო	34 776	52,1	2 438	2,6	37 214	23,2
ქურთი	7 86	1,2	542	0,6	1 328	0,8
დანარჩენი	361	0,5	6 859	7,3	7 220	4,6
მთელი მოსახლეობა	66 813	100,0	93 441	100,0	160 254	100,0

[59] აღწერის შედეგები გამოქვეყნდა 1922 წელს



	სამცხე	ჯავახეთი	სამცხე-ჯავახეთი
ქართველი	9088	11391	20479
სომეხი	6762	68592	75354
თათარი	15040	3619	18659
ოსმალო	34776	2438	37214
ქურთი	786	542	1328
სხვა	361	6859	7220

რამდენადმე განსხვავებულია ვიქტორ ნოზაძის მონაცემები, რომლის მიხედვით ფრონელისა და ვ. ლორთქიფანიძის მონაცემებისგან განსხვავებით, ბევრად მაღალია ქართველთა რაოდენობა ახალციხის მაზრაში და შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის საერთო რაოდენაბაშიც. ვ. ნოზაძის მიხედვით, ახალციხის მაზრაში (იგულისხმება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ერთად აღებული) 1917 წლისთვის აღირიცხებოდა 72 000 სული, მათგან ყველა აღმსარებლობის ქართველები შეადგენდნენ დაახლებით 66 ათასს, ახალქალაქის მაზრის მთელი მოსახლეობა შეადგენდა 101 ათასს, მათგან ქართველი იყო 22 ათასი სული (ნოზაძე 1989, 11). ე.ი. ამ დროისთვის სამცხე-

ჯავახეთის მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა შეადგენდა 173 000 სულს, მათგან 88 000 ეროვნებით ქართველი იყო.

სამცხე-ჯავახეთის მრავალფეროვანი ეთნო-დემოგრაფიული სურათის ერთ-ერთი ყველაზე რთული ასპექტი გახლდათ რეგიონში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების საკითხი. როგორც ავღნიშნეთ, რუსეთის იმპერია მისთვის სასურველი დემოგრაფიული სურათის მისაღებად ყველანაირ ხერხს მიმართავდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა მაჰმადიანი ქართველებისთვის ეროვნების შეცვლაში და რელიგიური კუთვნილების გამო თათრებად და თურქებად გამოცხადებაში.

სამწუხაროდ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ გაგრძელდა რუსული იმპერიული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავდა სამცხე-ჯავახეთში დემოგრაფიული ბალანსის ხელოვნურად შეცვლას ქართველთა საზიანოდ. სწორედ ამიტომ, 1926 წლის აღწერის დროს, რომელიც XX საუკუნეში მოსახლეობის პირველ ოფიციალურ აღწერას წარმოადგენს, ქართველები კვლავ თურქებად ჩაწერეს მაჰმადიანობის გამო.

1926 წლის აღწერის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში სულ 175 910 კაცი ცხოვრობდა, მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ (41,7%). თათარი და ოსმალო გაერთიანებულია ერთ ეროვნებად - თურქებად. აღნიშნული აღწერით მათი რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში 56 110 კაცს უდრიდა, ცხოვრობდნენ ძირითადად სამცხეში.

ახალქალაქის მაზრის მოსახლეობა შეადგენდა 78 937 კაცს, აქედან:

- ქართველი - 7 565
- სომეხი - 57 791
- თურქი - 6 910[60]
- ქურთი - 930
- რუსი - 2 492,
- უკრაინელი - 2 679

[60] აქ შედიოდნენ წმინდა თურქული მოდგმის თარაქამებიც, რომელთა რაოდენობა შეადგენდა 4 628 სულს.

ცხოვრობდნენ ასევე სპარსელები, თათრები, ოსები, პოლონელები, გერმანელები, ებრაელები[61] (ნათმელაძე 2002, 24).

ახალციხის მაზრის მოსახლეობა შეადგენდა 96 973 კაცს, მათ შორის:

- ქართველი - 24 357 (25%)
- თურქი - 49 170 (51%)
- სომეხი – 15 656,
- რუსი – 1 678
- ქურთი – 3 094
- უკრაინელი - 1 015
- ბერძენი – 216
- თათარი - 589
- ებრაელი – 103
- ქართველი ებრაელი – 831
- პოლონელი -115 და სხვ. (ნათმელაძე 2002, 25)

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მაზრების გაუქმების შედეგად ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ხუთი რაიონი:

1. ადიგენის რაიონი
2. ახალქალაქის რაიონი
3. ახალციხის რაიონი
4. ასპინძის რაიონი
5. ბოგდანოვკის (დღევანდ. ნინოწმინდის) რაიონი.

შემდეგი აღწერა ჩატარდა 1939 წელს. საინტერესოა, რომ ამ აღწერიდან მოყოლებული გამოსაკითხი პირი თვითონ ასახელებდა თავის ეროვნებას, მიუხედავად მისი რელიგიური და ენობრივი კუთვნილებისა. ამასთანავე სტალინის ინიციატივით აღწერაში შეიტანეს კითხვა სარწმუნოების შესახებ. აღსანიშნავია, რომ რეპრესიების მიუხედავად, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებდა ეკლესიისა და ზოგადად,

[61] ცალკე ეროვნებად იხსენიებიან ქართველი ებრაელები.

რელიგიური თემების მიმართ, სსრკ-ის მოსახლეობის 57,7% მორწმუნე აღმოჩნდა. ვერ მიიღო რა მისთვის სასურველი დემოგრაფიული სურათი, ხელისუფლებამ 1939 წლის აღწერა გამოაცხადა დეფექტურად და მისი შედეგები გააუქმა, ზოგიერთი ორგანიზატორი კი რეპრესიების მსხვერპლი გახდა (ვ. ლორთქიფანიძე 1998, 159).

მესხთა ცნობიერების აღრევა ,,წარმატებით“ გაგრძელდა. ეთნიკურად ქართველი და სარწმუნოებით მუსლიმი მესხები ამჯერად აზერბაიჯანელებად აღრიცხეს. ,,ქართული გვარები მასობრივად აზერბაიჯანულ ყაიდაზე გადაუკეთეს და მესხეთი აზერბაიჯანის კულტურულ ავტონომიად გადააქციეს” (ბლუაშვილი, მესხეთის სახელოვანი შვილები 2008, 18). ახალციხეში გახსნეს აზერბაიჯანული თეატრი, ქართული სკოლები კი დახურეს.[62]

1939 წლის აღწერის მიხედვით, ყველაზე მრავალრიცხოვან ეროვნულ ჯგუფებს სამცხე-ჯავახეთში მიეკუთვნებოდნენ სომხები - მთელი მოსახლეობის 44,0% და აზერბაიჯანელებად მონათლული მაჰმადიანური მოსახლეობა, რომლის უდიდეს ნაწილს სინამდვილეში ეთნიკური ქართველები წარმოადგენდნენ - 38,5%. განსხავებული სურათი იყო ცალკე აღებულ სამცხისა და ჯავახეთის რეგიონებში. სამცხეში უმრავლესობას აზერბაიჯანელები შეადგენდნენ - 64,2%, ხოლო ჯავახეთში სომხები - 82,1%. ქართველები პროცენტულად ყველაზე მცირე იყო ნინოწმინდის რაონში - სულ 3,3%, ყველაზე მეტი კი ასპინძის რაიონში - 13,9%. სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენდნენ რუსები - 4,4%. მათი დიდი რაოდენობა კონცენტრირებული იყო ნინოწმინდის რაიონში - 17,0%.

[62] სკოლებში რამდენჯერმე შეცვალეს ანბანი. ჯერ სპარსული გამოიყენებოდა, შემდეგ თურქული, 1935 წლიდან კი რუსული შემოიღეს.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა და ეროვნული შემადგენლობა 1939 წელს (ლორთქიფანიძე, 1998: 160):

	ქართველი	სომეხი	აზერბაიჯანელი	რუსი	ქურთი	სულ
ახალციხე	5 836-10,5%	16 454-29,6%	28 428-51,2%	1 538-2,8%	1 423-2,6%	55 490
ადიგენი	5 466-13,2%	942-2,3%	32 928-79,7%	1 281-3,1%	69-0,2%	41 314
ასპინძა	6 500-13,9%	1 741-5,3%	21 612-66,2%	293-0,9%	1 980-6,1%	32 644
სამცხე	17 802-13,8%	19 137-14,8%	82 963-64,2%	3 112-2,4%	3 472-2,7%	129 448
ახალქალაქი	4 857-7,5%	54 081-83,6%	4 015-6,2%	1 101-1,7%	309-0,5%	64 655
ნინოწმინდა	93-3,3%	27 376-79,2%	1 009-2,9%	5 862-17,0%	77-0,2%	34 575
ჯავახეთი	4 950-5,0%	81 457-82,1%	5 024-5,1%	6 964-7,0%	386-0,4%	99 230
სამცხე-ჯავახეთი	22 752-9,9%	100 594-44,0%	87 987-38,5%	10 076-4,4%	3 858-1,7%	228 678



	ახალციხე	ადიგენი	ასპინძა	სამცხე	ახალქალაქი	ნინოწმინდა	ჯავახეთი
ქურთი	1423	69	1980	3472	309	77	386
რუსი	1538	1281	293	3112	1101	5862	6964
აზერბაიჯანელი	28428	32928	21612	82936	4015	1009	5024
სომეხი	16454	942	1741	19137	54081	27376	81457
ქართველი	5836	5466	6500	17802	4857	93	4950

2.4. მაჰმადიანი მესხები

სამცხე-ჯავახეთის მრავალფეროვანი ეთნო-დემოგრაფიული სურათის ერთ-ერთი ყველაზე რთული ასპექტი გახლდათ რეგიონში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების საკითხი. როგორც ავღნიშნეთ, რუსეთის იმპერია მისთვის სასურველი დემოგრაფიული სურათის მისაღებად ყველანაირ ხერხს მიმართავდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა მაჰმადიანი ქართველებისთვის ეროვნების შეცვლაში და რელიგიური კუთვნილების გამო თურქებად გამოცხადებაში. ამასთანავე, იმპერიის ხელისუფლება

ხელს უწყობდა მაჰმადიანურ მოსახლეობაში რელიგიური ფანატიზმის გაღვივებას. ,,ანატოლიიდან და იმპერიის სხვა მაჰმადიანური პროვინციებიდან ხელისუფლებას შეგნებულად შემოჰყავდა ომარის სექტის რელიგიის მსახურნი, რომლებიც მესხეთის მკვიდრი მოსახლეობის ცნობიერებიდან ეთნიკური წარმომავლობის ამოშლას ცდილობდნენ" (ბლუაშვილი 2008, 17).

რუსეთის იმპერიის მიერ წლების განმავლობაში გატარებული პოლიტიკის მავნე შედეგებმა თავი იჩინა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. გამაჰმადიანებული მესხი ფეოდალების ჩამომავლების მეთაურობით, რომლებიც პანთურქისტებად იყვნენ აღზრდილნი, 1918-1919 წლებში დაიწყო ანტიქართული გამოსვლები. ომარ ფაიყ-ყიფიანის (აწყურის ბეგი), ახმედ პეპინოვის (პეპინაშვილის), ზია ბეგ აბაშიძის (სოფ. თოკი), სერვერ ბეგ ათაბაგ ქობლიანელის (ჯაყელი), ალი ბეგ ავალიშვილის (სოფ. ოშორა) ხელმძღვანელობით შეიქმნა ,,სამხრეთ ამიერკავკასიის მუსლიმთა ხელისუფლება", რომლის თავჯდომარეც იყო სერვერ-ბეგი. მათი მიზანს წარმოადგენდა ახალციხის (,,ასისხა") შეერთება თურქეთთან. დაიწყო სისხლისმღვრელი შეტაკებები მუსლიმ და ქრისტიანულ მოსახლეობას შორის, რაც საბოლოოდ გენერალ კვინიტაძის მიერ ახალციხესა და ახალქალაქში წარმატებული ლაშქრობით დასრულდა. დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ შეძლო მესხეთში მუსლიმური სეპარატიზმის აღმოფხვრა, მაგრამ ეს ფაქტი მძიმე მოგონებად შემორჩა ადგილობრივ ქრისტიანულ მოსახლეობას. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სისხლისმღვრელი შეტაკებების დროს ხშირად ისევ მაჰმადიანები იფარებდნენ ქრისტიანებს. სწორედ მაჰმადიანმა ქართველებმა გადაარჩინეს ხალილ ფაშასგან დანგრევას ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მშვენება - ზარზმის ტაძარი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ გაგრძელდა იმპერიული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზნად ისახავდა სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული ბალანსის ხელოვნურად შეცვლას ქართველთა საზიანოდ. 1926 წლის აღწერისას უამრავი ეროვნებით ქართველი მიაკუთვნეს თურქულ ეთნოსს და ეს ახსნეს მათი მაჰმადიანური სარწმუნოებით.

სამცხეში ამ დროისთვის ირიცხებოდა 24 ათასი ქართველი, 15 ათასი სომეხი და 50 ათასი თურქი.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ასეთ ანტიქართულ პოლიტიკას ჰქონდა თავისი მოტივი. ამ პერიოდისათვის საბჭოთა ხელმძღვანელობაში ძლიერი იყო რწმენა, რომ თურქეთი სამომავლო განვითარებისთვის სოციალიზმის გზას აირჩევდა, ამიტომაც ცდილობდნენ, თურქეთის გულის მოსაგებად მხარი დაეჭირათ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ მუსლიმთათვის, არ გაეღიზიანებინათ ისინი ქართული სკოლების გახსნით და ა.შ. პროცესი გრძელდებოდა 30-იან წლებშიც, როდესაც ქართველი მუსლიმები ამჯერად აზერბაიჯანელებად გამოაცხადეს და გაუხსნეს აზერბაიჯანული სკოლები.

თურქეთთან დაკავშირებული ილუზიები საბჭოთა კავშირში არსებობდა 30-იანი წლების შუა ხანებამდე. ამის შემდეგ საკითხისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. დაიწყო გამაჰმადიანებული და გათურქებული ქართველების ქართველად „მოქცევის“, აზერბაიჯანული სკოლების ქართულ სკოლებად გადაკეთების, თურქულ გვარებად გადაკეთებული ქართული გვარების დაბრუნების პროცესი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალციხის რაიკომის მდივნის გიორგი კირვალიძის მოღვაწეობა (ქიმაძე 2004, 29). თუმცა საბჭოთა ხელისუფლების ეს ახლებური მიდგომა მაჰმადიანი ქართველებისადმი სამცხე-ჯავახეთში დიდხანს არ გაგრძელებულა. 40-იან წლებში მუსლიმი მოსახლეობის გასახლებით მათ მიმართ არსებული პოლიტიკაც ,,დასამარდა” პოლიტიკის ობიექტის არარსებობის გამო.

1944 წელს სხვა მაჰმადიან ხალხებთან ერთად შუა აზიაში – ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში გადაასახლეს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მაჰმადიანები. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ე.წ. ,,თურქული საფრთხის” გამო ეს იყო აუცილებელი, პრევენციული აქცია, რომელიც განხორციელდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის და სასაზღვრო ზონის საეჭვო ელემენტებისაგან გაწმენდის მიზნით. არსებობს მოსაზრება, რომ ადგილობრივი მაჰმადიანური მოსახლეობა ყოველთვის უფრო პროთურქული ორიენტაციის მატარებელი იყო და მისი ნდობა ბოლომდე არ

შეიძლებოდა. იმ პერიოდის პარტიულ ორგანოთა შეკრებებზე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გასახლების აუცილებლობა გამოწვეული იყო სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

დეპორტაციის ერთ-ერთ მიზეზად ასევე სახელდება მაჰმადიანური მოსახლების დასჯა მათ მიერ თურქეთის მიმართ გამოვლენილი კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის გამო.

პროფესორი უჩა ბლუაშვილი მიიჩნევს, რომ ომის მიწურულს თურქული საფრთხე უკვე აღარ არსებობდა, რადგან საბჭოთა ჯარები 1944 წლიდან უკვე ქვეყნის გარეთ იბრძოდნენ და ომის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. 1945 წლის თებერვალში კი თურქეთი უკვე ანტიფაშისტურ კოალიციას შეუერთდა. ამდენად პრევენციის აუცილებლობის საკითხი არ იდგა. უფრო მისაღებია ,,საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება დეპორტაციის, როგორც სადამსჯელო ღონისძიების შესახებ" (ბლუაშვილი 2013, 48). ამასთანავე, მკვლევარის აზრით, არსებობდა სხვა მოტივიც, რამაც აიძულა საბჭოთა ხელისუფლება, განეხორციელებინა ეს აქცია. კერძოდ, საქმე ეხება სტალინის განზრახვას, დაებრუნებინა ქართულ-სომხური ტერიტორიები, რომლებიც 1921 წლის 16 მარტის მოსკოვისა და 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებების თანახმად, საბჭოთა მთავრობამ გადასცა თურქეთს[63] (ბლუაშვილი 2013, 52).

თუკი მოხდებოდა ამ ტერიტორიების დაბრუნება, ,,სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის მაჰმადიანურ მოსახლეობასთან ერთად ახლადშემოერთებული მოსახლეობა შექმნიდა ვრცელ მაჰმადიანურ არეალს, რომელსაც შეეძლო კონფესიური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც კი პრობლემები შეექმნა პატარა საქართველოსთვის" (ბლუაშვილი 2013, 52). სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა უნდა ყოფილიყო უ. ბლუაშვილის აზრით, სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანთა დეპორტაციის ჭეშმარიტი მოტივი: ,,თურქული ცნობიერების მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციით და მათ ადგილზე დასავლეთ საქართველოდან ქართული ცნობიერების ქრისტიანი მოსახლეობის

[63] სტალინმა ეს საკითხი მთელი სიმწვავით დააყენა პოტსდამის კონფერენციაზე. ,,საზღვრების გადასინჯვის" მოთხოვნა სტალინს 1953 წლამდე, ანუ გარდაცვალებამდე არ მოუხსნია დღის წესრიგიდან.

ჩასახლებით საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა გარკვეულწილად დაებალანსებინა კონფესიური ვითარება სამხრეთ საქართველოში, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობდა ინტეგრაციულ პროცესებს ამ რეგიონში" (ბლუაშვილი 2013, 52).

მკვლევარი მ. ნათმელაძეც ფიქრობს, რომ 1944 წელს მაჰმადიანთა გასახლების აქცია საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან ,,ემსახურებოდა სამხედრო-სტრატეგიულ და პოლიტიკურ ამოცანებს არა მარტო იმ დროს, არამედ იგი, შესაძლოა, უფრო სამომავლო მნიშვნელობით იყო განპირობებული". მისი აზრით, ,,მომავალი ომისთვის (თურქეთთან) სამზადისს უკავშირდებოდა მოსახლეობის ,,არასაიმედო" ნაწილის მიმართ განხორციელებული რეპრესიების ახალი ტალღაც 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დამდეგს" (ნათმელაძე 2002, 48).

გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ,,გასახლების მასალებში საერთოდ არ იხსენიებიან აზერბაიჯანელები, არამედ კვლავ თურქები." (ნათმელაძე 2002, 26).

გასახლება განხორციელდა 1944 წლის 15-16 ნოემბერს, 48 საათის განმავლობაში, 1944 წლის 30.07. სსრკ სახელმწიფო თავდაცვის კომისარიატის # 6279 დადგენილებით. დადგენილების მიხედვით, მთლიანად სამცხე-ჯავახეთიდან გაასახლეს დაახლოებით 90 ათასი ადამიანი, მათ შორის ახალციხის რაიონიდან, სავარაუდოდ, 40 ათასი კაცი. 1956 წლის 9 ნოემბრით დათარიღებულ ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ,,სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 30 ივლისის დადგენილებით ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის რაიონებიდან, აგრეთვე აჭარის ასსრ რაიონებიდან ეროვნული ნიშნის მიხედვით გასახლებულ იქნა 15 568 ოჯახი-69 869 სული" (ვ. ლორთქიფანიძე 1998, 162) .[64]

უფრო დაზუსტებულ ციფრს ასახელებს მ. ნათმელაძე მის მიერ მიკვლეულ დოკუმენტებზე დაყრდნობით. მ. ნათმელაძე აღნიშნავს, რომ მან ვერ მიაგნო სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის რაოდენობის ამსახველ

[64] ვ. ლორთქიფანიძე ერთგან გადასახლებულთა რაოდენობად ასახელებს 85 ათასს (ვ. ლორთქიფანიძე 1998, 161)

თანადროულ - 1944 წლის ნოემბერ-დეკემბერი, დოკუმენტურ წყაროს, მაგრამ მოგვიანებით მიაკვლია 1956 წლის 9.11. დათარიღებულ ოფიციალურ დოკუმენტს საქართველოს პრეზიდენტის არქივში. მისი მტკიცებით, თავდაპირველად გამიზნული იყო საზღვრისპირა რაიონებიდან მოსახლეობის ჩასახლება საქართველოს სხვადასხვა რაიონებში (ეს გეგმა მუშავდებოდა), მათ შორის ყვარლის რაიონში, საიდანაც იგეგმებოდა ლეკების გასახლება. საბოლოოდ ე. წ. ,,სპეცკონტიგენტის" დეპორტაცია განხორციელდა რესპუბლიკის გარეთ შუა აზიასა და ყაზახეთში. თავდაპირველად მათი რაოდენობა განისაზღვრა 14 860 მეურნეობით - 77 500 კაცი. შემდეგ მოხდა კორექტირება და საბოლოოდ დადგინდა 16 630 მეურნეობა - 86 000 კაცი (ნათმელაძე 2002, 34).

მ. ნათმელაძე აღნიშნავს, რომ გასახლებულთა შორის იყვნენ თურქები, ქურთები და ჰემშინები (სომეხი მუსლიმები), არსად ფიგურირებს ქართველი. მეტიც გასახლების წინ მათ ჰქონდათ საშუალება წერილობით დაეფიქსირებინათ ეროვნება, ვინც ადასტურებდა ქართველობას, იღებდნენ სიებიდან. თუმცა ასეთი ცოტა აღმოჩნდა, დიდი ნაწილი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ იყო თურქი (ნათმელაძე 2002, 40). თურქების ყველაზე დიდი რაოდენობა გასახლებულ იქნა ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონებიდან, ქურთებისა - ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის რაიონებიდან, რაც შეეხება ჰემშინებს, რომლებიც ასევე ფიგურირებს გასახლებულთა სიებში, ისინი უნდა გაესახლებინათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებიდან, სადაც იყო მათი კომპაქტური დასახლებები. 1944 წლის ნოემბერში განხორციელებულ გასახლებაში (შუა აზიაში) მოხვდნენ ასევე ყვარლის რაიონში მცხოვრები ლეკებიც, სავარაუდოდ სამი ათასამდე კაცი (ნათმელაძე 2002, 41).

1956 წლის აპრილში სსრ კავშირის ხელმძღვანელობის მითითებით მოხდა გადასახლებულთა რეაბილიტაცია. ჩეჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები, ბალყარები დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს. მაჰმადიან ქართველებს რეაბილიტაცია იმჟამად არ შეხებიათ. მათ მხოლოდ სპეცგადასახლებულის სტატუსი მოუხსნეს, მაგრამ საქართველოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. მიზეზად დასახელდა ის, რომ გადასახლებულთა რაიონები უკვე დასახლებული იყო და საქართველოს არ

ჰქონდა საშუალება მათი მიღების და სამეურნეო მოწყობის. მიუხედავად ამისა, სპეცგადასახლებულთა ნაწილი შეეცადა უკან დაბრუნებას (242 ოჯახი), რომლებიც ჩასახლებულან ბათუმის, ქობულეთისა და ხაშურის რაიონებში. 1957 წლის 31.10 ბრძანებულებით იმ მოქალაქეებს, რომლებიც 1939 წლის აღწერით აზერბაიჯანელებად მოიხსენიებოდნენ, მიეცათ უფლება თავიანთი სურვილით გადასახლებულიყვნენ მუდმივ საცხოვრებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (ნათმელაძე 2002, 93).

1989 წელს უზბეკეთში, ფერღანას ველზე კომპაქტურად დასახლებულ მესხებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები, რის შემდეგაც მაჰმადიანმა მესხებმა დატოვეს უზბეკეთი. მცირე ნაწილმა შეძლო საქართველოში დაბრუნება.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისთვის 1000-ზე მეტი მაჰმადიანი მესხი ცხოვრობდა ძირითადად გურიაში, იმერეთში, თბილისსა და ახალციხეში. ვ. ლორთქიფანიძე 1989 წლის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ასახელებს 1 056 კაცს. მათგან ,,ეროვნული კუთვნილების მიხედვით ქართველად ჩაწერილია 396 კაცი (37,5%), თურქად 412 (39,0%), ხოლო აზერბაიჯანელად 186 (17,6 %), 57 კაცმა კი (5,4 %) თავის ეროვნებად თათარი მიუთითა" (ვ. ლორთქიფანიძე 1998, 165).

1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ საქართველომ აიღო ვალდებულება დეპორტირებული მოსახლეობის 2011 წლამდე საქართველოში ეტაპობრივად დაბრუნების შესახებ.

2007 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - ,,ყოფილი სსრ კავშირის მიერ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ" (მაცნე 2007). კანონის ძალით სამშობლოში დაბრუნების მსურველ დეპორტირებულ პირებს და მათ შთამომავლებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში უნდა წარედგინათ სათანადო განცხადება, რის საფუძველზეც მიიღებდნენ რეპატრიანტის სტატუსს და საქართველოს მოქალაქეობას გაიოლებული გზით. ორი წლის განმავლობაში ამ შესაძლებლობით ისარგებლა მხოლოდ 5 841 პირმა. არასრულწლოვანთა ჩათვლით ეს, დაახლოებით, 8-9 ათასი კაცია. თუმცა, ისინიც კი,

რომლებმაც უკვე მიიღეს რეპატრიანტის სტატუსი, ჩამოსვლას არ ჩქარობენ. რაც შეეხება დეპორტირებულთა იმ მასას, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო განცხადება დათქმულ დროში არ ან ვერ შემოიტანა, მათ შესაძლებლობა აქვთ, კვლავ მიმართონ საქართველოს სახელმწიფოს და საქართველოს მოქალაქეობა საერთო წესით მიიღონ.

მესხეთიდან დეპორტირებულთა რეპატრიაციის საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთის მთავრობა, რომელიც მხარს უჭერს მათ მოთხოვნას, საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე განსახლების ნაცვლად, დასახლდნენ მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში. აქ თავს იჩენს მზარდი განვითარების თურქეთის გეოსტრატეგიული ინტერესი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ, რომლის მიზანია ისლამური მოსახლეობის კომპაქტური დასახლებების შექმნა-გაფართოება თურქეთის საზღვართან ახლოს.

თანამედროვე თურქულ პრესაში სამცხე-ჯავახეთიდან 1944 წელს გადასახლებულებს ,,მესხ თურქებს", ,,მესხეთელ თურქებს", უბრალოდ ,,მესხებსაც" უწოდებენ. ბოლო პერიოდში იყენებენ ტერმინს ,,ახალციხელი თურქები", უფრო ზუსტად ,,ახისკას თურქები", რომელთაც მიიჩნევენ ძვ.წ. VII-VI სს-ში მესხეთში მოსახლე ყივჩაღი თურქების ჩამომავლებად. ახალციხეს უწოდებენ ,,აპასქას" ან ,,ახისკას"[65]; მათი აზრით, ჯაყელების გვარიც ყივჩაღურია. ერთი სიტყვით, ,,პანთურქიზმის იდეებით შეპყრობილი თურქი მეცნიერების ერთი ნაწილი ყველა საშუალებით ცდილობს თავდაყირა დააყენოს საქართველოსა და მისი სამთავროების ისტორია" - წერს მკვლევარი გ. ქიმაძე, რომელსაც განხილული აქვს თურქი ავტორების მოსაზრებანი (ჟურნალი ,,თარიჰი") აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (ქიმაძე 2004, 13).

ერთ-ერთი ასეთი თურქი ავტორია იუნუს ზეირაქი, საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,ახისკას თურქების საგანმანათლებლო-კულტურული და სოციალური დახმარების ფონდის" ყოველკვარტალური ჟურნალის ,,ბიზიმ აჰისკა" (,,ჩვენი ახისკა") რედაქტორი. ,,იუნუს ზეირაკი, რომელიც წარმოშობით ფოცხოვიდან არის, თავის წიგნებში სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ გეოგრაფიული ტერმინი ,,ახისკა" მოიცავს მთელ სამცხე-

[65] ტერმინი აღებულია ოღუზური ეპოსიდან.

ჯავახეთს (თურქეთში გამოცემულ რუკებზე ახისკაში შედის ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები) და რომ, ამ ადგილებში ეთნიკური თურქები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, ,,ახისკას თურქების“ თითქმის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლი, თავიანთ საჯარო გამოსვლებში და პირად საუბრებშიც აცხადებენ, რომ თურქები არიან და მათი მშობლიური ენა თურქულია. ეწევიან აქტიურ პროპაგანდას იმის შესახებ, რომ მესხეთის და სამცხე-ჯავახეთის ისტორიული კუთვნილება თურქ-ოღუზებს უკავშირდება. ხოლო ტერმინი ,,ახისკა“ თურქული პროპაგანდისთვის საკმაოდ მოხერხებული ფორმულირებაა, მსგავსად კონიის თურქებისა, არზრუმის თურქებისა, სივასის თურქებისა და ა.შ.“ - წერს პოლიტფორუმზე გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიაში პოლიტოლოგი კოტე მესხი (მესხი 2012).

,,მეცნიერულ” ლეგენდას იმის შესახებ, რომ თითქოსდა თურქული მოდგმის ოღუზური და ყივჩაღური ტომები ჯერ კიდევ ძვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან სახლობდნენ მესხეთის მიწაზე, ბევრი სხვა თურქი მეცნიერიც იზიარებს. მათი აზრით, დროთა განმავლობაში ამ ტომებმა მიიღეს ქრისტიანობა, გაქართველდნენ და ააგეს ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი შედევრები, როგორიცაა ვარძია, საფარა, ზარზმა, ოშკი, ხახული და სხვ. რასაკვირველია, მსგავსი, ყოველგავრ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული თეორიების მიზანია, დაასაბუთონ ძირძველი ქართული მიწების თურქული სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნის ლეგიტიმურობა.

მესხეთიდან დეპორტირებულებს ხშირად საქართველოშიც, პრესასა თუ უბრალო მოსახლეობაში ,,თურქ მესხებად” მოიხსენიებენ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს ტერმინი მიუღებელია, რადგან თურქი და მესხი - ეს ორი სრულიად სხვადასხვა ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვაა. გასახლებულთა გარკვეული ნაწილი მაჰმადიან ქართველთა ჩამომავალია, მაგრამ ნაწილი თურქია და თავის თურქულ ორიენტაციას არც მალავს. ამ ტერმინის დამკვიდრებას ეწინააღმდეგება მ. ნათმელაძეც, რომელიც აღნიშნავს, რომ ტერმინი ,,თურქი მესხი” ისევ ჩვენი თანამემამულეების შემოტანილია, რადგან საარქივო მასალებში არსად ეს ტერმინი არ გვხვდება და არც თვითონ უწოდებენ

თავს ასე. ,,მესხეთელი თურქები” გვხვდება რუსულ ან თურქულ პუბლიკაციებში, რასაც თავისი აზრობრივი დატვირთვა აქვს. მკვლევარი ფიქრობს, რომ უფრო ლოგიკური იქნება ვიხმაროთ ტერმინი ,,თურქები მესხეთიდან”. მისი აზრით, ,,ამ ცნებაში აღარ დარჩება ადგილი თურქთა და მესხთა ცნებების აღრევისა”, ან სულაც მოვიხსენიოთ ეს ჯგუფი, როგორც თურქები საქართველოდან, რადგან ნათმელაძის აზრით, ,,მესხეთი როგორც საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი სადღეისოდ არ არსებობს და მისი ლოკალიზაცია რუკაზე საქართველოს ისტორიის არმცოდნეთათვის ფრიად საძნელო საქმეა” (ნათმელაძე 2002, 54).

პროფესორი უჩა ბლუაშვილი თვლის, რომ გასახლებული მოსახლეობის მიმართ უპრიანია გამოვიყენოთ ტერმინი - ,,სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა”. ეს ტერმინი მოიცავს როგორც გამაჰმადიანებულ ქართველებს, ისე თარაქამებს, ქურთებს და ჰემშინებს. ამასთან მკვლევარი ფიქრობს, რომ თუკი საქართველოში მცხოვრები ებრაელების მიმართ, რომლებმაც დაკარგეს ენა, მაგრამ შეინარჩუნეს სარწმუნოებაც და ეროვნული ცნობიერებაც, მისაღებია ტერმინი ,,ქართველი ებრაელი”, რატომ არ შეიძლება მსგავსი ტერმინის გამოყენება ,,თურქი მესხების'' მიმართ, მითუმეტეს, რომ მათ არა მხოლოდ სარწმუნოება, არამედ ენაც, და, რაც მთავარია, ეროვნული ცნობიერებაც დაკარგეს (ბლუაშვილი 2013).

უფრო მისაღებია, XX საუკუნის 40-იან წლებში სამხრეთ საქართველოდან იძულებით გასახლებულთა მიმართ გამოყენებულ იქნას ტერმინი - ,,სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა”, რადგან მათი ეთნიკური კუთვნილება მხოლოდ ქართული არ იყო. აქ იყვნენ თარაქამები,ქურთები, ჰემშინები. ეს ტერმინი კი აერთიანებს და აღნიშნავს მათ რელიგიურ, ეთნიკურ და ტერიტორიულ კუთვნილებას.

თავი 3. მიგრაციული პროცესები და დემოგრაფიული ვითარება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში XX ს-ის 40-იანი წლებიდან 1965 წლამდე

3.1. ეთნიკურ-დემოგრაფიული სურათი 1946-65 წლებში საქართველოში

საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულმა პოლიტიკამ, 20-30-იანი წლების სასტიკმა რეპრესიებმა და მეორე მსოფლიო ომმა მკვეთრად შეცვალა დემოგრაფიული სურათი მთლიანად საქართველოში და კერძოდ, სამცხე-ჯავახეთშიც. 1939 წლიდან 1965 წლამდე პერიოდში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა 1939 და 1959 წლებში. ომში მოსახლეობის დიდი დანაკარგების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა (3 540 000 –დან 4 044 000-მდე). ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით შემოვიდა ევაკუირებული მოსახლეობა, ნათმელაძის გათვლით, დაახლოებით 35 ათასი კაცი. მათი დიდი ნაწილი ომის შემდგომ უკან დაბრუნდა, მაგრამ ნაწილი დარჩა საქართველოში (ნათმელაძე 2002, 15).

საქართველოს მოსახლეობა 1939-1965 წლებში (საქართველოს მოსახლეობა: სტატისტიკური კრებული 1998, 4)***:***

წელი	**მოსახლეობის რაოდენობა (ათასი კაცი)**	**ქალაქის (ათასი კაცი -%)**	**სოფლის (ათასი კაცი -%)**
1939	3 540.0	1 066,2 - 30,1%	2 473,8 - 69,9%
1950	3 494,1	1 240,8 - 35,5%	2 253,3 - 64,5%
1955	3 803,4	1 509,8 - 42,4%	2 293,6 - 57,6%
1959	4 044,0	1 712,9 - 42,3%	2 331,1 - 57,7%

1960	4 129,2	1 744,4 - 42,2%	2 384,8 - 57,8%
1965	4 450,0	2 026,3- 45,5%	2 423,7- 54,6%

საინტერესოა მ. ნათმელაძის მოსაზრება, რომელსაც კორექტივი შეაქვს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველთა რაოდენობაში. იგი თვლის, რომ 300 000-ს უნდა გამოაკლდეს მასში მითვლილი გასახლებულების რაოდენობა, რაც ჯამში (გერმანელები, მაჰმადიანი მესხები, ლეკები ყვარლის რაიონიდან) 100 ათასს შეადგენს (ნათმელაძე 2002, 18).

ვ. ჯაოშვილი თავის მონოგრაფიაში ,,საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX სს-ში" აკეთებს რა საბჭოთა პერიოდის საკავშირო აღწერების ანალიზს, აღნიშნავს, რომ ,,სსრკ რესპუბლიკებს შორის არსებობდა მკვეთრი განსხვავებანი მოსახლეობის ზრდის ტემპებში და რომ ცვლილებანი მოსახლეობის რაოდენობაში არ იყო გამოწვეული მარტო ბუნებრივი მოძრაობით, ისევე როგორც წინა ისტორიულ პერიოდებში, ომის შემდგომ წლებშიც მნიშვნელოვანი კორექტივი შეჰქონდა მიგრაციულ პროცესებს (ჯაოშვილი 1984, 148).

მოსახლეობის მატება 1950-1965 წლებში (საქართველოს მოსახლეობა: სტატისტიკური კრებული 1998, 5)***:***

წელი	**(ათასი კაცი)**
1950	65,4
1955	72,2
1959	85,2
1960	60,7
1965	54,9



ბუნებრივი მატება (1000 სულ მოსახლეზე) (საბჭოთა საქართველოს 50 წელი: სტატისტიკური კრებული 1971, 45)*:*

წელი	**რაოდენობა**
1940	18,6
1950	15,9
1955	17,4
1960	18,2
1965	14,2



მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის მატების დინამიკა 50-60-იან წლებში საკმაოდ მაღალია, თუმცა 1940 წლის რაოდენობის აღდგენას გარკვეული პერიოდი მაინც დასჭირდა. ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, რომ ,,50-იან წლებში მოსახლეობის ფაქტიურმა ნამატმა საშუალოდ წელიწადში შეადგინა 62-65 ათასი (მთლიანად ბუნებრივი ნამატის შედეგად). 1957 წელი აღმოჩნდა გარდამტეხი. 1958 წლიდან მცხოვრებთა ფაქტიური მატება ჩამორჩება ბუნებრივ ზრდას, რადგან ყოველწლიურად საქართველოდან უფრო მეტი მიგრანტი მიდიოდა, ვიდრე შემოდიოდა (ჯაოშვილი 1984, 150).

1962 წლიდან მატების ტემპი შედარებით შემცირდა. ეს კლება ინტენსიურად მიმდინარეობდა 1962-1967 წლებში და გაგრძელდა მომდევნო ათწლეულებში. ე.ი. ხდებოდა დემოგრაფიული სიტუაციის თანდათან გაუარესება, რაც ბუნებრივი მატების თანდათანობითი კლების შედეგი იყო. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ საქართველოს მოსახლეობის წილი სსრკ-ის მოსახლეობის საერთო წილში მატულობდა, მაგრამ

იკლებდა ამიერკავკასიის მოსახლეობაში (1940 წელი - 44,0%, 1979 წელი - 35,6%). მკვეთრად ჩამორჩებოდა საქართველო ომის შემდგომ პერიოდში მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთს მოსახლეობის მატების ტემპითაც.

რაც შეეხება შობადობას, 1950-1965 წწ. მაღალ დონეზე იდგა აზერბაიჯანსა და სომხეთში, საშუალო დონეზე - მთლიანად სსრკ-სა და საქართველოში. 60-იან წლებში ყველგან შეიმჩნევა შობადობის კოეფიციენტის დაწევა მთელი რიგი ფაქტორების გამო. საქართველოში დაბალი იყო სიკვდილიანობის დონე ომამდელ წლებშიც და 50-იან წლებშიც, 60-იან წლებში კი რამდენადმე გაიზარდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ: ,,1946-1952 წწ. საქართველოში მოხდა მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის დაჩქარება. 1953-1962 წწ. მოსახლეობის ბუნებრივმა ზრდამ განიცადა სტაბილიზაცია მაღალ დონეზე. შემდეგ დაიწყო კლება, ხოლო 1973-1981 წწ. კვლავ მოხდა სტაბილიზაცია საშუალო დონეზე“ (ჯაოშვილი 1984, 158).

ცვლილებები აღინიშნებოდა ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით. თუ არაქართული მოსახლეობის გამრავლებას მეორე მსოფლიო ომამდე ხელს უწყობდა გარე მიგრაციები, 50-იანი წლებიდან შეიცვალა არაქართველი მოსახლეობის მიგრაციების ძირითადი მიმართულება. დაიწყო მათი გადინება საქართველოდან. ამან გამოიწვია ქართველთა ხვედრითი წილის ამაღლება – 70-იანი წლების დასაწყისისთვის შეადგინა **66,8%.** ქვემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, თუ როგორ იცვლებოდა სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების პროცენტული მაჩვენებელი ქვეყნის საერთო მოსახლეობაში.

საქართველოს მოსახლეობა ეროვნებების მიხედვით 1959 წლის 15.01-თვის (საბჭოთა საქართველოს 40 წელი: სტატისტიკური კრებული 1961, 20)***:***

ეროვნება	რაოდენობა (ათასი კაცი)	პროცენტი
ქართველი	2 601	**64,3%**

სომეხი	443	11%
რუსი	408	10,1%
ოსი	141	3,5%
ბერძენი	73	1,8%
უკრაინელი	52	1,3%
ებრაელი **(მათ შორის ქართველი ებრაელი)**	52 35	1,3%
ქურთი	16	0,4%
თათარი	5	0,1%
აისორი	5	0,1%
აზერბაიჯანელი	154	3,8%
ლეკი	4	0,1%

სულ: 4 044 (ათასი)[66]

1939 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით ჩანს, რომ მოიმატა ქართველების, სომხების, რუსების რაოდენობამ. იმავე პერიოდში შემცირდა აზერბაიჯანელების რაოდენობა (წულაძე 2013, 22).

[66] ცხრილში არ არის შესული ყველა ეროვნების მონაცემი.

საქართველოს მოსახლეობა ეროვნებების მიხედვით 1970 წლისთვის (საქართველოს მოსახლეობა: სტატისტიკური კრებული 1998, 5)*:*

ეროვნება	რაოდენობა	პროცენტი
ქართველი	3 130 741	66,8 %
ოსი	150 185	3,2 %
რუსი	396 694	8,5 %
სომეხი	452 309	9,7 %
ებრაელი	55 382	1,2 %
ბერძენი	89 246	1,9 %
აზერბაიჯანელი	217,758	4,6 %
უკრაინელი	49,622	1,1 %

სულ: 4 686 358 კაცი[67].

როგორც ვხედავთ, ომისშემდგომი საქართველოს არაქართულ მოსახლეობაში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენდნენ სომხები. ეს იმის მიუხედავად, რომ 1949 წელს მოხდა პოლიტიკურ ნიადაგზე ე.წ. ,,დაშნაკი" სომხების გასახლება,

[67] ცხრილში არ არის შესული ყველა ეროვნების მონაცემი.

ძირითადად, აფხაზეთიდან[68], 50-იანი წლებიდან დაიწყო აგრეთვე მათი გასვლა ქვეყნიდან, მიმდინარეობდა ასიმილაციის პროცესიც ქართველებთან შერეული ქორწინებების გამო. ამ პროცესების გათვალისწინებით მათი ხვედრითი წილი თანდათან შემცირდა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. კერძოდ, თუ 1959 წელს სომხური მოსახლეობის ხვედრითი წილი შეადგენდა 11%-ს, 1970 წლის მონაცემებით უკვე 9,7%-ს წარმოადგენს.[69] გაიზარდა აზერბაიჯანელი მოსახლეობის რაოდენობა და ხვედრითი წილი, შეადგინა რა მთელი მოსახლეობის 4,6 %.

რაც შეეხება რუსებს, უკრაინელებსა და ბელორუსებს, თუ მათი რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა ომის წინა პერიოდში, ომის შემდგომ მოხდა პირიქით - დაიწყო მათი გადინება, რამაც გამოიწვია ამ ეროვნების მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი რაოდენობის შემცირება. უნდა აღინიშნოს, რომ მათი უდიდესი ნაწილი სახლდებოდა ქალაქებში, თუ არ ჩავთვლით ნინოწმინდის (ბოგდანოვკის) რაიონს, სადაც რუსი სექტანტები ცხოვრობდნენ სასოფლო დასახლებებში. (ჯაოშვილი 1984, 231).

3.2. ეთნიკურ-დემოგრაფიული სურათი 1946-55 წწ. სამცხე-ჯავახეთში

საერთო დემოგრაფიული სურათისგან განსხვავებული სიტუაცია იყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სხვადახვა პერიოდში განხორციელებული მიგრაციული პროცესების შედეგად მკვეთრად შეიცვალა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძირითადად ქართველი მოსახლეობის შემცირების ხარჯზე.

1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის მასობრივი გასახლების შემდეგ რეგიონის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 1959 წელს სამცხე-ჯავახეთში 52 359 კაცით ნაკლები ცხოვრობდა, ვიდრე 1939 წელს. მოსახლეობის რაოდენობის გაზრდისა და ეთნიკური ბალანსის აღდგენის მიზნით სამცხე-ჯავახეთის

---

[68] ,, სპეცკონტიგენტში“ სომხებთან ერთად შედიოდნენ თურქები და ბერძნებიც.

[69] იგივეს ვერ ვიტყვით სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე, სადაც ცხოვრობდა საქართველოში მცხოვრები სომხების 27,6%.

დაცარიელებულ სოფლებში დაუყოვნებლივ მოხდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოსახლეობის იძულებითი გადმოსახლება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლებში მოსახლეობის ჩასახლების ოპერაცია ჩატარდა ისევე ოპერატიულად და მაქსიმალურად მოკლე დროში, როგორც ეს მოხდა მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციისას. ოპერაციის პირველი ეტაპი დაიწყო ბორჯომისა და ხაშურის რაიონებიდან 1944 წლის 15 ნოემბერს და დასრულდა ამავე წლის 10 დეკემბრისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველ გეგმაში ბორჯომის რაიონიდან ჩასახლება არ იყო გათვალისწინებული, ეს მოგვიანებით დაიგეგმა და გადმოსახლების პროცესიც სიახლოვის გამო სწორედ ბორჯომის რაიონიდან დაიწყო (ნათმელაძე 2002, 46).

ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარის ჩხიკვაძის საქართველოს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოებისადმი 1947 წლის 24.07 დათარიღებული #770/2 მოხსენებითი ბარათში დასახელებულია გადმოსახლებული ოჯახების რაოდენობა რაიონების მიხედვით. ამ დოკუმენტის მიხედვით, 1944 წლის 16.12. - დან ახალციხის რაიონში საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან სულ ჩამოუსახლებიათ 2 359 ოჯახი. მათ შორის, ბორჯომის რაიონიდან - 634 ოჯახი, ხაშურის რაიონიდან - 244 ოჯახი, გორის რაიონიდან - 79 ოჯახი, ხარაგაულის რაიონიდან - 579 ოჯახი, ზესტაფონის რაიონიდან - 517 ოჯახი და ჭიათურის რაიონიდან - 307 ოჯახი (არსა საქმე 426, 52). აქედან ხაშურის, ბორჯომის, ჭიათურის და ნაწილობრივ ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონებიდან გადმოსახლებულები ჩაასახლეს სოფლებში - ზიკილია, სვირი, ბოგა, ტყემლანა, თისელი; ბორჯომის რაიონის სოფელ გომნადან და ქ. ბორჯომიდან სოფელ აბში ჩაუსახლებიათ 76 ოჯახი, სოფელ საყუნეთში - 114 კომლი სოფ. თელოვანიდან, ლარებიდან, ბანისხევიდან და თორიდან; სოფელ მინაძეში ჩასახლებულა 50 ოჯახი ძირითადად სოფლებიდან ბალანთა, ჭოხარულა, პატარა მიტარბა, სოფ. ქისათიბში -79 ოჯახი (ნათმელაძე 2002, 44); ხარაგაულის რაიონიდან წამოსული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ჩასახლებულა სოფლებში - კლდე და წნისი, ხოლო ზესტაფონის რაიონიდან - სოფელ აწყურში. სოფელ ხეოთში 29 ოჯახი გადმოასახლეს ახალხევის რაიონის სოფელ არღუნიდან. 1946 წლის

მონაცემებით ახალციხის რაიონში არსებული 52 კოლმეურნეობიდან 26-ში განხორციელდა ჩასახლება სხვა რაიონებიდან, ხოლო ოთხ კოლმეურნეობაში გადასახლება მოხდა თვითონ რაიონში შემავალი სოფლებიდან.

სხვა რაიონებიდან მოსახლეობის გადმოსახლების გარდა სამცხე-ჯავახეთში აქტიურად მიმდინარეობდა ასევე შიდა სარაიონო მიგრაციებიც. მაგ., ახალქალაქის ყოფილ სოფელ საზიანაში ჩაასახლეს სოფელ პტენადან 25 კომლი, სოფელს კი სახელი შეუცვალეს და ახალი პტენა უწოდეს. 25 მოსახლე გადაასახლეს სოფელ გოგაშენიდან სოფელ დანგალში და უწოდეს ახალი გოგაშენი. სოფელი გრაკალი გადავიდა სოფელ ხანეტში და შეინარჩუნა გრაკალის სახელი (ნათმელაძე 2002, 45). რამდენიმე სოფელში კი არავინ ჩაუსახლებიათ, მოხდა ამ სოფლების ლიკვიდაცია (სოფ.: ქერცები, გარტა და მირაშხანი).

ასპინძის რაიონიდან გასახლებული 4 030 კომლის ნაცვლად 1945 წლის 20 მაისისთვის ჩაასახლეს 1 849 კომლი, ძირითადად, დუშეთისა და ჩხარის (დღევანდელი თერჯოლის მუნიციპალიტეტი) რაიონებიდან. კერძოდ, დუშეთის რაიონიდან მოსახლეობა ჩაუსახლებიათ შემდეგ სოფლებში: იდუმალა - 121 კომლი, რუსთავი - 65, ღობიეთი - 144, ორგორა- 103 კომლი, ხერთვისი - 74 და ა.შ. ჩხარის რაიონიდან ჩასახლება მომხდარა ასპინძაში - 173 კომლი, ოშორაში - 246 და ოთაში - 114 კომლი. ასევე სოფელ აგარიდან მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გადაუყვანიათ სოფლებში - თმოგვი, დადეში, აწყვიტა და როკეთი, ხოლო დარჩენილი 18 კომლი კი - სოფელ ტოლოშში. ის სოფლები კი, სადაც ცხოვრების პერსპექტივა არ იყო, გაუქმდა. ასპინძის რაიონში ასეთი 41 სოფელი აღმოჩნდა (ნათმელაძე 2002, 46). ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც მოქმედებდა ცენტრალური ხელისუფლების მითითებით, არ ცდილობდა მოსახლეობის დამაგრებასა და შენარჩუნებას მთის დაცარიელებულ სოფლებში.

1946 წლის მარტში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით მოხდა კიდევ ერთი გადასახლება. კერძოდ, ბორჯომის რაიონიდან ახალციხის რაიონის სოფლებში ქისათიბსა და ღრომში ჩამოსახლებული ოსების 88 ოჯახი გადაასახლეს ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ში. ახალციხის რაიაღმასკომის საბჭოს 1946 წლის 3 აპრილის სხდომის # 237

ოქმში შესულია დადგენილება, რომელიც სწორედ ამ ფაქტს ეხება. მასში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 1 მარტამდე უნდა მოხდეს კოლმეურნეთა ორგანიზებულად გაგზავნის უზრუნველყოფა და მათი ქონების ჩაბარება. გასახლებულმა ოსებმა თან წაიყვანეს საქონელი, ღორები და ცხენები (არსა საქმე 424, ოქმი #237).

დაცარიელებული და ლიკვიდირებული სოფლების სახელმწიფო მიწები, როგორც წესი, გადაეცემოდა მეზობელ სოფლებს ან სახელმწიფო უწყებებს. მაგ., ყოფილი სოფელ ქისათიბის სახელმწიფო ფონდის მიწები ახალციხის რაიაღმასკომის 1947 წლის 19 მარტის დადგენილებით გადაეცა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად (მანამდე განაწილებული იყო სხვადასხვა სოფლებზე). ამავე წელს ყოფილი სოფელი ინჯგოლი წინუბნის კოლმეურნეობას, ხოლო ყოფილი სოფელი ტრიბონი წყრუთის კოლმეურნეობას გადაეცა (არსა საქმე 424, ოქმი # 274, 275, 276).

თითოეულ ჩასახლებულ მოსახლეს გამოეყო საკარმიდამო ნაკვეთი 0.75 ჰა, აქედან ბაღი 0.30-დან 0.40 - მდე (არსა საქმე 426, 53). ჩასახლებულებს სახლების მშენებლობისათვის მიეცათ გრძელვადიანი სესხები, მათი სამშენებლო მასალით უზრუნველსაყოფად კი აშენდა 2 აგურ-კრამიტის ქარხანა[70]; 1947 წლის 1 ნოემბრისთვის ექვს სოფელში გაიყვანეს წყალსადენი: ნოხტევ-მუგარეთი, ფერსა-გიორგიწმინდა, თისელი, ტყემლანა, აწყური, წნისი; ჩასახლებულებს მიეყიდათ პირუტყვი; გადაეცათ ფუტკრის ოჯახები; უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს მიეყიდათ სასურსათო მარცვალი (არსა საქმე 426, 53); სოფელ სვირში გაიყვანეს რადიო-ტელეფონის ხაზი და ა.შ.

ერთი შეხედვით, თითქოს, ყველა პირობა შეიქმნა იმისთვის, რომ მიგრანტები შეგუებოდნენ ადგილობრივ პირობებს და დაეწყოთ ახალი ცხოვრება. მიუხედავად ამისა, 1946-1947 წლებში ახალციხის რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომებზე ხშირია განცხადებების განხილვა, რომელშიც ჩასახლებული ოჯახები ითხოვენ უკან დაბრუნებას. უმეტეს შემთხვევაში, მიზეზად დასახელებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ადგილობრივი პირობების (კლიმატის) გავლენით. არის სხვა

[70] ერთი უშვებდა წელიწადში 400 ათას ცალ კრამიტს, მეორე კი- 1მლნ 600 ათას ცალს.

მიზეზებიც, მაგ., გორის რაიონიდან სოფელ ფერსაში გადმოსახლებული მთის მოსახლეობა ძირითადად მისდევდა მესაქონლეობას, საძოვარი და სათიბები კი ბევრად იყო დაშორებული სოფელს, მწირი იყო სახნავ-სათესი მიწებიც (არსა საქმე 426, 53), რაც იწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას.

მიგრანტთა დაბრუნებაზე თანხმობის გაცემა თითქმის არ ხდებოდა, ამიტომ მოსახლეობა ხშირად უნებართვოდ უბრუნდებოდა თავის ყოფილ საცხოვრებელს. 1946 წელს ადიგენის რაიკომის მდივნის რუხაძის სახელზე გაგზავნილ წერილში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ითხოვს მასალების გადაგზავნას ვინმე ვასილ გრძელიძეზე, რომელიც მაიაკოვსკის რაიონიდან (დღევანდელი ბაღდათის მუნიციპალიტეტი) ადიგენის რაიონში ჩასახლებულ გლეხებს ურჩევდა ძველ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნებას (შსსა საქმე 175, 5).

ახალციხის რაიონული აღმასკომის თავჯდომარის ჩხიკვაძის მოხსენებით ბარათში ზუსტადაა მითითებული თითოეული სოფლიდან პირვანდელ საცხოვრებელზე დაბრუნებულთა რაოდენობა - სულ 141 ოჯახი (1947 წ.. რა თქმა უნდა, მათ იძულების წესით აბრუნებდნენ ახალციხის რაიონის მმართველი ორგანოების მიერ გატარებული ერთობლივი ღონისძიებების შედეგად. თანაც ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ უნებართვოდ უკან დაბრუნება მორალურად ცუდ გავლენას ახდენდა დარჩენილებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკან დაბრუნებული მიგრანტები, როგორც წესი, აღარ აბრუნებდნენ მათთვის მიცემულ სასურსათო სესხს. 1950 წლისთვის უკან დაბრუნებულთა რაოდენობამ შეადგინა 444 ოჯახი, ხოლო სესხად მიცემულმა მარცვლეულის დავალიანებამ 147 219 კოლოგრამი. ამიტომ რაიაღმასკომმა საგანგებო დადგენილებით მიმართა მინისტრთა საბჭოს და მოითხოვა ახალციხის რაიონისთვის დავალიანების ჩამოწერა (არსა საქმე 506, ოქმი #83, დადგენილება 13).

საარქივო მასალებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც, პირიქით, ითხოვდნენ ჩასახლებას, მაგრამ უარს ეუბნებოდნენ სოფლების გადატვირთვისა და საცხოვრებელი ფართის ნაკლებობის გამო, უნებართვოდ ჩამოსახლებულებს კი უკან აბრუნებდნენ. მაგ.: სოფელ საყუნეთში ჩამოსახლებული ხუთი ოჯახი უკან დააბრუნეს

ბორჯომის რაიონში (არსა საქმე 426, 40). ჩასახლებას სჭირდებოდა საგანგებო ნებართვა ზემდგომი ორგანოებიდან. თვით გადასახლება-დასახლების სამმართველოს უფროსის ვასაძის თხოვნით, ჩაასახლეს ახალციხის რაიონის სოფელ თისელში ბორჯომის რაიონის მცხოვრები, დემობილიზებული გიორგი ვასილის ძე ელიოსიძე (არსა საქმე 426, 14).

ახალციხის რაიონში მიგრანტთა რაოდენობა სოფლების მიხედვით 1947 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

#	*სოფელი*	*კომლი*	*მოსახლეობის რაოდენობა*
1.	აწყური	318	1 297
2.	ტყემლანა	79	360
3.	თისელი	48	196
4.	აგარა	61	242
5.	ზიკილია	89	365
6.	წინუბანი	92	359
7.	გურკელი	40	181
8.	საყუნეთი	136	624
9.	ფერსა	76	354
10.	მუგარეთი	65	225

11.	ნოხტევი	59	280
12.	გიორგიწმინდა	60	235
13.	შურდო	48	195
14.	კლდე	184	795
15.	წნისი	104	591
16.	ბოგა	100	427
17.	სვირი	133	901
18.	ელიაწმინდა	47	209
19.	ანი	102	389
20.	ჭვინთა	57	320
21.	მინაძე	57	291
22.	ზემო სხვილისი	50	248
23.	აბი	57	257
24.	ურაველი	109	409
25.	ხეოთი	30	122
	სულ:	2 201	9 599

გადმოსახლებულთა შორის შედარებით უფრო გავრცელებულია და ხშირად გვხვდება შემდეგი გვარები:

- ზედგინიძე
- ბერიძე
- ბარძიმაძე (სოფ. მინაძე)
- გოგოლაძე (სოფ. წნისი)
- წიქარიშვილი
- ლომიძე
- კაპანაძე
- გოგალაძე (სოფ. მუგარეთი)
- ბლუაშვილი
- კუპრაძე
- ზუმბაძე (სოფ. კლდე)
- ლაბაძე (სოფ. აწყური)
- გაჩეჩილაძე (სოფ. ზიკილია)
- ქიმერიძე (სოფ. აგარა)
- მოდებაძე
- მაისურაძე
- გელაშვილი
- ტაბატაძე
- ხაჩიძე
- ბლიაძე
- ვეფხვიაშვილი და სხვ.

1955 წელს ახალციხის რაიონში ითვლებოდა 5 429 კომლი, სულ კი 1955 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით რაიონში ცხოვრობდა 48 584 კაცი (13 სასოფლო საბჭოში ერთიანდებოდა 49 სოფელი). აქედან სოფლად ცხოვრობდა 22 834 ადამიანი, ქ. ახალციხეში - 18 350, ხოლო დაბა ვალეში - 7 400 კაცი (არსა საქმე 8).

მოსახლეობის რაოდენობა ახალციხის რაიონის სოფლებში 1955 წლისთვის:

#	სასოფლო საბჭო	კომლი	მოსახლეობის რაოდენობა
აწყურის			
1	აწყური	440	1744
2	ტყემლანა	75	347
3	თისელი	108	482
აგარის			
4	აგარა	82	314+63
5	ზიკილია	74	297
6	საყუნეთი	99	431
7	წინუბანი	94	429
8	გურკელი	40	192

ფერსის

9	ფერსა	88	336+60
10	გიორგიწმინდა	62	240
11	შურდო	42	193
12	მუგარეთი	68	274
13	ნოხტევი	51	225

კლდის

14	კლდე	208	676+119
15	წნისი	128	367
16	სვირი	142	671
17	ბოგა	86	371
18	ტატანისი	39	214

წყრუთის

19	წყრუთი	228	989
20	წირა	90	431

21	მიქელწმინდა	17	60

ელიაწმინდის

22	ელიაწმინდა	59	299
23	ჭვინთა	63	358
24	ანი	102	543

საძელის

25	საძელი	147	691
26	ხაკი	50	244
27	აბი	55	284

პატარა პამაჯის

28	პატარა პამაჯი	178	752
29	დიდი პამაჯი	182	790
30	ორალი	70	324

31	ყულალისი	40	197

წყალთბილის

32	წყალთბილა	519	2478
33	წინუბანი	155	700
34	ნაოხრები	195	920
35	აბათხევი	98	426
36	ჯულღა	108	521

ანდრიაწმინდის

40	ანდრიაწმინდა	134	401+236
41	ანდა	31	166
42	არჯული	22	122

ქვემო სხვილისის

43	ქვემო სხვილისი	321	1379
44	ზედა სხვილისი	51	219
45	ივლიტა	30	165

ურაველის

46	ურაველი	143	614
47	ხეოთი	57	324
48	წყორძა	30	167
49	მუსხი	131	727

როგორც ვხედავთ, განსახილველ პერიოდში ყველაზე დიდი სოფელი ყოფილა წყალთბილა, სადაც 519 კომლი და 2 478 ადამიანი ცხოვრობდა (უმრავლესობა სომხები); არანაკლებ დიდი სოფელი გახლდათ აწყური - 440 კომლი და 1 744 მოსახლე (უმრავლესობა ქართველები), მას არც ქვემო სხვილისი ჩამორჩებოდა - 321 კომლი, 1 379 მცხოვრები (უმრავლესობა სომხები). შედარებით დიდი სოფლებია ასევე წნისი, კლდე, სვირი, წინუბანი (ქართული მოსახლეობა), წყრუთი, საძელი, პატარა პამაჯი, დიდი პამაჯი, ნაოხრები (სომხური მოსახლეობა), ანდრიაწმინდა, ურაველი (ქართული

მოსახლეობა). სოფლების უმრავლესობა 60-80 კომლისგან შედგებოდა, სადაც 200-დან 400 კაცამდე ცხოვრობდა. ამასთან, ქართველები სჭარბობდნენ არაქართველებს (სომხებს). 1959 წლისთვის ქართველთა ხვედრითმა წილმა სამცხეში უკვე 54,3% შეადგინა.

საინტერესოა 1946 წლის ადგილობრივი მმაჩის ბიუროს მონაცემები, რომლებიც რუსულ ენაზეა შედგენილი და სადაც დაცულია მიმდინარე სტატისტიკა:

- შობადობა - 941
- გარდაცვალება - 345 (მათ შორის 1 წლამდე - 56 ბავშვი)
- ქორწინება - 469
- განქორწინება - 6
- შვილად აყვანა - 10 (არსა საქმე 5).[71]

3.3. მიგრაციული პროცესები 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იან წლებში

მიგრაციული პროცესები სამცხე-ჯავახეთში გრძელდებოდა XX ს-ის 50-60-იან წლებშიც, თუმცა ნაკლები ინტენსივობით და მისი გამომწვევი მიზეზებიც განსხვავებული გახლდათ. ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, სადაც მოცემულია მოსახლეობის რაოდენობა რეგიონში რაიონების მიხედვით:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა 1960 წლის 01.01.-თვის (საბჭოთა საქართველოს 40 წელი: სტატისტიკური კრებული 1961, 13)*:*

რაიონი	**მოსახლეობის რაოდენობა (ათასი კაცი)**	**ქალაქის**	**სოფლის**
ადიგენი	19,6	3,5	16,1
ასპინძა	11,3	-	11,3

[71] 40-60-იანი წლების მსგავსი სტატისტიკური მონაცემები მოითხოვს დამატებით კვლევასა და ანალიზს.

ახალქალაქი	63,3	8,8	54,2
ახალციხე	50,4	26,5	23,3
ბოგდანოვკა (ახლ.ნინოწმინდა)	32,1	-	32,1
ბორჯომის	37,0	23,2	13,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1960 წლისთვის რეგიონის მოსახლეობა შეადგენდა სულ 213,7 ათ. კაცს, საქართველოს მთელი მოსახლეობის 5,1 %-ს. აქედან ჯავახეთში (ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) ცხოვრობდა 95,4 ათ. (საქართველოს მოსახლეობის 2,3% და რეგიონის მოსახლეობის 44,6 %), ხოლო სამცხეში (ადიგენის, ასპინძის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონები) - 118,3 ათასი კაცი (საქართველოს მოსახლეობის 2,8 % და რეგიონის მოსახლეობის 55,3 %).

მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ყველაზე დიდ რაიონს წარმოადგენდა ახალქალაქის რაიონი - 63,3 ათასი მცხოვრები, რაც მთელი რეგიონის მოსახლეობის 29,6 %-ს შეადგენდა. მას მოსდევდა ახალციხის რაიონი 50,4 ათასი მოსახლით (23,6%). ყველაზე მცირერიცხოვანი რაიონები კი იყო ასპინძის - 11,3 ათასი კაცი, რაც რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 5,3 %-ს შეადგენდა და ადიგენის _ 19,6 ათ. (9,1%). დაახლოებით თანაბარი იყო ბორჯომისა და ნინოწმინდის (ძვ. ბოგდანოვკის) რაიონების მოსახლეობის რაოდენობა. ბორჯომის რაიონში ცხოვრობდა 37,0 ათასი, ხოლო ნინოწმინდის რაიონში - 32,1 ათასი ადამიანი. შესაბამისად 17, 3% და 15 %.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მაღალი იყო ბუნებრივი მატების ნორმა, რადგან მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ სომხები და ამავე დროს მკვეთრად იყო გამოხატული მიგრაციის უარყოფითი სალდო, ამიტომ მოსახლეობის ზრდის ტემპი ჩამოუვარდებოდა საქართველოს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს. ვ. ჯაოშვილი თავის მონოგრაფიაში ამის მიზეზად ასახელებს დიდ მიგრაციულ პროცესებს, რის გამოც

შემცირდა მოსახლეობა 1926 წლის დონესთან შედარებით მთლიანად სამცხე-ჯავახეთში. თუმცა იგი არ გვაძლევს ახსნას, თუ რა იგულისხმება ამ ,,დიდ მიგრაციულ პროცესებში".[72] მის მიერ მოყვანილი მონაცემებით ჯავახეთის მოსახლეობა (ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) 1959 წელთან შედარებით 1979 წლისთვის გაიზარდა 9,5 ათასი კაცით და შეადგინა – 104,5 ათასი (საქართველოს მთელი მოსახლეობის 2,1%), ხოლო სამცხის მოსახლეობა[73] 1979 წლისთვის გაიზარდა მხოლოდ 1,1 ათასით, შეადგინა რა 82,4 ათასი კაცი (მთელი მოსახლეობის 1,7%).

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა 1964-1969 წწ. სამცხე-ჯავახეთში (ჯაოშვილი 1984, 172)***:***

	შობადობა	**სიკვდილიანობა**	**ბუნებრივი მატება**
ჯავახეთი	26,8	5,2	21,6
სამცხე	22,6	5,8	16,8

ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად დიდია სხვაობა მოსახლეობის მატების თვალსაზრისით სამცხისა და ჯავახეთის რეგიონებს შორის, რაც ამ რეგიონების ეროვნული შემადგენლობით უნდა აიხსნას. საინტერესოა, რომ ბუნებრივი მატების ტემპი მაღალი იყო საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც არაქართული მოსახლეობა სჭარბობდა - ქვემო ქართლსა და ჯავახეთში[74]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომეხთა ბუნებრივი მატების ტემპი ყოველთვის მაღალი იყო ქართველებთან შედარებით.

---

[72] ,,დიდ მიგრაციულ პროცესებში" ავტორი უნდა გულისხმოდეს სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციას

[73] სამცხეში ვ. ჯაოშვილი გულისხმობს მხოლოდ ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებს, ბორჯომის რაიონის გარეშე.

[74] ასევე ტრადიციულად მაღალი იყო ზრდის ტემპი აჭარაში.

რაც შეეხება მოსახლეობის განაწილებას ქალაქად და სოფლად, 1959-1979 წწ.-ში შეინიშნება ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტენდენცია ზოგადად მთელ საქართველოში (საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 44.4 ათასს), ასევე გაიზარდა საქალაქო დასახლებათა რიცხვი. 1959 წელს საქართველოში იყო 34 ქალაქი და 57 ქალაქის ტიპის დაბა (ჯაოშვილი 1984, 161). თუმცა, ეს ზრდა ატარებდა ზომიერ ხასიათს და სოფლის მოსახლეობის რაოდენობა კვლავ აჭარბებდა ქალაქის მოსახლეობას.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობდა სოფლად - 150,8 ათასი კაცი, რაც მთელი მოსახლეობის 70,6 % -ს შეადგენდა. რაც შეეხება საქალაქო დასახლებებს, რეგიონში სულ იყო 4 ქალაქი:

- ახალციხე
- ვალე
- ახალქალაქი
- ბორჯომი

ასევე სამი დაბის ტიპის დასახლება:

- ადიგენი
- ასპინძა
- ბოგდანოვკა (ახლანდელი ნინოწმინდა)

ქალაქის მოსახლეობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი მოდიოდა ახალციხის რაიონზე, სადაც ქალაქად ცხოვრობდა 26,5 ათასი კაცი, რაიონის მოსახლეობის 52,6 %, ე.ი. ნახევარზე მეტი. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ რაიონის ქალაქები ახალციხე და ვალე წარმოადგენდნენ რეგიონის მთავარ ინდუსტრიულ-სამრეწველო, ასევე სავაჭრო და კულტურულ ცენტრებს. ამიტომ სწრაფვა ამ ქალაქებისკენ მაღალი იყო. ქალაქ ახალციხეში ჩამოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ როგორც თვითონ ახალციხის რაიონის სოფლებიდან, ასევე ჯავახეთიდან წამოსული ე.წ. ,,შეძლებული სომხები“.[75] ისინი სარგებლობდნენ ადგილობრივი პარტიული, ხშირ შემთხვევაში ეროვნებით ქართველი

[75] ყველაზე მოთხოვნადი იყო ქალაქ ახალციხის ერთ-ერთი გარეუბანი, რომელსაც ადგილობრივები ,,ტავარნის“, ანუ ,,საბარგოს˜ უწოდებენ დღემდე, რკინიგზის იგივე სახელწოდების მქონე სადგურის გამო.

ხელმძღვანელების წაყრუებით, იძენდნენ მიწებს და სახლდებოდნენ. ამის გამო, ახალციხის რაიონის მოსახლეობის უმრავლესობაც, ჯავახეთის მსგავსად, თანდათან სომხური ხდებოდა.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პერიოდში (1946-1965 წწ.) სამცხე-ჯავახეთის ექვს რაიონში (ახალციხის, ახალქალაქის. ნინოწმინდის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის რაიონები) გარდა ქართველებისა ცხოვრობდნენ: სომხები, ებრაელები, რუსები, ბერძნები, უკრაინელები, პოლონელები, ოსები და ა.შ. რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით კი მართლმადიდებელთა გარდა იყვნენ გრიგორიანელები, მუსლიმები[76], ქართველი და სომეხი კათოლიკეები, დუხობორები, მალაკნები და სხვ.

მკვლევარ თამაზ ფუტკარაძეს ნაშრომში ,,ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში" მოყვანილი აქვს ცხრილი, საიდანაც ჩანს როგორი იყო მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1913-1970 წლებში.

მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა ახალციხის რაიონში 1913-1959 წლებში (თ. ფუტკარაძე 1998, 25)***:***

წლები	**კომლთა რაოდ.**	**მოსახლ.**	**ქართვ.**	**აზერბაიჯანელი**	**სომეხ.**	**ქურთი**	**რუსი**	**ოსმალო**	**დანარჩ.**
1913	5 429	44 230	8 239	18 376	14 213	1 951	779	522	150
1917	4 831	40 230	7 056	16 321	13 284	2 031	986	486	82

[76] მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა 1944 წელს ე.წ. ,,მაჰმადიანი მესხების" გასახლების შემდეგ.

1931	6 795	46 830	7 222	20 246	14 647	2 427	1 599	636	53
1959	-	49 213	18 458	-	25 122	-	3 510		738

როგორც ვხედავთ, ფუტკარაძე ახალციხის რაიონის მოსახლეობის ოდნავ განსხვავებულ ციფრს ასახელებს 1959 წლისთვის - 49 213 კაცი (ზემოთ მოყვანილი 50,4 ათ. ნაცვლად). მათგან უმრავლესობას შეადგენენ სომხები - 25 122, (51%). 1931 წელთან შედარებით სომხური მოსახლეობის მატებამ შეადგინა 10 475 კაცი. ქართველების რაოდენობა 1931 წელს იყო 7 222 კაცი (15,4%), ხოლო 1959 წელს 18 458 (37,5%). მატებამ შეადგინა 11 236 კაცი. აზერბაიჯანელი, ქურთი და ოსმალო ეროვნების მცხოვრებნი 1959 წლის მონაცემებში აღარ ფიქსირდებიან, რაც გამოწვეულია 1944 წელს განხორციელებული დეპორტაციით. საკმაოდ გაზრდილია რუსი ეროვნების მოქალაქეთა რაოდენობა. 1931 წელს ეს ციფრი შეადგენდა 1 599, ხოლო 1959 წელს 3 510-მდე გაიზარდა.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა და ეროვნული შემადგენლობა 1959 წლისთვის (თ. ფუტკარაძე 1998, 28)*:*

რაიონი	**მოსახლ.**	**ქართვ.**	**სომეხი**	**აზერბაიჯანელი**	**რუსი**	**უკრაინელი**	**ოსი**	**ბერძენი**
ადიგენი	19 590	16 187	1 627	60	1 271	187	59	38
ახალციხე	50 420	18 878	25 753	36	3 684	548	135	265

ასპინძა	11 265	9 081	2 068	-	60	-	8	20
ახალქალაქი	62 977	3 566	57 209	25	1647	317	14	57
ნინოწმინდა	32 064	50	27 090	19	4 616	-	-	77

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა და ეროვნული შემადგენლობა 1970 წლისთვის (თ. ფუტკარაძე 1998, 28)*:*

რაიონი	ქართველი	სომეხი	აზერბაიჯანელი	რუსი	უკრაინელი	ოსი	ბერძენი
ადიგენი	17 582	1 466	102	676	162	89	38
ახალციხე	21 436	25 497	79	2 849	587	124	215
ასპინძა	9 929	2 421	-	95	-	3	8
ახალქალაქი	3 926	63 954	47	1 297	317	32	70
ნინოწმინდა	331	32 399	23	4 344	-	-	33


სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა და ეროვნული შემადგენლობა 1959 წლისთვის
მოსახლ.
ქართვ.
სომეხი
აზერბაიჯანელი
რუსი
უკრაინელი
ოსი
ბერძენი
70000
60000
50000
40000
30000
20000
10000
0
ადიგენი
ახალციხე
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
Axis Title


სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა და ეროვნული შემადგენლობა 1970 წლისთვის
ქართველი
სომეხი
აზერბაიჯანელი
რუსი
უკრაინელი
ოსი
ბერძენი
70000
60000
50000
40000
30000
20000
10000
0
ადიგენი
ახალციხე
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა

ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, რომ შემცირდა რუსების, ებრაელების და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა არა მარტო ხვედრითი წილი, არამედ აბსოლუტური რაოდენობაც. შედარებით გაიზარდა ქართველი მოსახლეობის რაოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ 1944 წელს საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციას მოჰყვა რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში სომხური მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლების გაზრდა. მაგ.: თუ ახალციხის რაიონში 1926 წ. სომხები შეადგენდნენ მოსახლეობის 30.5%-ს, 1959 წელს ეს მაჩვენებელი 51,1%-მდე გაიზარდა. სამცხე-ჯავახეთში სომხები მოსახლეობის 41,8%-ს შეადგენდნენ 1926 წელს, 1956 წელს კი - 64,5%-ს; მათ შორის სამცხეში 1926 წ. - 15,1%, 1959წ. - 36,2%; ჯავახეთში ეს მაჩვენებელი 79,7-დან 88,7%-მდე გაიზარდა. სომხები მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში.

გარდა მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნებისა, რეგიონი გამოირჩეოდა და გამოირჩევა დღესაც ეთნოგრაფიული ჯგუფების სიმრავლით. მკვიდრი ჯავახი და მესხი მოსახლეობის გარდა აქ ცხოვრობდნენ იმერლები, რაჭველები, მეგრელები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან ჩამოსახლებული მთიულები, გუდამაყრელები[77]. XX ს-ის 50-იანი წლების ბოლოს სამცხე-ჯავახეთში დაიწყო ქართველი მუსლიმების (აჭარლების) ჩამოსახლება ხულოს რაიონიდან ადიგენის მაღალმთიან სოფლებში. 1989-1991 წლებში აჭარლები ჩაასახლეს ასევე ასპინძისა და ახალქალაქის რაიონების სოფლებში.

[77] ისინი იძულებით ჩამოასახლეს 1944 წელს მაჰმადიანთა გასახლებისთანავე.

თავი 4. ეთნოპოლიტიკური ურთიერთობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში XX ს-ის 40-იანი წლებიდან 1965 წლამდე

4.1. ეროვნებათშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში

ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრობლემატიკის კვლევისას, ძალიან მნიშვნელოვანია დადგენა, თუ ზოგადად რას გულისხმობს ეთნიკური საზღვარი და სად გადის იგი. თანამედროვე მკვლევართა აზრით. ,,ეთნიკური საზღვარი აღიქმება, არა როგორც ტერიტორიული საზღვარი, არამედ როგორც აზროვნების აქტი.“ (მელიქიშვილი 2006, 152) ეს არის მახასიათებელი, რომელიც ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს ახასიათებს არა როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ წარმონაქმნს, არამედ როგორც ადამიანების კულტურულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ერთობას (მელიქიშვილი 2006, 154).

ეთნიკური საზღვრის ცნება დაამკვიდრა ნორვეგიელმა ანთროპოლოგმა ფ. ბარტმა. მისი აზრით, ეთნიკური ჯგუფის არსებობის საფუძველი არის მისი კულტურის შინაარსი, რომელიც ჯგუფმა თავისად აქცია გარკვეულ საზღვრებში. მკვეთრად გამოხატული ეთნიკური საზღვარი აქვეითებს ტოლერანტობას და ზღუდავს ეთნოსთაშორის ურთიერთობას. თავის მხრივ, მზარდი ეთნიკურობა იწვევს ეთნიკურ შეუწყნარებლობას, კონფრონტაციას. ჰიპერეთნიკურობის ყველაზე მძლავრი ფაქტორია სხვათაგან გამოყოფის სურვილი. ,,ხშირად ეთნიკური საზღვარი უფრო რეალური ხდება, ვიდრე ადმინისტრაციული, რადგან ერებს შორის გამყოფის ფუნქციას რეალურად სწორედ ეთნიკური საზღვარი ასრულებს“ (მელიქიშვილი 2006, 157). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური საზღვარი წარმოადგენს როგორც რთული ისტორიული პროცესების, ასევე საკუთრივ ერთაშორისი ურთიერთობების შედეგს. საზღვრის ბოლო არამდგრადია და ხშირად იცვლება..

თითოეული ეთნოსი ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურისა და ღირებულებების მატარებელია. სწორედ ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულება იწვევს კონფლიქტს კულტურებს შორის და მაშასადამე, ეთნოსებს შორისაც. ყალიბდება გარკვეული ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპები, რომლის ფორმირებასაც

,,პოლიეთნიკურ ანუ პოლიკულტურულ საზოგადოებაში ხელს უწყობს კონკრეტული მაგალითები და პიროვნულ დონეზე არასასურველი ქცევები" (მელიქიშვილი 2011, 21). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაც უფრო ჩაკეტილია და იზოლირებული კულტურები, მით მეტ უარყოფით სტერეოტიპებს ავლენენ, რაც შესაძლებელია საბოლოოდ ეთნოკონფლიქტად გადაიქცეს.

ეთნოკონფლიქტების გამომწვევი მიზეზი შეიძლება უამრავი ფაქტორი გახდეს. მათ შორის ეკონომიკურიც, როდესაც იწყება ,,ბრძოლა საარსებო რესურსებისთვის ეთნიკურ ჯგუფებს შორის ამ რესურსების დეფიციტის, ან უფრო ზუსტად, მათი უსამართლო განაწილების გამო'' (ლეიაშვილი 2002, 6).

ასეთ პირობებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ეროვნულ პოლიტიკას, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონფრონტაცია ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

საქართველოში, მისი ისტორიული ბედიდან გამომდინარე, ეროვნებათშორისი ურთიერთობების გარკვეული ტრადიციები უძველესი დროიდან არსებობდა. ,,საეროვნებათშორისო ურთიერთობის მდიდარი ტრადიცია, მართლაც უნიკალურია და საინტერესო. ეს ტრადიცია გამთბარია კაცთმოყვარეობით, შემწყნარებლობით, ჯანსაღი ინტერნაციონალიზმით" - წერს მკვლევარი ალ. დაუშვილი (დაუშვილი 2000, 5).

საქართველოში არსებული ეთნიკური სიჭრელის, რაც საერთოდ, დამახასიათებელი იყო ანტიკური პერიოდის აღმოსავლეთის ელინისტური სამყაროსთვის, ერთ-ერთი მთავარ მიზეზად საგარეო ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ. მოსახლეობის მიგრირება, გამოწვეული მეზობელი დიდი იმპერიების თუ მომთაბარე ტომების თავდასხმის შედეგად, იწვევდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დიდი ნაკადების შემოდინებას. თუმცა უცხო ეთნიკური ელემენტების არსებობა ვერ ახდენდა სერიოზულ გავლენას ქართულ ეთნოსზე, რადგან ხშირ შემთხვევაში ხდებოდა მათი ორგანული შერწყმა ადგილობრივ მოსახლეობასთან. მთის არაქართული მოსახლეობა ,,იბერიელდებოდა" ან ,,კოლხდებოდა", ხოლო ელინისტური აღმოსავლეთიდან და ბერძნული სამყაროდან მოსული უცხო მოსახლეობა ინარჩუნებდა ერთგვარ შინაგან

ავტონომიას, რასაც ქართული საზოგადოებაც აღიარებდა. ამ შემთხვევაში თანამშრომლობა ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იყო. ,,ქართველი ხელისუფლები უცხო ეთნიკურ-რელიგიურ თემებს ცალკეულ უბნებად ანაწილებდნენ ქართლის სხვადასხვა ქალაქებში მათი ქართულ გარემოში მოქცევის მიზნით" (ზურაბაშვილი 1989, 47). ჩანს, რომ ისტორიულად ქართული სახელმწიფო ყოველთვის ახერხებდა მიგრაციული პროცესების დარეგულირებასა და კონტროლს. რა თქმა უნდა, ხანგრძლივი თანაცხოვრება გარკვეული გავლენას ახდენდა ქართველებისა და არაქართული ეთნიკური ჯგუფების სამეურნეო ყოფასა და კულტურაზე. საქართველოში დამკვიდრებული ეთნოსები ითავისებდნენ ქართულ წეს-ჩვეულებებს და თავის მხრივ, გავლენას ახდენდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამაზე ნათლად მეტყველებს საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობები, ქორწინებისა თუ გლოვის წესები, ფოლკლორი და სხვ.

როგორც ვხედავთ, მრავალეთნიკურობა არ არის ქართული სახელმწიფოს წინაშე შექმნილი ახალი რეალობა. იგი სათავეს ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან იღებს. სხვადსხვა ეთნოსის წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ სომხები, ებრაელები, ოსები, საუკუნეების მანძილზე პერიოდულად სახლდებოდნენ და ცხოვრობდნენ საქართველოში. ყოველ მათგანს ჩამოუყალიბდა ქართულ ეთნოსთან ურთიერთობის გარკვეული ისტორიული გამოცდილება. ,,ტრადიციულად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებები არ იზღუდებოდა და ადგილი არ ჰქონდა ეთნიკური ნიშნით დევნას. ეთნიკური ჯგუფები ფლობდნენ ქართულ ენას, შეეძლოთ შეენარჩუნებინათ საკუთარი რელიგია და კულტურა" (კაციტაძე 2014, 4). აქედან გამომდინარე, ისინი თავს აღიქვამდნენ ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილად და სრულფასოვან წევრებად. ვითარება შეიცვალა XIX საუკუნიდან, როდესაც საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის წარმართვის უფლება. რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული იძულებითი მოგრაციებისა და ქართველთა ეროვნული ჩაგვრის პირობებში, როგორც უჩა ბლუაშვილი აღნიშნავს, საქართველოში მივიღეთ ,,ეთნიკური ნაციონალიზმი, როდესაც ენა, კულტურა და

რელიგია იქცა ქართული იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებად“, ნაცვლად სამოქალაქო ნაციონალიზმისა, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქის (ეთნიკური წარმომავლობის განურჩევლად) იდენტობას გულისხმობს“ (ბლუაშვილი 2011). არსებითად არაფერი შეცვლილა ამ თვალსაზრისით XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. პირიქით, კიდევ უფრო გაღრმავდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჩაკეტილობისა და გაუცხოების პროცესი. ისინი ახლა უკვე თავს აღიქვამდნენ არა ქართული სახელმწიფოს ნაწილად, არამედ დიდი საბჭოთა იმპერიის მოქალაქეებად.

4.2 საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა

საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულმა პოლიტიკამ, რომელიც ე.წ. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს ეფუძნებოდა, კომუნისტური მმართველობის წლებში, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან, არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა და საბოლოოდ რუსულ ველიკოდერჟავულ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა.

საბჭოთა კავშირში ეროვნული პოლიტიკის საფუძველი გახდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნაციონალიზმი მხოლოდ კაპიტალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი სენია. ამიტომ კომუნისტები ცდილობდნენ, მულტინაციონალური ევრაზიული სივრცე ექციათ ერთიან საბჭოთა სივრცედ, სადაც მოხდებოდა სხვადასხვა ეროვნებათა სრული ინტეგრირება და ცალკეული ეროვნული იდენტობების ნაცვლად ჩამოყალიბდებოდა საბჭოთა იდენტობა. ეს იქნებოდა (და იყო კიდეც დროის გარკვეულ მონაკვეთში) ,,გარკვეული სტაბილურობის ინდიკატორი ხალხებს შორის ურთიერთობაში, რაც, თავის მხრივ, ასუსტებდა და ამცირებდა კონფლიქტებს საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის” (კაციტაძე 2014, 5).

კომუნისტური რეჟიმის სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანს ე.წ. ,,ინტერნაციონალიზმისა” და ათეიზმის გავრცელება წარმოადგენდა. ეს იდეები უფრო ადვილად იკიდებდა ფეხს ქალაქებში, საწარმოებში და ზოგადად მუშათა სოციალურ ფენაში, რომელთა ფსიქოლოგია და სოციალური პირობები ხელს უწყობდა მათ მიღებას.

მსგავსი იდეების დამკვიდრება სოფლებში ბევრად უფრო რთული იყო, რადგან აქ ადამიანები უფრო მკვეთრად ეწინააღმდეგობდნენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, რომელიც მათთვის ანტიეროვნულად და რელიგიურ ტრადიციებთან შეუსაბამოდ მიიჩნეოდა.

ეროვნული პოლიტიკის საერთო ჭრილში უნდა იქნას განხილული კომუნისტური ხელისუფლების დროს განხორციელებული შიდა მიგრაციული პროცესები, რომელიც გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით. ძირითადად, მოსახლეობის ჩასახლება ხდებოდა მცირემიწიანი რაიონებიდან თავისუფალ მიწებზე, რათა ხელი შეეწყოთ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის; ზოგიერთ შემთხვევაში შიდა მიგრაცია უკავშირდებოდა სტიქიურ უბედურებებს. მაგ. ადიგენის რაიონში 37 მეურნეობა გეოლოგების დასკვნის საფუძველზე 1940 წლის 22.11. -ის დადგენილებით გადაასახლეს იმავე რაიონში, საცხოვრებლად საიმედო ადგილზე. მოხდა ე.წ. შიდასარაიონო გადასახლება (ნათმელაძე 2002, 80). მუდმივად მიმდინარეობდა სოფლიდან ქალაქში ან მთიანი სოფლებიდან ბარის რაიონებში მოსახლეობის საცხოვრებლად გადასვლის ბუნებრივი პროცესი. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს ეროვნული ნიშნით მოსახლეობის გადარჩევასა და მიგრაციული პროცესებისთვის ხელოვნურად ხელშეწყობის ფაქტებთან. ამ მიზანს ემსახურებოდა სტალინის ,,უცნაური სასაზღვრო პოლიტიკაც, მთელი ეთნიკური ჯგუფების გადასახლება, ეთნიკური რუსების მასობრივი ჩასახლება სხვადასხვა რეგიონში. საზღვრების გავლება ზუსტად ეთნიკური ხაზების გასწვრივ" (კოალსონი 2013).

ამგვარმა პოლიტიკამ შექმნა საფუძველი მომავალში მართვადი რეგიონული ეთნოკონფლიქტებისთვის. ხელოვნურად შექმნილი წონასწორობა მაშინვე დაირღვა, როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა. ტოტალური სისტემის დეცენტრალიზაციას მოჰყვა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების გააქტიურება, ბრძოლა საარსებო რესურსებისთვის. მკვლევარი პ. ლეიაშვილი, რომელიც ეთნოკონფლიქტების ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ეკონომიკურ ფაქტორს ასახელებს, აღნიშნავს, რომ ,,სხვადასხვა სტატუსის მქონე ეთნიკური ჯგუფების არსებობის პირობებში, რომელიმე

ერთი ჯგუფის მცდელობა საკუთარი სტატუსის ამაღლების მიმართულებით, სხვა კონკრეტული ჯგუფის მიერ აღიქმებოდა როგორც მისი საკუთარი სტატუსის ხელყოფა, ანუ იმ წონასწორობის დარღვევის მცდელობა, რომელიც იმპერიის ფარგლებში ხელოვნურად შენარჩუნებული იყო ადმინისტრაციული დიქტატით და ძალადობით" (ლეიაშვილი 2002, 11).

პროფ. მ. ნათმელაძე მიიჩნევს, რომ ,,მიგრაციული პროცესები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ტრადიციული იყო, თუმცა ახალ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ პირობებში შიდა და გარე მიგრაციის ფორმები, შინაარსი და ხასიათი შეიცვალა" (ნათმელაძე 2002, 11).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ომის დროს შიდა მიგრაციული პროცესები თითქმის შეწყდა[78]. 50-იან წლების დასაწყისში, როდესაც დაიწყო ახალი რეპრესიები პოლიტიკურ ნიადაგზე (არასაიმედოობა, გერმანელთა ტყვეობაში ყოფნა, არალეგალური მიმოსვლა თურქეთში და სხვ.), კვლავ განხორციელდა სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი, ორგანიზებული შიდა მიგრაციები. რა თქმა უნდა, ეს პროცესი იძულებით ხასიათს ატარებდა.

საკავშირო ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის ეს თავისებურებები გამოვლინდა საქართველოშიც. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით ეროვნულ უმცირესობათა მრავალრიცხოვანი ჯგუფები საქართველოში დიდი ხანია არსებობდნენ და ურთიერთობისა და თანაცხოვრების ისტორიული მოდელი, ეროვნებათშორისი ურთიერთობის გარკვეული ტრადიცია უკვე ჩამოყალიბებულ ხასიათს ატარებდა. ამ ტრადიციით აგრძელებდა ცხოვრებას რუსეთის იმპერიის ბატონობისა და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შემოსული მოსახლეობაც. როგორც მკვლევარი დავით მელუა თვლის, ,,ამიტომ საქართველოში ვერ შეიქმნა ამორფული რუსულენოვანი მასა და ტრანსეროვნული ორგანიზაციები. მაგრამ ამ მოვლენას ახლდა მეორე უკიდურესობა,

[78] აქ არ იგულისხმება ფრონტისპირა და გერმანელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის იძულებითი მიგრაცია სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის საქართველოში.

მოხდა ნაციონალური განწყობილების გაღვივება, როგორც უმრავლესობაში, ისე უმცირესობაშიც" (მელუა 1996, 8). შედეგად მივიღეთ ცალკეული ეთნიკური იდენტობების გაძლიერების პროცესი, რამაც, საბოლოო ჯამში, დაასამარა ერთიანი საბჭოთა იდენტობის შექმნის მცდელობა.

აღნიშნული პროცესების პარალელურად, საქართველოში საკავშირო და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით თანდათანობით მოხდა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ჩაკეტვა-იზოლაცია ეთნიკური უმრავლესობისგან. ეთნიკური უმცირესობისთვის, ყველაფერი რაც ხდებოდა, იყო ქართველების ბრალი და პირიქით, ქართველებისთვის - რუსებისა და ზოგიერთი ეთნიკური უმცირესობის (მაგ., სომხების). ,,ელიტის მიერ ჩადენილი ნეგატიური მოვლენები მთელს ეთნოსზე, ან ეთნიკურ ჯგუფზე ვრცელდებოდა" (მელიქიშვილი 2010, 24). მკვლევარი ლ. მელიქიშვილი ჩამოთვლის იმ ძირითად პარამეტრებს, რომლებიც ყველაზე მეტად აჩვენებს ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორესადმი გაუცხოებასა და დაპირისპირებას:

- ქორწინება სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან
- მეგობრობა სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან
- საქმიანი ურთიერთობა სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან (მელიქიშვილი 2010, 24).

მსგავსი სიტუაცია შეიქმნა ჯავახეთში, სადაც კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფები ფაქტიურად ეწეოდნენ დახურულ იზოლაციონისტურ ცხოვრებას. ასეთ შემთხვევებში კი, როგორც პ. კაციტაძის კვლევაშია აღნიშნული: ,,ფაქტობრივად, დომინანტ და უმცირესობაში მყოფი ჯგუფები ერთ სოციალურ სივრცეში ორ, ერთმანეთისგან გაუცხოებულ, ჩაკეტილ, პარალელურ საზოგადოებებს ქმნიან, რომელთა შორისაც სოციალური მობილობის და კომუნიკაციის დონე დაბალი ინტენსივობისაა; და თუკი ამგვარი მობილობის საჭიროება ჩნდება, იგი უფრო ვერტიკალური, იერარქიული ხასიათისაა, ვიდრე ღია და ჰორიზონტალური" (კაციტაძე 2014, 13).

1956 წლის 28.04. სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით აიკრძალა მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების ერთი რესპუბლიკიდან მეორეში გადაადგილება მუდმივ

საცხოვრებლად. ამან იმიგრაციის არაკეთილსასურველი ტენდენციის გაძლიერება გამოიწვია, რაც იმით გამოიხატა, რომ საქართველოს სინამდვილეში ადგილობრივი ხელისუფლების წაყრუებითა და ზოგჯერ დანაშაულებრივი ხელშეწყობითაც კი, უცხო ტომის მოსახლეობის არაერთმა წარმომადგენელმა შეძლო ქართული მიწის სამკვიდროდ მიტაცება (ნათმელაძე 2002, 84).

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო ენობრივი პოლიტიკა, რომელიც ერთიანი საბჭოთა იდენტობის შექმნის იდეას ემსახურებოდა. ახალი საბჭოთა ადამიანის სახელმწიფო ენად, რასაკვირველია, რუსული მოიაზრებოდა. რუსული ენა თანდათან იკავებდა გაბატონებულ მდგომარეობას. საქართველოში პირველ ეტაპზე, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების შემდეგ (XX ს-ის 30-40 -იანი წლებიდან) დამყარდა გარკვეული პარიტეტი რუსულ და ქართულ ენებს შორის. მაგ., საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში საქმისწარმოება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებში კი - ქართულ ენაზე. აღსანიშნავია, რომ საწარმოთა მართვაში ცალკეულ ეროვნებათა წარმომადგენლების თანამონაწილეობაც იყო თანაბარი. არ ჩანს, რომ ქართველები საქართველოში ამ მხრივ რაიმე უპირატესობას ფლობდნენ. უფრო მეტიც, ,,გაბატონებული ინტერნაციონალური იდეოლოგიის გამო ხშირად ირღვეოდა მკვიდრი ეროვნების უფლებები, ხდებოდა ახალი ეთნიკური ჯგუფების გაძლიერება” (დაუშვილი 2000, 123).

კიდევ უფრო პრივილეგირებული მდგომარეობა დაიკავა რუსულმა ენამ XX საუკუნის 50-60-იან წლებში. რუსულად საქმისწარმოების წარმართვა თითქმის სავალდებულო გახდა. ამ ფაქტს თავის სასარგებლოდ იყენებდნენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. ისინი თავს თვლიდნენ არა საქართველოს, არამედ პირველ რიგში საბჭოთა იმპერიის მოქალაქეებად, ამიტომ ,,მათ წინაშე არ იდგა ქართული ენის შესწავლის საჭიროება. პირიქით, სწორედ რუსული ენის კარგი ფლობა აძლევდა მათ ქართველების უმრავლესობასთან უპირატესობას სამსახუროებრივი კარიერის გზაზე, რადგან, როგორც ავღნიშნეთ, დაწესებულებების უმრავლესობაში საქმისწარმოება

რუსულად მიმდინარეობდა" (ბლუაშვილი 2012). XX საუკუნის 70-80-იან წლებში ენის საკითხში საბჭოთა კავშირში განხორციელებული პოლიტიკა, საქართველოსთვის სერიოზულ გამოწვევად იქცა. რუსული ენის გაძლიერება და მისი სახელმწიფო ენად გამოცხადების მცდელობა განსაკუთრებით მწვავე რეაქციას იწვევდა. 1977 წელს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც, 1936 წლის კონსტიტუციისაგან განსხავვებით,[79] ქართული სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა გადაწყვიტა. სსრკ-ის სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული ენა რჩებოდ (ჯალაღონია 2024). ასეთი პოლიტიკის ფონზე, 1978 წელს თბილისში დიდი საპროტესტო გამოსვლები გაიმართა, რომელიც ქართულ ენას იცავდა. ქართველმა ხალხმა, კულტურული იდენტობის და ენის შენარჩუნებისთვის, აქტიურად გაილაშქრა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. თბილისის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა, რაც საბჭოთა კავშირის პირობებში ძალზე იშვიათი და გაბედული აქტი იყო.

საბოლოოდ, საზოგადოების ფართომასშტაბიანი პროტესტის შედეგად, საბჭოთა ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, უკან დაეხია და კონსტიტუციაში ქართული ენა კვლავ სახელმწიფო ენად დარჩა. ეს მოვლენა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი იყო ქართული ენის დაცვის ისტორიაში. მან აჩვენა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისთვის ქართულ ენას, როგორც ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართული ენის სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დგას, მაგრამ ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შესწავლის საკითხი დღესაც ძალიან აქტუალურია, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში (მათ შორის შედის სამცხე-ჯავახეთიც), სადაც ეთნიკური თუ ენობრივ-კულტურული უმცირესობების კომპაქტური განსახლებებია. ამ პროცესს ხელს უშლის ე. წ. ,,რეგიონული

[79] 1936 წელს იურისტებმა კონსტიტუციიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღების საკითხი დააყენეს, მაგრამ სტალინმა მაშინ ამ ნაბიჯის გადადგმა ნაადრევად მიიჩნია (უ. ბლუაშვილი)

ენების” შესახებ მსჯელობა, რომელიც დაიწყო 2000 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელი მოაწერა სტრასბურგის ქარტიას (ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ 1992) და კონვენციას (ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ 1995).

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, ეთნიკურ უმცირესობებს კომპაქტური დასახლებების ადგილებში, უნდა ჰქონდეთ საკუთარ ენაზე საქმისწარმოების, უმაღლესი სასწავლებლების, სკოლებისა და ბაგა-ბაღების გახსნის უფლება. რასაკვირველია, ევროპული რეკომენდაციების შესრულება მნიშვნელოვანი საკითხია ქართული სახელმწიფოსთვის, მაგრამ ექსპერტთა აზრით, ამ ვალდებულებების უპირობო მიღება სერიოზული რისკების შემცველია. ,,საქართველომ განვითარების სრულიად უნიკალური გზა განვლო. ამიტომ მას თავისი სპეციფიკური ეროვნული ინტერესების გააჩნია და ქართული სახელმწიფო, პირველ რიგში, თავის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში სწორედ ამ ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს. არავის არა აქვს უფლება თავს მოგვახვიოს ისეთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენს ეროვნულ ინეტრესებს ეწინააღმდეგება” - აღნიშნავს უ. ბლუაშვილი (ბლუაშვილი 2012).

4.3. ეროვნული პოლიტიკა და ერთაშორისი ურთიერთობანი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1946-1965 წლებში

საბჭოთა ხელისუფლების რეგიონული ეროვნული პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთში, ერთი შეხედვით, შემოიფარგლებოდა ეროვნული უმცირესობებისთვის მხოლოდ ე.წ. ,,კულტურული ავტონომიის” მინიჭებით. კერძოდ, კომპაქტური დასახლების გამო სომხები, რუსი სექტანტები, ბერძნები, ებრაელები და სხვ. ეთნიკური ჯგუფები სარგებლობდნენ საკუთარი კულტურის, ენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უფლებით. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, თუ რა კრიტერიუმის საფუძველზე ახდენდნენ ეს ეთნიკური ჯგუფები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. ზოგად ეთნიკურ კრიტერიუმებად (მარკერებად) მოიაზრება ენა, ტრადიციები, კულტურა, ეთნოსი, ისტორია და ა.შ. მაგ., როგორც ცნობილია, საქართველოში მცხოვრები

ბერძნებისთვის ეთნიკური იდენტობა განისაზღვრება ისეთი ძირითადი მარკერების საფუძველზე, როგორიცაა ენა, წარმომავლობა და კულტურა. არის შემთხვევები, რომ არც გვარი აქვთ შენარჩუნებული, ენაც არ იციან, მაგრამ ეროვნებად მითითებული აქვთ ბერძენი (კაციტაძე 2014, 40). სომხებისთვის არ აქვს მნიშვნელობა რელიგიურ კუთვნილებას, ,,დუხობორებისთვის კი პირიქით, მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი იყო რელიგიური და არა ეთნიკური, მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი ეროვნებით რუსია'' (კაციტაძე 2014, 45). სწორედ ამ კრიტერიუმების ფარგლებში უნდა მინიჭებოდათ მათ თვითგამოხატვის თავისუფლება.

მეორეს მხრივ, ახალციხისა და ახალქალაქის პარტიული არქივის მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იმაზე მეტ უფლებებს ანიჭებდა კომპაქტურად ჩასახლებულ ეთნიკურ უმცირესობებს, განსაკუთრებით სომხებს, ვიდრე ამას ,,კულტურული ავტონომია“ გულისხმობდა. მკვეთრად გამოხატული პრივილეგირებული მდგომარეობა კი მათი ეროვნული გრძნობების გაღვივებას უწყობდა ხელს. შედეგად რეგიონში მკვიდრი მოსახლეობის - ქართველების რაოდენობა კიდევ უფრო მცირდებოდა. პროცესს ხელს უწყობდა ის ფაქტორიც, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ესაზღვრებოდა სომეხი ეთნოსის ისტორიულ სამშობლოს - სომხეთს, რომელთანაც მას უფრო ძლიერი კულტურული კავშირი ჩამოუყალიბდა, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებთან. ეს განაპირობა სამცხე-ჯავახეთის ,,იზოლირებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მისმა ეთნიკურმა სურათმა, იქ არსებულმა რუსულმა სამხედრო ბაზამ და დიდი ხნის განმავლობაში დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის სიმწირემ” (მეტრეველი 2013, 3). საბოლოოდ, ,,სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები ჯერ იდენტიფიცირებას ახდენდნენ ადგილთან - ჯავახეთთან, მერე სომხეთთან და მხოლოდ ამის შემდეგ აღიქვამდნენ თავს საქართველოს მოქალაქეებად'' (კაციტაძე 2014, 97).

საბჭოთა ხელისუფლების არასწორი ეროვნული პოლიტიკა კიდევ უფრო მახინჯ ფორმებს იძენდა რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობის გამო. რაიონული პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოები ხშირად ,,თვალს ხუჭავდნენ”

ქართველთა შევიწროებისა და არამკვიდრი მოსახლეობის მიერ მიწების მიტაცებისა და დაკანონების ფაქტებზე.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა და გადაწყვეტა ხდებოდა პარტიული ორგანოების შეკრებებზე. ამიტომ, მიმდინარე პროცესებზე ადგილობრივი ხელისუფლების როლისა და გავლენის ხარისხის დასადგენად მნიშვნელოვან და მთვარ ამოცანას წარმოადგენს განსახილველი პერიოდის ახალციხისა და ახალქალაქის რაიონული კომიტეტების ბიუროს სხდომის მასალების შესწავლა.

უმთავრესი თემა, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ახალციხისა და ახალქალაქის რაიონული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე განიხილებოდა, იყო კომუნისტური პარტიის რიგებში ახალი წევრების მიღება. ახალქალაქის რაიონში პარტიაში იღებდნენ ძირითადად სომხური ეროვნების მოქალაქეებს (იშვიათად, მაგრამ გვხვდებიან ქართველებიც). ახალციხის შემთხვევაშიც ბევრად სჭარბობდნენ სომხები. აშკარად იგრძნობა მათი აქტიურობა ამ კუთხით. საინტერესოა, რომ პარტიის რიგებში გაწევრიანების მსურველი გვხვდება ყველა სოციალური ჯგუფიდან. მაგალითად, 1949 წლის 25.11. ბიუროს სხდომაზე პარტიის რიგებში მიიღეს:

- ბაბილიანი სირანუშ - ეროვნებით სომეხი, # 1 ბაღა-ბაგის გამგე
- ადამიდი ვასილ - ბერძენი, საქონელმცოდნე
- გალუსტიანი მელქონ - სომეხი, გლეხი (სოფ. აბათხევი)
- არუთინიანი ოგანეს - სომეხი, ბრიგადირი
- ხრიკაძე ვასილ - ქართველი, ციხის ზედამხედველი (შსსა საქმე 6, 147-149).

ახალციხის რაიკომის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მგალობლიშვილის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა პლენუმის სხდომაზე 1946 წლის 02.03. მოყვანილია პარტიაში მიღებულთა რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1945 წლის 26.06. - დან 1946 წლის 2.03.-მდე. წევრად მიღებულ იქნა 74 კაცი, წევრობის კანდიდატად 45 კაცი, სულ 119 . მათგან ეროვნების მიხედვით:

- ქართველი - 43

- სომეხი - 54
- რუსი - 7
- სხვა - 8 (შსსა საქმე 221, 29).

1946 წლის 2.03.-დან 27 ივნისამდე კი პარტიაში მიღებულ იქნა:

- ქართველი - 43
- სომეხი - 33
- რუსი - 5 (შსსა საქმე 221, 83).

საკმაოდ ხშირია ახალციხეში სომეხი ეროვნების მოქალაქეების მიღება პარტიის რიგებში 50-იან წლებშიც. ამ ტენდენციის შესუსტება იგრძნობა 60-იან წლებიდან. უკვე ნაკლებია სომეხთა აქტიურობა, სჭარბობენ ქართველები.

პარტიის წევრობა ქმნიდა ერთგვარ პოლიტიკურ იმუნიტეტს და იძლეოდა კარიერული წინსვლის გარანტიას. სწორედ ამით უნდა აიხსნას სომხების ,,სწრაფვა" პარტიაში გაწევრიანებისკენ. მათ ეკავათ მნიშვნელოვანი თანამდებობები, ხშირ შემთხვევაში ჰქონდათ სტაბილური შემოსავალი, ფლობდნენ სავაჭრო ობიექტებს, სახელოსნოებს, ეწეოდნენ კერძო მეწარმეობასაც, დამატებითი შემოსავლის მისაღებად დადიოდნენ სამუშაოდ ყაზახეთსა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ერთი სიტყვით, სარგებლობდნენ ყველანაირი უპირატესობით. 1946 წელს ადიგენის რაიკომის მდივანი რუხაძე საკავშირო კპ(ბ) ცკ მდივნის თოფურიძის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ მას გაუჭირდა, გაეთავისუფლებინა თანამდებობებიდან დამამზადებელი პუნქტების გამგეებად ახალციხიდან ჩამოსული უნანიანცები, ოდაბაშიანცები და სხვ., რომლებიც არც გამოცდილებით გამოირჩეოდნენ და არც ხეხილის ბაღები ჰქონდათ.[80] განსაკუთრებული წინააღმდეგობა შეხვედრია რუხაძეს ვინმე აკოფა უნანიანის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე[81], რომელმაც ცოლის შერთვის დროს მხოლოდ ქორწილისთვის დახარჯა 200 000 მანეთი; ინახავდა დიდი რაოდენობით პირუტყვს,

[80] მათ ნაცვლად რუხაძეს დაუნიშნავს ადგილობრივები
[81] როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს ჰყავდა გავლენიანი მფარველები

ჰყავდა მოჯამაგირეები და ა.შ. ფაქტიურად კაპიტალისტივით ცხოვრობდა (შსსა საქმე 175, 33).

სოფელ აწყურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარე ვ. ჯაყელი 1946 წლის 28.09. რაიკომის მე-6 პლენუმზე სიტყვით გამოსვლისას მიუთითებს საგულისხმო ფაქტზე. კერძოდ, აღნიშნავს, რომ მაღარომშენის სამმართველოში ვინმე არუცევი თვითნებურად ხსნიდა ყველას, ვინც მას სამართლიანად აკრიტიკებდა და მხარდაჭერას იღებდა რაიკომიდანაც. მან სამსახურიდან გაათავისუფლა სამშენებლო საამქროს უფროსი ინჟინერი კაპანაძე, რომელიც შესანიშნავი გამოგონების ავტორი იყო და შემდეგ ეს გამოგონება მისივე ხელმძღვანელობით დაინერგა მოსკოვის ერთ-ერთ ქარხანაში. არუცევს ,,კრუპნაია ველიჩინას" უწოდებს აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე მესტვირიშვილი, რომელიც ხშირად იღებდა მისგან დიდ პრემიებს (შსსა საქმე 221, 162).

მუდმივად პრივილეგირებული მდგომარეობაში ყოფნას მიჩვეული სომხები ხშირად ვეღარ ეგუებოდნენ თანამდებობების დაკარგვას და წერდნენ საჩივრებს. ადგილობრივი ხელისუფლება სრულ უუნარობას იჩანდა მსგავს სიტუაციებში. ხშირად იმის შიშით, რომ ნაციონალიზმში დასდებდნენ ბრალს, ისინი თვალს ხუჭავდნენ აშკარა თვითნებობაზე, ან უკიდურეს შემთხვევაში, მიმართავდნენ საკითხის გადასაწყვეტად ცენტრალურ ხელისუფლებას. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება კი ეთნოდაპირისპირების დროს ეთნიკური უმცირესობის მხარეს იჭერდა, რადგან ეშინოდა, რომ მოსკოვი მას ქართულ შოვინიზმში დაადანაშაულებდა.

1956 წელს ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე განიხილეს ერთ-ერთი მოქალაქის მურადოვას განცხადება, რომელიც საქართველოს ცკ-დან გადმოეგზავნა ახალციხის რაიკომს. მურადოვა უჩიოდა მთავარ ვეტექიმს დიდიმამიშვილს, ადანაშაულებდა მას დევნაში, ხოლო ხარისჩირაშვილებს თანამდებობების დაკავებაში ვეტერინარიის სფეროში. საკითხი ბიუროს სხდომაზე ფაქტიურად მურადოვას სასარგებლოდ გადაწყდა. ის მიიღეს კომუნისტური პარტიის წევრად სამსახურის მოძებნის პირობით, ხოლო დიდიმამიშვილს დაადეს პარტიული სასჯელი. გაათავისუფლეს და გადაიყვანეს სხვადასხვა თანამდებობებზე ხარისჩირაშვილი და მისი ნათესავები (შსსა საქმე 27, 2-7).

1955 წელს ახალციხის რაიკომის ბიურომ განიხილა ვინმე მოსიკიანის საკითხი.[82] იგი მუშაობდა წყალთბილის კოლმეურნეობის თავჯდომარედ და ამ თანამდებობაზე დაინიშნა ოთხჯერ ზედიზედ. შემდეგ გაუშვეს ჯაყისმანის დამხმარე მეურნეობის დირექტორად, მაგრამ უარი თქვა. გაიგო რა წყალთბილის თავჯდომარის შეცვლის შესახებ, მან განცხადება შეიტანა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ში და ითხოვდა თავჯდომარედ დანიშვნას. პარალელურად დარბინიანთან და ბაბაჯანიანთან ერთად ორგანიზებას უკეთებდა და ჯგუფებად აგზავნიდა რაიკომში თავის ახლობლებს თხოვნით, რომ თავჯდომარედ დაენიშნათ მოსიკიანი. ბიუროს დადგენილებაში, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღეს, წერია: ,,მიუხედავად იმისა, რომ მოსიკიანს განემარტა ის მოტივები, რომლის გამო არ შეიძლებოდა მისი თავჯდომარედ არჩევა, მან მოაწყო დებოში წინასწარ დაგეგმვით თავის მომხრეებთან ერთად და ჩაშალა კოლმეურნეობის კრება თავჯდომარის ასარჩევად" (შსსა საქმე 16, 76). საბოლოოდ მოსიკიანი გარიცხეს პარტიიდან და მისცეს პასუხისგებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიუროს სხდომებზე ხშირად განიხილებოდა კრიმინალური ფაქტები, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფო ქონების დატაცებას, მითვისებას, გაფლანგვას, ასევე ანტისაბჭოურ მოღვაწობას, არაკომუნისტურ ქცევას და ა.შ. რისთვისაც აძლევდნენ გაფრთხილებას, საყვედურს, უკიდურეს შემთხვევაში რიცხავდნენ პარტიიდან და ათავისუფლებდნენ სამსახურიდან. ასეთ შემთხვევაში ნამდვილად არ ხდებოდა ეროვნული ნიშნით განსხვავება. ნათქვამს ადასტურებს საარქივო მასალებში ასახული ფაქტები, მაგ.:

- სასტიკი საყვედური გამოეცხადა 1922 წელს დაბადებულ პ.ო. აბელიანს 1953 წლის 22.10. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტის დამალვისა და ოჯახში არაკომუნისტური ქცევისთვის. 1955 წელს ბიურომ უარი თქვა მისთვის საყვედურის მოხსნაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ,,არსებული მასალების მიხედვით იგი მონაწილეობდა წყალთბილის კოლმეურნეობაში მოსიკიანის მიერ მოწყობილ დაჯგუფებაში" (შსსა საქმე 14, 37).

[82] მოსიკიანი რამდენჯერმე არ გამოცხადდა ბიუროს სხდომაზე.

- 1946 წელს ახალქალაქის რაიკომის ბიურომ განიხილა პარტიის ერთ-ერთი წევრის მკრტიჩ აზნავურიანის საქმე, რომელიც სომხური პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი გახლდათ. მას ბრალად დასდეს 1942 წ. ქ. ლენინაკანში[83] ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა და პატიმრობა. ფაქტის დადასტურების გამო ბიუროს სხდომაზე გარიცხეს პარტიიდან (შსსა საქმე 129, 61).
- 1956 წლის 21 მაისს მოეწყო ველოგადარბენა ახალციხიდან ბორჯომამდე, რომლის მიმდინარეობის დროსაც მოქალაქე ჟ. კურგენიანმა სადგისით დაჩხვლიტა სამი ველოსიპედის საბურავი და გაიქცა. მას გამოედევნენ მილიციელები. კურგენიანი შევიდა მდ. ფოცხოვში და დაიხრჩო. ამის გამო ბიუროს სხდომაზე მილიციელებს იაძეს და აბგაროვს გამოეცხადათ საყვედური (შსსა საქმე 16, 81-82).
- 1956 წლის 3 მარტს ახალციხის რაიკომის ბიუროს სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება წყალთბილის ,,წითელი მესაზღვრის" სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავჯდომარის გოქორიანის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ. ამ უკანასკნელმა საკუთარი ბინის მშენებლობისთვის გამოიყენა კოლმეურნეობის ავტოტრანსპორტი, გამწევი ძალა და მუშახელი. ასევე საწყობიდან წამოიღო დაბალ ფასებში და გაყიდა გარეშე პირებზე კოლმეურნეობაში მოწეული 5 ტონა კარტოფილი, 65 კგ. ყველი, 100 ლ. თაფლი (შსსა საქმე 14, 16).
- პარტიიდან გარიცხეს ვინმე შოთა ტატალაშვილი, იმის გამო, რომ სამხედრო პირებთან ჩხუბის დროს, სადაც თვითონვე მიიღო მსუბუქი დაზიანება, უცენზურო სიტყვებით მოიხსენია ,,ბელადი" და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები (შსსა საქმე 14, 35).
- 1950 წელს შემოწმების შედეგად, რომელიც ჩატარდა ახალციხის # 3 საშუალო სკოლაში, აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობა: სკოლაში იყო დაბალი

[83] დღევანდელი ქ. გიუმრი სომხეთში.

აკადემიური მოსწრება, ქართული ენის სწავლებას ახორციელებდა ამ ენის სრულიად უცოდინარი, დირექტორის მეუღლე არაქელოვა, ასევე არ ხდებოდა მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა. შედეგად სკოლის ეზოში ტრაგიკულად დაიღუპა მეორე კლასის მოსწავლე, ხოლო მე-11 კლასელმა გაკვეთილზე დალია საწამლავი. ამის გამო სკოლის დირექტორს სარაჯანიანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური (შსსა საქმე 8, 368).

- ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე კრიტიკა დაიმსახურა წყალთბილის სკოლის დირექტორმა ერვანდ სიმონიანმა, რომელიც თურმე ბეჭედს ატარებდა. ,,მამაკაცს და ისიც საბჭოთა სკოლის დირექტორს ბეჭედი ხელზე" მეშჩანობაში ჩაუთვალეს (შსსა საქმე 221, 180).
- სასტიკი საყვედურები გამოეცხადათ კომუნისტისთვის შეუფერებელი საქციელისთვის ვართანიანს, იოსებ მაკაროვს, მარკოსიანს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1949 წლის 28 აგვისტოს ,,საფარობის რელიგიურ დღესასწაულში" (შსსა საქმე 6, 5,154).
- უარი ეთქვა პარტიაში მიღებაზე წყალთბილის სკოლის მასწავლებელს მამიკონ მოვსესიანს (დაბ. 1911 წ., უმაღლესი განათლებით) იმ მოტივით, რომ იგი ხშირად გადადიოდა საქართველოდან სომხეთში, რაც არ იძლეოდა მისი საფუძვლიანი შემოწმების საშუალებას (შსსა საქმე 6, 147). ასევე არ იქნა მიღებული წევრობის კანდიდატად სარქის ავაკიანი, რომელმაც ცილი დასწამა ყალბი ცნობების გაცემისთვის ვინმე თაირიანს (შსსა საქმე 6, 17).

მსგავსი საკითხების, საჩივრების განხილვა და კრიტიკული პათოსი დამახასიათებელია 40-იანი და 50 იანი წლების ბიუროს სხდომებისთვის, როგორც ახალციხეში, ასევე ახალქალაქში. 60-იანი წლებიდან კი უკვე ნაკლებად განიხილება საჩივრები, ნაკლებია კრიტიკა კოლმეურნეობებისა და ორგანიზაციების მიმართ, ასევე ნაკლებადაა წარმოდგენილი შემოწმების მასალები. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დარღვევები არ ხდება, მხოლოდ მცირე ნაკლოვანებებია მითითებული. იშვიათად ხდება

პარტიული სასჯელის დადებაც. მკვიდრდება ,,უძრაობის ხანისთვის" დამახასიათებელი მართვის სტილი.

ცალკე საკითხად უნდა გამოიყოს მიწის დატაცებისა და მითვისების ფაქტები, რომელსაც, როგორც ჩანს, ხშირად ჰქონდა ადგილი. ბიუროს სხდომებზე უამრავი დადგენილებაა მიღებული, რომლითაც დამნაშავეები დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა სასამართლოს. მსგავსი საჩივრები გვხვდება როგორც სომეხი ეროვნების, ასევე ქართველი მოქალაქეების მიმართ.

1946 წლის 17 ოქტომბერს ახალქალაქის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ პტენაში მიწების უკანონოდ მითვისების საკითხი. კერძოდ, კოლმეურნეობის თავჯდომარე ადვაძემ ერთ-ერთ კოლმეურნეს - მელიქიძეს წაართვა 0,26 ჰა და გააფართოვა საკუთარი მიწის ნაკვეთი. ასევე მოექცა ცამეტ კოლმეურნეს და საერთო ჯამში მიითვისა 0,42 ჰა მიწის ფართობი. ადვაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და გათავისუფლდა თანამდებობიდან (შსსა საქმე 129, 28).

1956 წელს სოფელ ზემო სხვილისში ადგილი ჰქონდა ინციდენტს. კოლმეურნეობის საერთო კრებაზე განიხილებოდა საკარმიდამო ნაკვეთების ფართობის შემცირების საკითხი, რის წინააღმდეგაც წასულა თექვსმეტი ქართული ოჯახი (პაპიძეები). თითოეულ ოჯახს დაკავებული ჰქონდა 0,75 ჰა საკარმიდამო ნაკვეთი. მათ დატოვეს კრება, დაუპირისპირდნენ კოლმეურნეობის თავჯდომარე ათუნოვს, დაემუქრნენ მას სოფლიდან გაძევებით. საქმის მასალებში განსაკუთრებით ხაზგასმულია გ. პაპიძის საქციელი, რომელიც ადგილობრივ სომხებს მიმართავდა უხეშად და შეურაცხმყოფელი სიტყვებით. ასევე გაკრიტიკებულია ადგილობრივი რაიონული გაზეთი ,,წითელი დროშაც", რომელმაც არ მიაწოდა საკმარისი ინფორმაცია მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთების მაქსიმალური ნორმის შესახებ. როგორც ჩანს, იმის გამო, რომ სოფელში იყო შერეული მოსახლეობა (ქართულ-სომხური), ქართული მოსახლეობა განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა მიწებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. საბოლოო ჯამში, გ. პაპიძეს და სხვ. გამოეცხადათ საყვედური, ხოლო რაიონულ აღმასკომს დაევალა, მოეწესრიგებინა საკარმიდამო ნაკვეთების ნორმის საკითხი (შსსა საქმე 16, 89-90).

ახალქალქის რაიკომის ბიუროს სხდომებზე ხშირად გვხვდება საკარმიდამო მიწების ჩამორთმევასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა. მაგალითად, განხილულია ხაჩიკ მაკარიანის საქმე, რომელმაც სხვა დანაშაულთან ერთად დამატებით მიიტაცა 0,16 ჰა საკარმიდამო მიწა (ნორმად განსაზღვრული იყო 0,35 ჰა). მისი საქმე გადაეცა სასამართლოს, რომელმაც მიუსაჯა ერთი წელი მიტაცებული მიწის ჩამორთმევით (შსსა საქმე 170, 245).

განსაკუთრებით ბევრია მასწავლებელთა საჩივრები აღნიშნულ საკითხზე. ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი კაზარიანი ჩივის, რომ მას ჩამოართვეს 0,10 ჰა მიწა და დაუტოვეს მხოლოდ 0,15 ჰა[84]. კაზარიანს მიუმართავს მოსკოვში ცენტრალური ხელისუფლებისთვისაც და საქართველოს კპ პირველი მდივნის მჟავანაძისთვისაც. განცხადებას ადევს რეზოლუცია ,,დაუბრუნდეს" (შსსა საქმე 170, 8). იგივე პრობლემა აქვს სოფელ გოკიოს მასწავლებელს ტაბატაძეს, რომელსაც ასევე ჩამოართვეს 0,10 ჰა მიწის ფართობი (შსსა საქმე 170, 98).

საინტერესოა, თუ რა ენაზე მიმდინარეობდა საქმისწარმოება საკვლევ პერიოდში (1946-1965 წლებში). როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში საბჭოთა იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენდა მოკავშირე რესპუბლიკებში რუსული ენის სწავლების და გამოყენების მასობრივი დანერგვის პოლიტიკა. რუსული ენის ცოდნის შემთხვევაში ადამიანს სხვადასხვა სფეროში წარმატების მიღწევის უფრო მეტი პერსპექტივა უჩნდებოდა. რუსული ენა საბჭოთა იმპერიაში დამკვიდრდა როგორც კომუნიკაციის მთვარი საშუალება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც, სადაც ძირითადად გამოიყენებოდა ქართული და სომხური ენები, აქტიურად დაიწყო რუსული ენის დანერგვა, მისი გამოცხდება ერთაშორისი ურთიერთობების ენად. საქმისწარმოება სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებებში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხის რაიკომის ბიუროს სხდომების, ასევე პლენუმის ოქმები წარმოებულია ქართულ ენაზე, ხოლო განცხადებები, ორგანიზაციათა

[84] მასწავლებლებისთვის გამოყოფილი იყო 0,25 ჰა.

ხელმძღვანელების ანგარიშები გვხვდება რუსულადაც. ბიუროს შემადგენლობა ძირითადად ქართულია, რამდენიმე სომეხი ეროვნების წარმომადგენლის მონაწილეობით, რაიკომის მეორე ან მესამე მდივანი, როგორც წესი, სომეხი ეროვნებისაა.

რაც შეეხება მიმოწერას მინისტრთა საბჭოსთან და საქართველოს ხელმძღვანელ ორგანოებთან, გამოყენებულია რუსული ენა. რუსულ ენაზეა შედგენილი წერილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ჯანჯღავას სახელზე 1956 წელს, სადაც აღნიშნულია, რომ ვალეში მდებარე მაღაროები გაფანტულია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, რომ აქ დასაქმებულია მრავალი ეროვნების წარმომადგენელი სსრკ-ის სხვადასხვა ოლქიდან. ამიტომ ხშირია ხულიგნობის, ქურდობის, ამორალური საქციელის ფაქტები. წერილში ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი კ. კაპანაძე ითხოვს მილიციის გაძლიერებას ქალაქ ვალეში დამატებითი უწყების შექმნით 10 კაცის შემადგენლობით (შსსა საქმე 36, 9).

რაც შეეხება ახალქალაქის ბიუროს სხდომებს, ოქმები შედგენილია რუსულ ენაზე როგორც 40-იან და 50-იან წლებში, ასევე 60-იან წლებშიც. ბიუროს შემადგენლობა ძირითადად სომხურია ერთი ან ორი ქართველის მონაწილეობით, პირველი მდივანი ხშირად ქართველია. განცხადებებიც შედგენილია ძირითადად რუსულ და სომხურ ენებზე, იშვიათად გვხვდება ქართულ ენაზე დაწერილი საჩივრები.

ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო დეტალიც. კერძოდ, ახალციხის რაიონის საარქივო მასალებში ხშირად გვხვდება სომხური გვარები რუსული დაბოლოებით[85]. მაგ.: ***აბგაროვი, სეროფოვი, ანანოვი, გრიგოროვი, მურადოვი, ვირაბოვი, რომაზანოვი, კარაკოზოვი, მამაროვი, ეკნოზოვი*** და ა. შ. იშვიათად, მაგრამ მსგავსი დაბოლოება აქვს ქართულ გვარებსაც: ***გოზალოვი, კალაიჯევი*** და სხვ. თუმცა მსგავსი რამ თითქმის არ გვხვდება ახალქალაქის საარქივო მასალებში. საფიქრებელია, რომ გვარების მსგავსი ფორმით ცვლილება რუსული ენის ცოდნასთან ერთად წარმოადგენდა მთავარ ფაქტორს პრივილეგირებული მდგომარეობის დასაკავებლად და იძლეოდა კარიერული წინსვლის გარანტიას.

---

[85] პარტიაში მისაღებ კანდიდატებს მითითებული აქვთ ეროვნება.

სომხური მოსახლეობის ბუნებრივ მატებას სამცხე-ჯავახეთში ხელს უწყობდა შერეული ქორწინებებიც. თუ სომეხი მამაკაცი ქართველ ქალს ირთავდა, ქალი აუცილებლად სომხდებოდა, ხოლო თუ სომეხი ქალი თხოვდებოდა ქართველზე, ინარჩუნებდა არამარტო თავის ეროვნებას, არამედ შვილებსაც სომხურ სარწმუნოებაზე ნათლავდა. თ. ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ ,,1956-1979 წლების ახალციხის მმაჩის რაიონული განყოფილების მასალებში ვერც ერთი შემთხვევა ვერ დავადასტურეთ, რომ ქართველის მეუღლე - სომეხი ქალი ქართულ გვარზე დაწერილიყოს, ხოლო სომხის მეუღლე - ქართველი ქალი ქორწინების დოკუმენტებში ყოველთვის სომხად არის ჩაწერილი“ (თ. ფუტკარაძე 1998, 10). [86]

ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რაც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებითაც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში სომხურენოვანი იყო. ეს დასტურდება საარქივო მასალებითაც. 1946 წელს ახალქალაქის რიონული საბჭოს არჩევნებისთვის ,,ასარჩევად” წარმოდგენილი 60 კანდიდატიდან მხოლოდ 14 ქართველი, 7 რუსი ან უკრაინელია, ხოლო დანარჩენი - სომეხი (შსსა საქმე 170, 47-48).

არჩევნების მიზნით რაიონში შექმნილა 60 საარჩევნო უბანი, აქედან 5 საქალაქო, რომლის წევრების ეროვნული შემადგენლობა შერეულია - ქართულ-სომხურ-რუსული. რამდენიმე დახურული უბანია - 5 (სამხედრო და სასაზღვრო ნაწილი). დანარჩენი 50 სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შესწავლამ აჩვენა, რომ მხოლოდ ხუთი უბანია მასში შემავალი სოფლებით მთლიანად ქართულენოვანი.

ეს სოფლებია:

- გოგაშენი (აქ შედიოდა აფნია და დანგალი)
- ჩუნჩხა (აერთიანებდა ჩუნჩხასა და პტენას)
- კოთელია
- ოლავერდი

[86] მსგავსი შერეული ქორწინებების რაოდენობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვანი ინდიკატორია ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ბუნების დასადგენად. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი მოითხოვს დამატებით კვლევასა და თვისობრივ ანალიზს.

- ქილდა

რამდენიმე საარჩევნო უბანი შერეულია და მათი კომისიები დაკომპლექტებულია როგორც ქართველებით, ასევე სომხებით:

- ხოსპიო (აქ შედიოდა აგრეთვე სოფლები - მარტინი და მურჯახეთი)
- ბარალეთი
- ვარევანი
- გოკიო

რაც შეეხება აზმანას, რომელიც ქართული სოფელი იყო, ერთიანდებოდა ოკამის სასოფლო საბჭოში (შსსა საქმე 129, 150-163).

ისედაც მცირე რაოდენობის ქართული სოფლების დაცლის ტენდენცია გაგრძელდა შემდგომ პერიოდშიც. 1985 წლისთვის ვ. ლორთქიფანიძის მონაცემებით, ჯავახეთში მხოლოდ ექვსიოდე ქართული სოფელი შემორჩა (გოგაშენი, კოთელია, აზმანა, აფნია, ხოსპიო, გოკია) და მათი მდგომარეობაც არ იყო სახარბიელო, რადგან დაცლილი ჩანს 150-300 კომლიანი დიდი სოფლებიც კი.

მოსახლეობის რაოდენობა ახალქალაქის რაიონის ქართულ სოფლებში (ვ. ლორთქიფანიძე 1998, 168)*:*

ქართული სოფლები	მოსახლეობის რაოდენობა	
	1886 წ.	1985 წ.
კოთელია	582	394
ოკამი	714	311
გოგაშენი	414	289
ჩუნჩხა	368	197
პტენა	241	194
აფნია	170	23
ქილდა	423	-
აზმანა	239	-

ქართული მოსახლეობისგან სოფლების დაცლას ხელს უწყობდა საბჭოთა პერიოდში არსებული სასოფლო საბჭოების გამსხვილების მავნე ტენდენცია, როდესაც ქართულ სოფლებს სომხურ სასოფლო საბჭოში აერთიანებდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საარქივო მასალებში დაცული წერილი, რომელიც 1956 წელს საქართველოს კპ-ს პირველი მდივნის მჟავანაძის სახელზეა გაგზავნილი და საიდანაც კარგად ჩანს, როგორ ავიწროებდნენ ჯავახეთში ქართულ მოსახლეობას. წერილში ასახულია ახალქალაქის რაიონის სოფელ აზმანას მდგომარეობა. წერილის ავტორის, ამავე სოფლის მკვიდრის დავით მელიქიძის თქმით, აზმანა ,,თათრების"[87] ყოფილი სოფელია, რომელიც თურქეთის საზღვრიდან დაშორებულია 6 კმ-ით. 1944 წლის დეკემბრიდან სოფელში

[87] იგულისხმებიან მაჰმადიანი ქართველები.

ჩამოუსახლებიათ 25 ოჯახი პტენიდან (პტენაში ყოფილა სულ 75 ოჯახი). 1950 წლამდე სოფელი აზმანა არსებობდა ცალკე, ხოლო შემდეგ შეუერთეს მეზობელი სოფელი ქარცები, რომელიც 2 კმ-ით იყო დაშორებული და სადაც მხოლოდ სომეხი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობდა. დ. მელიქიძე წერს, რომ ამის შემდეგ სოფელი ათმა ოჯახმა მიატოვა და განმარტავს ამის მიზეზებს: ორივე სოფლის ცენტრი თვითნებურად იქნა გადატანილი ქარცებში; ხელმძღვანელებად აირჩიეს სოფ. ქარცების მცხოვრებლები, რომლებმაც საქმისწარმოება დაიწყეს სომხურ ენაზე; ასევე გამოთქვამს წუხილს, რომ აზმანა ამჟამად მიტოვებულია და არის ყოველგვარი მზრუნველობის გარეშე, კერძოდ: არ აქვს მაღაზია, კულტურული მომსახურება, არ არის ტრანსპორტი[88] და ა.შ. დავით მელიქიძე აღნიშნავს, რომ მან რამდენჯერმე მიმართა რაიონულ ორგანოებს ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ უშედეგოდ და ითხოვს, რომ მოხდეს მათი სოფლის ცალკე გამოყოფა (შსსა საქმე 170, 52-53).

წერილს თან ერთვის აზმანის კოლმეურნეობის თავჯდომარის ს. მელიქიძის მოხსენებითი ბარათი საქართველოს კპ ცკ-თან არსებული სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის შარაშიძის სახელზე, სადაც ის ადასტურებს ყოველივე ზემოთ ნათქვამს და აღნიშნავს, რომ ,,პოლიტიკურად და ეკონომიურად შევიწროვებულებმა 1956 წელს მოითხოვეს ცალკე გამოყოფა, რაც დაკმაყოფილდა." ამჟამად კი სოფლის მძიმე მდგომარეობის გამო თავჯდომარე ითხოვს სამი წლით კოლმეურნეობისა და კოლწევრების სახელმწიფო გადასახადებისგან გათავისუფლებას (შსსა საქმე 170, 56-57).

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მსგავს უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს, რასაც მოტანილი ფაქტები ადასტურებს, არც თუ იშვიათად ჰქონდა ადგილი. შედეგად ჯავახეთიდან ისედაც შემცირებული ქართული მოსახლეობა იყრებოდა და ტოვებდა მშობლიურ მხარეს.

იგივეს მოწმობს ქართველი ახალგაზრდების საჩივრები რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მიმართ. რეგიონის ქართული მოსახლეობა ყოველთვის მაღალ ინტერესს იჩენდა განათლებისა და ცოდნის შეძენის კუთხით. ახალციხის რაიკომის 1947 წლის

[88] სოფელი რაიონულ ცენტრს მოშორებულია 25 კმ-ით.

ანგარიშში მოყვანილია ახალციხეში არსებული სასწავლებლების სტუდენტთა ეროვნული შემადგენლობის ამსახველი ციფრები. ანგარიშის მიხედვით სასწავლებლებში აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

სტუდენტთა ეროვნული შემადგენლობა ახალციხის ტექნიკურ სასწავლებელებში (შსსა საქმე 310, 88)***:***

	პედსასწავლებელი	**სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი**
ქართველი	176	164
სომეხი	2	34
ებრაელი	4	_
ბერძენი	1	3

განათლების მიღებისა და რაიონში დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდები ითხოვდნენ სამსახურით დაკმაყოფილებას, მაგრამ ადგილზე დამკვიდრებაში ხელშეწყობის ნაცვლად, უარით ისტუმრებდნენ. ახალქალაქის რაიონული ხელისუფლების მისამართით დაწერილი საჩივრების ავტორები - მაზმანიშვილი, მელიქიძე, მაღრაძე და სხვ. აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ნათესაობით და ახლობლობით (როგორც ჩანს, ეროვნული ნიშნითაც, თუმცა განცხადებებში არ ხდება ამაზე აპელირება) ხდება დანიშვნა სხვადახვა პოზიციაზე, რომ თუ ვერ ნახავენ სამართალს ადგილობრივ ხელისუფლებაში, მიმართავენ ზემდგომ ორგანოებს (შსსა საქმე 170, 33,37,42).

1944 წლის ბოლოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დემოგრაფიული სიტუაციის კიდევ ერთი რადიკალური ცვლილება მოხდა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან მასობრივად გაასახლა ის

მაჰმადიანები, რომლებიც თავს თურქებად მიიჩნევდნენ, მათ ადგილზე კი საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან განხორციელდა ქართველი მოსახლეობის ჩამოსახლება. მოსახლეობის ეთნიკურ და კონფესიურ სტრუქტურაში ცვლილებები განსაკუთრებით იგრძნობოდა ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებში. მაჰმადიანთა გასახლების შემდეგ სომხები დიდ უმრავლესობაში აღმოჩნდნენ ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში. ჯავახეთში სომხური მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი 79,7-დან (1926 წ.) 88,7%-მდე (1959 წ.). გაიზარდა. ახალციხეში კი ქართველებისა და სომხების რაოდენობა დაახლოებით თანაბარი იყო. 1926 წლიდან 1959 წლისთვის ახალციხის რაიონში სომხების პროცენტული მაჩვენებელი 30,5%-დან 51,1%-მდე გაიზარდა. მთლიანად სამცხე-ჯავახეთში სომხები მოსახლეობის 41,8%-ს შეადგენდნენ 1926 წელს, 1959 წელს კი მათმა რაოდენობამ 64,5%-ს მიაღწია (აბესაძე, ეთნიკურ-დემოგრაფიული ვითარება სამცხე-ჯავახეთში XX ს. 40-50-იან წლებში 2024, 17-30).

ახლადჩამოსახლებული ქართველების, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს იმერეთის რეგიონის მოსახლეობა შეადგენდა, სომხურ მოსახლეობასთან ადაპტირების პროცესი დიდხანს და მტკივნეულად მიმდინარეობდა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლებში მოსახლეობა ეთნიკური ნიშნის მიხედვით იყო დასახლებული. ასპინძის რაიონში წმინდა სომხური, ამასთან ყველაზე დიდი სოფელი იყო დამალა. ახალციხის რაიონში სომხები კომპაქტურად იყვნენ დასახლებული სოფლებში: სხვილისი, დიდი და პატარა პამაჯი, წყალთბილა, ნაოხრები და სხვ. მართლმადიდებელი ქართველები კი ასევე კომპაქტურად ცხოვრობდნენ სოფლებში: აწყური, აგარა, ზიკილია, ფერსა, მუგარეთი, გიორგიწმინდა, წნისი, კლდე, სვირი, ბოგა ტატანისი, ურაველი, ხეოთი და სხვ. ამის გამო, ადგილობრივმა სომხებმა ქართული ენა არ იცოდნენ. თვით ქალაქში მცხოვრები ეთნიკური სომხების დიდი უმრავლესობაც კი ვერ ფლობდა სახელმწიფო ენას, რაც ორ ხალხს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის პროცესს აფერხებდა, უფრო მეტიც, ზოგჯერ კონფლიქტებსაც იწვევდა, განსაკუთრებით დღესასწაულებისა და მასობრივი თავშეყრის დროს. კომუნისტურ ეპოქაში ამგვარ დღესასწაულებს წარმოადგენდა მშრომელთა საერთაშორისო დღე - პირველი მაისი და რუსეთში

პროლეტარული რევოლუციის გამაჯვების დღე - 7 ნოემბერი, რომელიც დიდი ზარზეიმით აღინიშნებოდა. რაიონულ ცენტრებში, ისევე როგორც რესპუბლიკების დედაქალაქებში ამ დღეებში იმართებოდა სამხედრო აღლუმი, რომელსაც შემდეგ მშრომელთა დემონსტრაციები მოჰყვებოდა ხოლმე. ამ დროს თითოეული სოფელი თავისი შრომითი მიღწევების დემონსტრირებას ახდენდა. ამიტომაც დღესასწაულის დღეებში რაიონების მთელი მოსახლეობა რაიონულ ცენტრში იყრიდა თავს. ბუნებრივია, აღლუმის დამთავრების შემდეგ მოქალაქეები ,,აღნიშნავდნენ" დღესასწაულს. სწორედ ამას მოჰყვებოდა ხოლმე ეთნიკურ ნიადაგზე მასობრივი ჩხუბი, რომელიც, როგორც წესი, მოქალაქეთა დაჭრით, ან მოკვლითაც მთავრდებოდა. არცთუ იშვიათად დაჭრილთა რაოდენობა რამდენიმე პირს აღწევდა.

ჩამოსახლებული იმერლების შთამომავალი, სოფელ კლდეში მცხოვრები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ამჟამად პენსიონერი, 72 წლის ელგუჯა ზუმბაძე იხსენებს: *,,ჩემი ბავშვობა გასული საუკუნის 50-იან წლებს დაემთხვა. მახსოვს, პატარები, როგორც კი ბრტყელ, გასასროლად მოსახერხებელ ქვას ვიპოვიდით, მაშინვე დიდ ბიჭებს მივურბენინებდით. ისინიც, იმის მიხედვით, თუ რომელი დღესასწაული ახლოვდებოდა, ამბობდნენ, ჰო, ეს ქვა 7 ნოემბერს (ან პირველ მაისს) გამომადგებაო და მას ჯიბეში ჩაიდებდნენ. ჩვენც დიდი ინტერესით ველოდით პირველი მაისისა და 7 ნოემბრის დღესასწაულების დამთავრებას, რადგან ქალაქიდან დაბრუნებული დიდები გვიყვებოდნენ გამართული მასობრივი ჩხუბების შესახებ. პატარები, რა თქმა უნდა, ,,ჩვენებს" ვგულშემატკივრობდით და გვინდოდა, რომ ამ ჩხუბებში მათ გაემარჯვათ. მაგრამ, ცხადია, ყოველთვის ასე არ ხდებოდა. თითქმის ყოველ წელს ამ ჩხუბებში ვიღაც იღუპებოდა, დაჭრა და დასახიჩრება კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასე გრძელდებოდა მთელი 50-იანი წლების დასასრულამდე. დადგა 60-იანი წლები და როგორი დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც პარადიდან დაბრუნებულმა დიდებმა განაცხადეს - ჩხუბს ამჯერად ადგილი არ ჰქონია, იყო მხოლოდ პატარა ინციდენტი, რომელიც მშვიდობიანად დამთავრდაო. მეორე წელს ეს პატარა ინციდენტიც აღარ მომხდარა. ასე გაგრძელდა მომდევნო წლებშიც. დღეს ახალციხე ორი ხალხის -*

ქართველებისა და სომხების ძმური თანაცხოვრების იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. შეგუების, ურთიერთგაგების პროცესი კი 15-20 წელი გაგრძელდა და როგორც გითხარით, საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობდა" (ზუმბაძე ინტერვიუ, 2018).

ამგვარ დაძაბულ ვითარებაში, რასაკვირველია, რეგიონში შენარჩუნდა მკაფიო ეთნიკური საზღვრები და ეთნიკური ჯგუფების იზოლაცია, რაც დღემდე გრძელდება. კვლავაც თითქმის არ გვხვდება შერეული დასახლებები, ინტეგრაციის პროცესი ნელი და რთულია. (chitadze 2015., 100-115). თუმცა შეინიშნება გარკვეული პროგრესი, განსაკუთრებით რეგიონის ადმინისტრაციულ და გეოგრაფიულ ცენტრში - ქალაქ ახალციხეში, რასაც ხელს უწყობს ქართული ენის გაძლიერებული სწავლება არაქართულ სკოლებში. ასევე მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი, რომელიც ქმნის შესაბამის სასწავლო გარემოს არაქართველი ახალგაზრდების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის..

4.4. რელიგიური თემები

რელიგია ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ ყველა ხელისუფლება ცდილობდა რელიგიური ელიტის დამორჩილებას ან მოკავშირედ გახდომას. რელიგიური კუთვნილება ასევე ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფადობის დამკვიდრებაში, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობებისთვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიური თემების მიმართ იცვლებოდა ხელისუფლების სათავეში მყოფი ლიდერების პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით. XX ს-ის 20-30-იანი წლების რადიკალური დაპირისპირება 30-იანი წლების ბოლოდან შეიცვალა სტალინის ე.წ. ,,დათბობის პოლიტიკით", განსაკუთრებით მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. XX ს-ის 50-60 - იანი წლებიდან კი კვლავ გაძლიერდა ათეისტური პროპაგანდა, დაიწყო შეტევა რწმენისა და რელიგიის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლებამ, იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, აგრეთვე საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით, არსებობის პირველივე წლებიდან დაიწყო აქტიური ბრძოლა რელიგიურ კონფესიებთან. განსაკუთრებული რადიკალიზმითა და ტერორით გამოირჩეოდა XX ს-ის 20-30-იანი წლების დაპირისპირება მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რომელიც კომუნისტებისთვის ძველი ხელისუფლების, თავად-აზნაურობისა და ინტელიგენციის მთავარ საყრდენად მოიაზრებოდა. ,,საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებით მძიმე ზეწოლას განიცდიდნენ ეკლესია-მონასტრები, მასიურად იხურებოდა ტაძრები და სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა, მიმდინარეობდა ეკლესიის მსახურთა და მრევლის ურთიერთდაპირისპირება. ტაძრებიდან გამოტანილ იქნა წმინდა ნაწილები და ადგილობრივი მუზეუმების საცავებს გადაეცა, რადგან ისინი, კომუნისტების თვალსაზრისით, რელიგიურ ნაწილებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ კულტურულ-ისტორიულ ნივთებს“ (ქართველიშვილი 2022, 50). ამ შეურიგებელ ბრძოლას თან სდევდა მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ათეიზმის და უღმერთობის იდეების გავრცელება და დანერგვა.

რამდენადმე განსხვავებულ ხასიათს ატარებდა XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოდან სტალინის მმართველობის პერიოდში დაწყებული ახალი რელიგიური პოლიტიკა. ,,სტალინის ხელისუფლებაში მოსვლიდან ფაქტობრივად მოხდა მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიული ფუნქციის გააზრება და მისი საბჭოთა სისტემის დამკვიდრებისათვის გამოყენება“ (პავლიაშვილი 2008, 397). აღნიშნულმა რელიგიურმა პოლიტიკამ უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო ,,დიდი სამამულო ომის'' წლებში (1941-1945). საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ეკლესიის და ზოგადად რელიგიური კულტების ავტორიტეტი და გავლენა საკუთარ სამსახურში ჩაეყენებინა და მიემართა მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი ნდობის გაზრდისკენ, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ომის პირობებში. შედეგად ,,40-იანი წლების საბჭოთა რელიგიურ პოლიტიკაში ეკლესია - სახელმწიფოს დამოკიდებულება ურთიერთდაპირისპირებიდან კომპრომისში გადაიზარდა და ეკლესიის სახელმწიფოსადმი სრული

დამოკიდებულებით დასრულდა“ (ქართველიშვილი 2022, 45). სტალინის მმართველობის პერიოდში ,,საბჭოთა ხელისუფლების უპირველესი ამოცანა იყო საბჭოური ავტორიტარული სისტემის შექმნა, რომელსაც ეკლესია ხელს კი არ შეუშლიდა, არამედ, პირიქით, მისი იდეოლოგიის დამცველ-გამტარებელი იქნებოდა საბჭოთა საზოგადოებაში“ (ქართველიშვილი 2022, 54).

სახელმწიფომ ეკლესიაზე კონტროლის უკეთ განხორციელების მიზნით 1943 წელს შექმნა ახალი ორგანო – სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გ. კარპოვი (ქართველიშვილი 2022, 89). საქართველოში აღნიშნულ ორგანოს ჰყავდა საკუთარი რწმუნებული, რომელსაც უშუალოდ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეების მართვა ევალებოდა (40-50-იან წლებში მართლმადიდებლურ საქმეთა რწმუნებულად ჩანს მექვაბიშვილი). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის (1945 წლის მარტი) რუსეთის საეკლესიო საქმეთა საბჭოს თავმდჯომარემ გ. კარპოვმა იოსებ სტალინის უშუალო მითითებით შეიმუშავა საბჭოური საეკლესიო გლობალიზაციის პროექტი. გეგმა ითვალისწინებდა სასულიერო იერარქთა მივლინებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (ბელგრადი, სოფია, ბუქარესტი) ეკლესიათა „დიდი დაახლოების” მიზნით (პავლიაშვილი 2008, 401).

რელიგიურ პოლიტიკაში ე.წ. ,,დათბობის ხანა“ გაგრძელდა ომის შემდგომ პერიოდშიც. ეს პროცესი, როგორც როგავა აღნიშნავს: ,,ერთის მხრივ, გამოწვეული იყო ომის შედეგად წარმოშობილი მძიმე მატერიალური და სულიერი ვითარებით (გაპარტახებული სახალხო მეურნეობა, მოუსავლიანი წლები, ახლო ნათესავების დაკარგვით გამოწვეული მწუხარება), ხოლო მეორეს მხრივ - ომის დროს სამღვდელოების მიერ გამოჩენილი არა მარტო ლოიალური დამოკიდებულებით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, არამედ იმ პატრიოტიზმით, რომელიც მან სამშობლოს მიმართ გამოავლინა. I946 წლიდან საქართველოს ეკლესიის შესვეურები უფრო გაბედულად ცდილობდნენ ადრე დახურული ეკლესიების თანდათანობით გახსნას. საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს არაერთხელ

მიუმართავს ამის შესახებ რესპუბლიკის მთავრობისათვის. ეკლესიების დაცვის მიზნით, იგი დიდი მონდომებით ცდილობდა დაერწმუნებინა ხელისუფლება, რომ თითქოსდა ქრისტიანული რელიგია და ეკლესია კი არ უპირისპირდება სოციალიზმისა და კომუნიზმის პრინციპებს, არამედ, მასთან სრულ თანხმობაშია'' (როგავა 2002, 437).

მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ურთიერთობის ნორმალიზებასთან ერთად სახელმწიფოს სჭირდებოდა სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერობის დარეგულირება. ამ მიზნით 1944 წელს შეიქმნა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო (ქართველიშვილი 2022, 91). საბჭოს მიზანს წარმოადგენდა ,,სტალინური რელიგიური პოლიტიკის" გატარების ფარგლებში დაემყარებინა სრული კონტროლი სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებზე. საქართველოში საბჭოს საქმიანობას წარმართავდა ,,რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ-ის რწმუნებული".

რწმუნებულის აპარატი გასცემდა ,,კულტის მსახურის" ("служитель культа") სარეგისტრაციო ცნობას, რის გარეშეც სასულიერო პირი ვერ შეძლებდა საქმიანობას; ასევე განიხილავდა და წყვეტდა ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნის საკითხებს მორწმუნეთა ხელმოწერილი თხოვნების წარდგენის საფუძველზე. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ 1946-52 წლებში რწმუნებულის თანამდებობა ეკავა ქურიძეს, ხოლო 1952-1965 წლებში - შალუტაშვილს. საარქივო მასალების შესწავლისას[89] გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, გახლავთ ის ფაქტი, რომ ომის შემდგომ საქართველოში მოქმედი რელიგიური გაერთიანებებიდან განსაკუთრებულ და პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მრავალი სომხური ეკლესია მოიშალა და განადგურდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1947 წლის მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საკმაოდ მრავლად შემორჩა როგორც სომხური სამოციქულო ეკლესიის, ისე კათოლიკური ეკლესიის კუთვნილი

[89] საქმისწარმოება ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

მოქმედი სომხური ეკლესიები. მაგ. ,,სუფლისის" (სხვილისის) ეკლესია (მღვდელი ტერ აკოპიანი), რომლის შეკეთებაც მოხდა ამ პერიოდში; ახალციხის სომხური ეკლესია (მღვდელი ხლუსტიანი); ახალქალაქის სომხური ეკლესია (მღვდელი ხორშიკიანი) და სხვ. (სუიცა საქმე 12: 3-5, ჩანაწერი 32). ახალციხეში არსებობდა სომხურ-გრიგორიანული კათედრალური ტაძარიც, რომელიც 1836 წელს აიგო (466 მ2), მაგრამ უკვე გაუქმებული, 1940 წლიდან გამოიყენებოდა სამხედრო გარნიზონის კლუბად. 1952 წელს ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით გადაწყდა ტაძრის ადგილზე თეატრის მშენებლობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რწმუნებული შალუტაშვილი წერილით მიმართავს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს კეცხოველს და სთხოვს ნებართვას. შალუტაშვილის აზრით, ამ ეკლესიის აღება არ შელახავს მორწმუნეთა ინტერესებს[90], რადგან ახალციხეში არის მოქმედი გრიგორიანული ტაძარი, სადაც იკრიბებიან მორწმუნეები (სუიცა საქმე 25, 1-2).

სომხური ეკლესია ფუნქციონირებდა აბასთუმანშიც, თუმცა, იმ საბაბით, რომ შენობას არ უვლიდნენ და შეიძლებოდა, დანგრეულიყო, გადაწყდა მისი გადაცემა ,,აბასთუმნის კურორტვაჭრობისთვის". არქივში დაცულია ამონაწერი საბჭოთა კავშირის რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს სხდომის ოქმიდან (1948.10.02.), რომელიც ეგზავნება საქართველოს რწმუნებულს ქურიძეს: ,,Заключение Совета Министров Груз. ССР от 19.12.1947 г. о передаче здания бывш. армянской церкви в г. Абастумани Грузинскому Курортторгу для приспособления под торговое помешение"[91] (სუიცა საქმე 8:2). ეს გადაწყვეტილება საბჭოთა პერიოდში მიღებული ზოგადი პრაქტიკის ნაწილია, როდესაც რელიგიური შენობები გადაეცემოდა სხვადასხვა კომერციულ, ადმინისტრაციულ ან კულტურულ დაწესებულებებს. ეკლესიების ან მონასტრების შენობები გამოიყენებოდა კლუბებად, საწყობებად, სკოლებად ან სხვა საჭიროებებისთვის.

---

[90] აქ, ჩვენი აზრით, იგულისხმება მათი ეროვნული გრძნობებიც.

[91] ,,საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება აბასთუმანში მდებარე ყოფილი სომხური ეკლესიის შენობის საქართველოს კურორტვაჭრობისადმი გადაცემის შესახებ მისი სავაჭრო ობიექტად მოწყობის მიზნით" .

ამის ერთ-ერთი მაგალითია აბასთუმანში სომხური ეკლესიის შენობის გადაცემა კომერციული ფუნქციების შესასრულებლად.

საარქივო მასალებში ასევე დაცულია 1958 წლის 26.03.-ით დათარიღებული სომხური საეპარქიო საბჭოს წერილი რწმუნებულის სახელზე. მას ხელს აწერს ეპისკოპოსი კომიტასი, რომელიც აღნიშნავს, რომ აბასთუმნის სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებით აპირებენ სომხური ეკლესიის აღებას. ამასთან დაკავშირებით, აბასთუმნის სომხურმა თემმა შეაგროვა ხელმოწერები და მიმართა სომხურ ეპარქიას დახმარებისთვის - ითხოვდნენ საკითხის დადებითად გადაწყვეტას (სუიცა საქმე 25, 33).

მრავლად იყო ეკლესიები ახალქალაქის რაიონის სოფლებშიც (სოფ. ტურცხა, კარტიკამი, ბავრა, ხულგუმო, ბურნაშეტი). ეს ეკლესიები, მართალია, არ იყო მოქმედი, მაგრამ იყო ადგილობრივი სომხური რელიგიური თემის, ძირითადად, კათოლიკე სომხების ხელში. ბავრასა და ტურცხაში გარკვეული თანხასაც აგროვებდნენ ეკლესიების საჭიროებისათვის, ასვენებდნენ მიცვალებულებს, ნათლავდნენ ბავშვებს. სწორედ ამის გამო, ახალქალაქის პარტიულ ბიუროზე საგანგებოდ მიიღეს დადგენილება, რომ აღნიშნულ სოფლებში რელიგიური დღესასწაულების დროს მოეწყოთ სხვადასხვა სახის ,,კულტურული ღონისძიებები" (შსსა საქმე 13, ოქმი #23, 106).

სომხური ეკლესიის მაღალ რელიგიურ იმუნიტეტს ადასტურებს ერთი ფაქტიც. საკავშირო პრესის ფურცლებზე (გაზეთები ,,პრავდა" და ,,ზარია ვასტოკა") გამოქვეყნდა მასალები წყალთბილის სასკოლო პირველადი ორგანიზაციის მდივნის აკოფიანის შესახებ, რომელსაც ბაბუა მამის მხრიდან ჰყავდა მღვდელი - ტერ აკოფიანი და ასევე დედის მხრიდანაც - ხაჩატურიანი. მიუხედავად ამისა, მუშაობდა პარტორგანიზაციის მდივნად, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში წარმოუდგენელი რამ გახლდათ. მხოლოდ ფაქტის გახმაურების შემდეგ გათავისუფლდა პარტორგანიზაციის მდივნობიდან (შსსა საქმე 8, ოქმი #53, 324).

საარქივო მასალებიდან გამოიკვეთა რელიგიური პროზელიტიზმის რამდენიმე შემთხვევა. კერძოდ, თუ როგორ ცდილობდნენ სომხური სამოციქულო ეკლესიის ცალკეული წარმომადგენლები თავის სარწმუნოებაზე სხვა ეკლესიათა მრევლის

გადაყვანას. 1952 წლის 25. 12. მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა რწმუნებული გიგოლაშვილი რელიგიური კულტების საქმეთა რწმუნებულს შალუტაშვილს რეაგირებისათვის უგზავნის კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკის სახელზე შედგენილ ანონიმურ წერილს. წერილში საუბარია ვინმე სომეხ მღვდელ ტერ-გრიქორზე, რომელიც ბოლნისში ეწეოდა პროპაგანდას და არწმუნებდა მორწმუნე ქართველებსა და ბერძნებს, გადასულიყვნენ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე.[92] ანონიმური წერილის ავტორის აზრით, ამ პირის დაუსჯელობა არ შეიძლებოდა, რადგან ეს გააღვივებდა მტრობას ქართველებსა და სომხებს შორის (სუიცა საქმე 25, 5).

საქართველოში სომეხი სასულიერო პირების თვითნებობას ხშირად ჰქონდა ადგილი. სომხური საეპარქიო საბჭო სომეხ სასულიერო პირებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში რწმუნებულთან შეთანხმების გარეშე გზავნიდა (სუიცა საქმე 25, 6), რწმუნებული კი ასეთ ფაქტებზე თვალს ხუჭავდა და არ რეაგირებდა. სომხური სამოციქულო ეკლესიის ადგილობრივი ეპარქიის ეპისკოპოსი კომიტასი ფლობდა სამოთახიან ბინას საბურთალოზე, ჰყავდა იმ დროისათვის პრესტიჟული ავტომობილი ,,ვოლგა". ამისთვის იგი 1958 წლის 04.09. დათარიღებულ ქართულ ენაზე შედგენილ წერილში მადლობას უხდის რწმუნებულ შალუტაშვილს და თან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი მოქმედებით შალუტაშვილი ,,ხელს უწყობს'' ქართველთა და სომეხთა ძმობის განმტკიცებას (სუიცა საქმე 25, 23).

სომხური სასულიერო თემის შედარებითი პრივილეგირებული მდგომარეობა წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის ლოგიკურ გაგრძელებას. როგორც ცნობილია, 1944 წელს განხორციელებული დიდი მიგრაციული ცვლილებების შემდეგ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უმრავლება მოიპოვა სომხურმა ეთნიკურმა ელემენტმა, რასაც შესაბამისად მოჰყვა მათი რელიგიური თემის გააქტიურებაც. სომხური ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები მათთვის მინიჭებულ ფართო უფლებებს ხშირად იყენებდნენ საკუთარი პროფესიული, პარტიული თუ მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებისთვის.

[92] კათალიკოსმა აღნიშნული ფაქტის შესახებ სომხეთის უმაღლეს სასულიერო საბჭოსაც აცნობა.

შედარებით ცუდ მდგომარეობაში იყვნენ მალაკნები, რომელთა დასახლებები საქართველოში ჩნდება XIX საუკუნის შუახანებიდან. მალაკნები კომპაქტურად ცხოვრობდნენ თბილისში, მაგრამ ცალკეული დასახლებები ჰქონდათ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ რელიგიურ საქმეთა რწმუნებული შალუტაშვილი ცდილობდა, ჩარეულიყო და გაეკონტროლებინა რელიგიური თემის საქმიანობა. მალაკნებს უჭირდათ რელიგიური ლიტერატურის შეძენა და თავისუფლად გადაადგილება საბჭოთა კავშირის ფარგლებში; არ გამოუყვეს ფართი სალოცავისთვის ქუთაისში და ა.შ. უმკაცრესი ცენზურა გაიარა მალაკნების გაერთიანების თავჯდომარის რემიზოვის მოხსენებამ, რომლითაც ის წარსდგა სსრკ-ის მორწმუნეთა კონფერენციაზე 1952 წელს, რის შემდეგაც სიტყვის ძირითადი ნაწილი დაეთმო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსეისა და საბჭოთა ლიდერებისადმი ხოტბის შესხმას (სუიცა საქმე 22).

არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დუხობორებიც. როგორც ცნობილია, 1841-1845 წლებში რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ საქართველოში გადმოასახლა 4 097 სექტანტი (495 ოჯახი) და ჩაასახლა ჯავახეთის რვა სოფელში. თავდაპირველად დუხობორები მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მაგრამ მოგვიანებით მესაქონლეობასა და ხელოსნობას მოჰკიდეს ხელი. აღმოჩნდნენ რა ჩაკეტილები ჯავახეთის მთებში, იქცნენ მეფურგონეებად, რომელთაც დიდ მანძილზე გადაჰქონდათ ტვირთი (ლომსაძე 2011, 338). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თუ ქ მცხოვრებ თურქებს და ქურთებს სოფლების სახელები არ შეუცვლიათ, დუხობორებმა შეცვალეს დასახელებები ან ახალი დაარქვეს (ბერიძე 1992, 114). მათი რელიგიური და ადმინისტრაციული ცენტრი - სულიერი წინამძღვრების რეზიდენცია, ასევე ობოლთა და მარტოხელათა თავშესაფარი მდებარეობდა სოფელ გორელოვკაში. აქვე წყდებოდა მნიშვნელოვანი სამეურნეო საკითხები. მას ხელმძღვანელობდა უხუცესთა საბჭო (იველაშვილი 2015, 249).

რელიგიურ საქმეთა რწმუნებულის აპარატი ცდილობდა დუხობორთა რელიგიური თემის კონტროლს. მაგ. 1950 წლის 29.06. ბოგდანოვკის (ახლანდელი ნინოწმინდის) რაისაბჭომ მოითხოვა მითითებების გაცემა რწმუნებულის აპარატიდან

დუხობორების სამლოცველო სახლის შესახებ (სუიცა საქმე 12, 44), მაგრამ სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელი იყო. დუხობორები ეწეოდნენ ჩაკეტილ, იზოლირებულ ცხოვრებას, თითქმის არ ჰქონდათ კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

სტალინის რელიგიურ თემებთან ურთიერთობების ,,შედარებითი დათბობა“ არ შეხებია ებრაელებს. მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ მიანიჭა გარკვეული უფლებები, მაგ. გაუქმდა სპეციალური დასახლებები, როგორც სხვა უმცირესობებმა მიიღეს თანაბარი უფლებები, სახელმწიფო თანამდებობებზე დაინიშნენ ებრაელები, მაგრამ ანტისემიტური პოლიტიკა კვლავ დარჩა დღის წესრიგში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეწყვეტილი ანტისემიტური პროპაგანდა ახალი ძალით განახლდა 40-იანი წლების მეორე ნახევარიდან და კიდევ უფრო გაძლიერდა 50-იანი წლების დასაწყისში. ამას ადასტურებს ე.წ. ექიმთა საქმე, რომლის მეშვეობითაც ებრაელების მასობრივი დევნის წამოწყება იგეგმებოდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ბრალდება დაედო საფუძვლად ანტისემიტური პროპაგანდისტულ კამპანიას, რასაც ამ პერიოდის საბჭოთა კავშირში ჰქონდა ადგილი (იაგორაშვილი 2021).

XX ს-ის 40-50 იან წლებში საბჭოთა კავშირში გააქტიურებული ანტისემიტიზმის გავლენა იგრძნობოდა საქართველოშიც. 1948 წელს რაიონული აღმასკომების თავჯდომარეებს მიეთითათ, რომ ებრაულ სინაგოგებში აკრძალულიყო ბავშვების სწავლება და თვალყური ედევნებინათ ამ პროცესისითვის (სუიცა საქმე 12, 15, ჩანაწერი 46). დაიწყო ებრაელების შევიწროება, მათთვის ქონებისა და სალოცავი სახლების ჩამორთმევა.[93]

ამ დროისთვის ახალციხეში მოქმედებდა 2 სინაგოგა. 1950 წლის 20.10. ერთ-ერთი მათგანი, ებრაელთა პირველ შესახვევში # 144-ში მდებარე სინაგოგა, რომელიც აგებული იყო და ფუნქციონირებდა XIX ს-ის 70-იან წლებიდან, დახურეს. იმ საბაბით, რომ თითქოს არ ხდებოდა შენობის რენტისა და საფინანსო დავალიანების გადახდა, მინისტრთა საბჭოს

[93] 1951 წელს უამრავი საარქივო ჩანაწერია სინაგოგების დახურვის შესახებ

1951 წლის # 2-10/77 განკარგულებით სინაგოგის შენობა ჩამოერთვა ებრაულ თემს და გადაეცა ახალციხის კლუბს (სუიცა საქმე 23, 43-46).

1950-1953 წწ.-ში ახალციხელმა ებრაელებმა მრავალჯერ მიმართეს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის უმაღლეს პარტიულ ორგანოებს თხოვნით, დაებრუნებინათ მათთვის სალოცავი სახლი. მითუმეტეს, რომ მასში გახსნილი კლუბი იყო ,,უმოქმედო და მიტოვებული", ხოლო რაც შეეხება გადასახადებს, არათუ მანამდე, საფინანსო დავალიანებას სინაგოგის დახურვის შემდეგაც კი იხდიდნენ.[94]ერთ-ერთი საჩივრის ბოლოს აღნიშნულია: ,,გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს სსრ-ის ძველი ხელმძღვანელობა ჩარკვიანი და მგელაძე ყველა ეროვნებას არ ექცეოდნენ სათანადოდ სამართლიანად" (სუიცა საქმე 23, 43-46). საჩივარი შედგენილია 1953 წელს ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებში მომხდარი ცვლილებების შემდეგ.

ებრაელთა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. უფრო მეტიც, 1953 წელს დახურეს თბილისში მცხოვრებ ახალციხელ ებრაელთა სინაგოგაც, ე.წ. თბილისის დიდი სინაგოგა, რომელიც აგებულ იქნა 1910 წელს ახალციხიდან გადმოსული ებრაელების მიერ (იველაშვილი 2015, 19), რის შემდეგაც თბილისში დარჩა სულ 2 სალოცავი სახლი. უარი დასაბუთებული იქნა იმით, რომ ქალაქ ახალციხეში მოქმედებდა კიდევ ერთი სინაგოგა, რაც სრულებით საკმარისი უნდა ყოფილიყო მორწმუნეთა რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. რაც შეეხება სადავო შენობას, ეს საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა: 1957 წლის 19.08. # 649/1 წერილით ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარემ აცნობა რწმუნებულ შალუტაშვილს, რომ ,,ებრაელთა უბანში მდებარე ებრაელთა დახურული სინაგოგა გადაცემულია კულტურის განყოფილებაზე, ჩატარდა მისი რემონტი და 1 ივლისიდან გაიხსნება კეთილმოწყობილი საქალაქო ბიბლიოთეკა" (სუიცა საქმე 30:1).

დღევანდელი მდგომარეობით, ახალციხეში მდებარე ორივე სინაგოგას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს (კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება #3/272

[94] წერილების ავტორია იოსებაშვილი.

2011). ერთი მათგანი, ე.წ. ,,ზედა სინაგოგა“ რომელსაც 2012-2013 წლებში ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები, მოქმედია. 1902 წელს აგებულ მეორე სინაგოგაში (ე.წ. ქვედა სინაგოგა) ბოლოს განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, რომელიც 2012 წელს გაუქმდა, მაგრამ შენობა საჭიროებს რესტავრაციას (სანებლიძე 2016, 8).

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მატერიალიზმისა და ათეიზმის ბატონობის დროს, როდესაც მარქსიზმი, ფაქტობრივად, ფსევდო-რელიგიის ფუნქციას ასრულებდა, საქართველოში ორიოდე მეჩეთი თუ ფუნქციონირებდა. მათ შორის ერთი თბილისში იყო, მეორე - ბათუმში. თუმცა როგორც მკვლევარი ფანჯიკიძე აღნიშნავს, მათ წარმატებით ცვლიდნენ ე.წ. ,,მოხეტიალე მოლები“, ასევე საუკუნეების მანძილზე ხალხში დამკვიდრებული და განმტკიცებული ისლამური ყოფა, თავისი ტრადიციებით, დღესასწაულებით, ადათ-წესებით. ფაქტობრივად, ჩუმად და უხმაუროდ ყველგან სრულდებოდა ისლამური რიტუალი. მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობდა რელიგიური წესით, ზოგან კი შარიათის (მუსლიმური სამართალი) ნორმები ფუნქციონირებდა (ფანჯიკიძე 2003, 178). იგივე შეიძლება ითქვას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ მუსლიმებზეც, რომელთა რაოდენობა რელიგიურ კონფესიებში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. თუმცა XX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელებულმა მიგრაციულმა პროცესებმა თვისობრივად შეცვალა რეგიონის რელიგიური სტრუქტურა. 1944 წელს მაჰმადიანური მოსახლეობის გასახლების შემდეგ სამცხე-ჯავახეთში მათი რაოდენობა მინიმუმდე იქნა დაყვანილი. მხოლოდ XX ს-ის 70-80-იან წლებში მოხდა აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობის ჩასახლება ადიგენის, ასპინძისა და ახალქალაქის რაიონის სოფლებში. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ადგილობრივმა მუსლიმებმა დაიწყეს სამლოცველო სახლების გახსნა და რელიგიური რიტუალების შესრულება საჯაროდ. (მაგ. ადიგენის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში, კერძოდ: დერცელში, ჭელაში, ნამინაურ-ციხისუბანში, ღორთუბანში და ა. შ.) თინა იველაშვილის ცნობით, დღეისთვის სამცხე-ჯავახეთის მხარეში ოფიციალურად სულ შვიდი მოქმედი მეჩეთი ფუნქციონირებს (იველაშვილი 2015, 80).

ეკლესიასთან და სხვა რელიგიურ თემებთან ე.წ. ,,მშვიდობიანი თანაარსებობის“ პოლიტიკა დასრულდა სტალინის გარდაცვალებისა და ხელისუფლებაში ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ. უკვე 1954 წლის დამლევიდან იწყება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ კიდევ ერთი შეტევა რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ, მაგრამ არა აშკარად, არამედ უფრო დახვეწილი და „ფაქიზი“ ფორმებით (როგავა, გვ.439). აქცენტი გადატანილ იქნა არა უშუალოდ ბრძოლაზე, არამედ თვითონ რელიგიის არსის უარყოფასა და ათეისტური შეხედულებების დანერგვაზე. ხრუშჩოვის დროს მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომელთა მიზანსაც ათეისტური პროპაგანდის გაძლიერება წარმოადგენდა. გააქტიურდა ათეიზმის მეცნიერული დასაბუთებაც, რასაც მხარს უჭერდა პრესა და განათლების სისტემა. ხრუშჩოვის რელიგიური პოლიტიკის მთავარ თავისებურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული დესტალინიზაციასა და სტალინისეული მიღწევების უარყოფასთან. ,,სწორედ ამიტომ, ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა თავისი წინამორბედის მიერ „დაშვებული შეცდომების გამოსწორება“ და რელიგიას ახალი ძალით შეუტია'' (ქართველიშვილი 2022, 124).

ახალი რელიგიური პოლიტიკის განხორციელებისთვის მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე საქართველოში რელიგიურ საქმეთა რწმუნებულები პერიოდულად ატარებდნენ ზონალურ საინსტრუქტორო თათბირებს და დავალებებს აძლევდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანოების წარმომადგენლებს. 1961 წლის 21 აგვისტოს ჩატარებულ ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე მიწვეული ჰყავდათ ახალქალაქის, ახალციხისა და ბორჯომის რაიაღმასკომის თავჯდომარეები. გააცნეს რა მათ საბჭოთა კანონმდებლობა კულტების შესახებ, მისცეს დავალება, აღერიცხათ ყველა რელიგიური გაერთიანება, ასევე საეკლესიო ნაგებობები და მათი ქონება. აღრიცხვა უნდა ჩატარებულიყო სპეციალური ანკეტის მიხედვით, სადაც ფიქსირდებოდა რელიგიური კულტები, მორწმუნეთა რაოდენობა, საკულტო ნაგებობები და მათი მდგომარეობა, რელიგიის მსახურთა რაოდენობა, იღებდნენ თუ არა ხელფასს, ქონების დაწვრილებითი აღრიცხვა და ა.შ. (სუიცა საქმე 64, ოქმი #8, 15,22).

1965 წელს რწმუნებული შალუტაშვილის მიერ სსრკ რწმუნებულის პუზინისადმი გაგზავნილი ანგარიშიდან ჩანს, რომ საქართველოში იმ დროისათვის დარეგისტრირებული ყოფილა 45 რელიგიური გაერთიანება, არარეგისტრირებულთა რაოდენობაც ასევე შეადგენდა 45-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოურ სამართლებრივ სივრცეში გასული საუკუნის 50–იანი წლებიდან გაჩნდა ახალი ცნება – არარეგისტრირებული, მაგრამ ფაქტობრივად მოქმედი რელიგიური გაერთიანება. ასე იხსენიებდნენ იმ რელიგიურ თემებს, რომლებიც ხელისუფალთა რეპრესიების მიუხედავად, სისტემატურად აგრძელებდნენ შეკრებასა და რელიგიური რიტუალების აღსრულებას (ბარდაველიძე, გვ.106). ე.წ. არარეგისტრირებულთა შორის იყვნენ:

- მალაკნები - 7 გაერთიანება
- კათოლიკეები - 5
- იუდეველები - 3
- ,,სტაროვერები”- 4
- ორმოცდაათიანელები - 6
- დუხობორები - 2
- ,,სუბოტნიკები”- 1
- ე.წ. ,,მშრალი ბაპტისტები” - 1
- ქრისტიანულ-აპოსტოლური (ახალსამოციქულო) ეკლესია- 1
- მიურიდები - 3 (სუიცა საქმე 122, 6).

ამავე წერილში შალუტაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოში არ აქვს ადგილი მორწმუნეთა მიმართ უკანონობას და ადმინისტრაციულ გადაცდომებს, რასაც ადასტურებს რესპუბლიკის პროკურორიც. მისი თქმით, ასევე არ აქვს ადგილი კანონის დარღვევის არცერთ ფაქტს მორწმუნეთა მხრიდან, გარდა ბაპტისტებისა (სულ 111 კაცი - ე.წ. ,,რასკოლნიკი ბაპტისტები”). ისინი ხშირად იძულებით და ძალადობითაც კი აერთიანებდნენ ადამიანებს თავის რიგებში (სუიცა საქმე 122, 2-3).

როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე ადრეულ და მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა.

კათოლიკე მისიონერთა სამცხე-ჯავახეთში ყოფნის შესახებ პირველი ცნობები XVI საუკუნის ბოლოდან მოგვეპოვება. კათოლიკეები ცხოვრობდნენ ადიგენის რაიონის (სოფ. უდე, არალი), ახალციხის რაიონის (ვალე, ივლიტა), ასპინძის რაიონის (სოფ. ხიზაბავრა, ვარგავი) სოფლებში. ქართველი კათოლიკეები ოსმალთა ბატონობის პერიოდში სარგებლობდნენ გარკვეული შეღავათებით. 1757 წელს მათ კონგრეგაციისგან მიიღეს ნებართვა, რომ წირვა-ლოცვა შეესრულებინათ ქართულ ენაზე, მაგრამ იმის გამო, რომ ოსმალები სდევნიდნენ ქართულსაც და ლათინურსაც, წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა სომხურ ენაზე. ამან გამოიწვია ქართველ კათოლიკეთა გასომხების პროცესის დაწყება. ,,კათოლიკურ მრევლს სომეხი კათოლიკენი ხელმძღვანელობდნენ, რაც ქართველ კათოლიკეთა სრულ დაბნევას იწვევდა. რადგანაც შინ ქართულად ლაპარაკობდნენ, აიძულებდნენ, ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს და ცხოვრობდნენ თურქული პოლიტიკის ქვეშ" (ა. ჯაფარიძე 1993, #11). ამ გზით უამრავმა ქართველმა შეძლო ქრიატიანობის შენარჩუნება, მაგრამ დაკარგა ეროვნულობა და გასომხდა. სწორედ ამის გამო, ქართველმა მამულიშვილებმა დაიწყეს კათოლიკური ეკლესიების აგება ინტენსიურად იქ, სადაც ქართველი კათოლიკეები ცხოვრობდნენ[95] (იველაშვილი 2015, 197).

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში კათოლიკური რელიგია, როგორც სხვა რელიგიები იდევნებოდა. დაიხურა კათოლიკური ტაძრები, ჩამოერთვათ საეკლესიო ქონება, შეწყდა რელიგიური რიტუალები. ბოლშევიკების მიერ კათოლიკეთა დევნას, გარდა იდეოლოგიურისა, ჰქონდა წმინდა პოლიტიკური მიზეზიც. ,,რუსეთში კათოლიკეთა ძირითადი ბირთვს, პოლონელები და ლიტველები წარმოადგენდნენ, გასაბჭოების შემდგომ კი ორივე ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და საბჭოთა კავშირის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ არამეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ'' (ბარდაველიძე 2018, 104). კათოლიკეთა დევნა შეწყდა ომის დროს ე.წ. სტალინური ..რელიგიური დათბობის პოლიტიკის" ფარგლებში, თუმცა იმის გამო, რომ

[95] კათოლიკური ეკლესიები იქნა აგებული თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში, სოფ. ვალე, არალი, ხიზაბავრა, უდე და სხვ.

მათი რელიგიური ცენტრი არ მდებარეობდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ამდენად, საბჭოთა ხელისუფლება ვერ ახერხებდა სრული კონტროლის დამყარებას, კათოლიკურ ეკლესიას არ მინიჭებია განსაკუთრებული შეღავათები.

ნ. ბარდაველიძის მიხედვით ,,კათოლიკე მორწმუნე მრევლს, 1985 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე ორი რეგისტრირებული ეკლესია გააჩნდა, მაგრამ სინამდვილეში ფაქტიურად მოქმედი არარეგისტრირებული ეკლესიები, რომლებიც მოსახლეობამ რეპრესიების მიუხედავად შეინარჩუნა, ჩვეულებრივად მოქმედებდნენ და მათში ყოველდღიურად ათეულობით მორწმუნე იკრიბებოდა და ორგანიზებულად ატარებდა ლოცვებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სოფლები არალი (ადიგენის რ-ნი), ვალე, ივლიტა, სხვილისი, წყალთბილი, აბათხევი, ნაოხრები, წინუბანი (ახალციხის რ-ნი), ხიზაბავრა, ვარგავი (ასპინძის რ-ნი), ტურცხი, ხულგუმო, კართიკამი (ახალქალაქის რ-ნი), ეშტია (ბოგდანოვკის რ-ნი)“ (ბარდაველიძე 2016).

XX ს-ის 50-60 -იანი წლების მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა - ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ თანდათანობით შენელდა და 70-იანი წლების დამლევისათვის უკვე ფორმალურ ხასიათს ატარებდა. სამაგიეროდ გაძლიერდა რელიგიისა და ეკლესიის პოზიციები, განსაკუთრებით მიხეილ გორბაჩოვის „პერესტროიკის“ პოლიტიკის (1985) შედეგად (როგავა 2002, 443). ამ პერიოდიდან შესაძლებელი გახდა ურთიერთობის მოგვარება ვატიკანთან, თანდათან განახლდა მღვდელმსახურება კათოლიკურ ტაძრებში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

დღეისთვის სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, ქართველი კათოლიკეები (ქ. ახალციხე, სოფ. უდე, არალი, ვალე, ხიზაბავრა, ივლიტა და სხვ.), სომეხი კათოლიკეები ან გასომხებული ქართველი კათოლიკეები (ახალქალაქის სოფლები: კულიკუმი, კარტიკამი, ტურცხი, ხულგუმო, ბავრა და სხვ), ქართველი მაჰმადიანები (ადიგენის რ-ნი, ასპინძის რაიონის სოფლები: ოთა, ოშორა, რუსთავი, მირაშხანი, ახალქალაქის სოფლები: ოკამი, აფნია, აზმანა, ჩუნჩხა და სხვ.), ე.წ. ,,გრიგორიანელი“ (მონოფიზიტი) სომხები (სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია), ასევე სხვადასხვა რელიგიური სექტისა და კონფესიის

მიმდევრები. რამდენიმე სადავო საკითხის მიუხედავად, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გახდა აქტიური და ძირითადად უკავშირდება საკულტო ნაგებობების კუთვნილებას, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა რწმენის მიმდევართა შორის სერიოზული დაპირისპირება თითქმის არ გვხვდება.

დასკვნა

საუკუნეების მანძილზე საქართველოში მიმდინარე რთული ისტორიული პროცესებისა და ინტენსიური მიგრაციების შედეგად, სამცხე-ჯავახეთი ჩამოყალიბდა როგორც მულტიეთნიკური რეგიონი. საქართველოსთვის დამახასიათებელი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად სწორედ ამ რეგიონში გამოვლინდა.

სამცხე-ჯავახეთის მრავალეთნიკურ რეგიონად ჩამოყალიბება იყო როგორც ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული (ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ.), ასევე ხელოვნურად განხორციელებული მიგრაციების (თურქების, რუსული იმპერიული ხელისუფლებისა და ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ) შედეგი.

მიგრანტთა ნაწილმა ვერ შეძლო შეენარჩუნებინა ეროვნული სპეციფიკა და შეერწყა ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ რიგმა ეთნიკურმა უმცირესობებმა (სომხები, ებრაელები, რუსი სექტანტები) შეძლეს თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობის და ტრადიციების უახლოეს დრომდე მოტანა.

ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფთა მრავალფეროვნების მიუხედავად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქართველები ყოველთვის შეადგენდნენ დიდ უმრავლესობას, თუმცა დროთა განმავლობაში მათი ხვედრითი წილი თანდათან შემცირდა. ქართველთა ხვედრითი წილის შემცირება XIX- XX სს-ში უნდა აიხსნას იმით, რომ გამაჰმადიანებული ქართველებს აღწერების დროს აკუთვნებდნენ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს (თათრები, აზერბაიჯანელები, თურქები).

მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციამ 1944 წ. გაზარდა სომეხთა პროცენტული მაჩვენებელი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. მოსახლეობის რაოდენობის გაზრდისა და ეთნიკური ბალანსის აღდგენის მიზნით სამცხე-ჯავახეთის დაცარიელებულ სოფლებში განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მოსახლეობის იძულებითი გადმოსახლება. მიუხედავად ამისა, ქართველთა პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა ვერ მოხერხდა.

1944-1955 წლებში სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე მიგრაციული პროცესებმა გამოიწვია თვისობრივი ცვლილება მოსახლეობის რაოდენობრივი და ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით. დაცარიელდა მრავალი სოფელი; შემცირდა რეგიონის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში; ასევე მოხდა ქართველთა როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული ხვედრითი წილის შემცირება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ორგანული შერწყმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ხდებოდა მათი კულტურული ავტონომიის შენარჩუნებით, ისე, რომ მათ თავი ეგრძნოთ ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილად. შედეგად მრავალეთნიკური საქართველოში ეთნიკური უმცირესობათა უფლებები ტრადიციულად არ იზღუდებოდა. XIX საუკუნიდან კი, როდესაც საქართველო სახელმწიფოებრიობის დაკარგვის გამო ვეღარ წარმართავდა დამოუკიდებელ ეროვნულ პოლიტიკას, დაიწყო ეთნიკური ჯგუფების ქართველებთან გაუცხოების პროცესი. ისინი თავს აღარ აღიქვამდნენ ქართული სახელმწიფოს ნაწილად, არამედ იყვნენ ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა იმპერიის მოქალაქეები.

საარქივო მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ XX ს-ის 40-60-იან წლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკა ცდებოდა ეთნიკური უმცირესობებისთვის ,,კულტურული ავტონომიით“ გათვალისწინებული უფლებების საზღვრებს და ხდებოდა მკვიდრი ქართული მოსახლეობის უფლებების შეზღუდვა. განსაკუთრებით პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა სომხურ ეთნიკურ ელემენტს. მდგომარეობას ართულებდა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უუნარო, ხშირად მიზანმიმართული შერჩევითი პოლიტიკა. კერძოდ, ქართველი ახალგაზრდებისთვის დასაქმების საკითხის მოუგვარებლობა, ქართული სოფლების სომხურ სასოფლო საბჭოებში გაერთიანება, თანამდებობებზე არაქართველი მოსახლეობის დანიშვნა და სხვ.

მდგომარეობას ვერ ცვლიდა მაჰმადიანი მოსახლეობის იძულებითი მიგრაციის შემდეგ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ქართველების ჩამოსახლება. მათი თანაცხოვრება და რეგიონის არაქართულ მოსახლეობასთან შეგუების პროცესი რთულად მიმდინარეობდა. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა რეგიონში ქართული მოსახლეობის შემცირებას, ზრდიდა დაძაბულობას ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ებრძოდა რელიგიურ კონფესიებს, განსაკუთრებით მართლმადიდებლურ ეკლესიას. რელიგიური კულტების დევნა, რეპრესირება პერიოდულად იცვლებოდა მათთან ურთიერთობის ,,დათბობით“ და კონტროლის მოპოვების მცდელობით. ამ მიზანს ემსახურებოდა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს შექმნა, რომლის საქმიანობასაც საქართველოში წარმართავდა ადგილობრივი რწმუნებული. ცვალებადი პოლიტიკა და განსხვავებული დამოკიდებულება რელიგიური კონფესიების მიმართ აფერხებდა მათ ინტეგრაციას, თანასწორობის განცდას და სამცხე-ჯავახეთის რთულ სასაზღვრო რეგიონში ქმნიდა ეთნო-რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების წარმოქმნის საფუძველს.

გამოყენებული ლიტერატურა

chitadze, n. "Samtskhe-Javakheti as a Potential Flash Point in Georgia: Ethnic-Confessional Composition and Integration Challenges." *Caucasus International Journal*, 2015.: 100-115.

"Грузия - Многонациональное Государство." *Федеральный Союз Европейскых Национальных Меньшеств.* Тбилиси, 4-5.03. 2002.

აბესაძე, ირმა. "ეთნიკურ-დემოგრაფიული ვითარება სამცხე-ჯავახეთში XX ს. 40-50-იან წლებში." *საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია"*, 2024: 06/25/2024.

აბესაძე, ირმა. "რელიგიური თემების მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში (XX ს. 40-60 იანი წლები)." *საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,გულანი"*, 2024: 27.

აბესაძე, ირმა. "საბჭოთა ხელისუფლების ეთნო-ნაციონალური პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთში XX ს. 40-60 იანი წლები (საარქივო მასალების მიხედვით)." *საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ისტორია,არქეოლოგია, ეთნოლოგია"*, 2024: XII.

აბულაძე, ილია (მთავარი რედაქტორი). *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ.* თბილისი, 1966.

ალექსიძე მ., გამცემლიძე დ. *მე ჯავახეთს რა მიშავდა.* თბილისი: მერანი, 1991.

არველაძე, ბონდო. *დავიცვათ ქართული ეკლესიები.* თბილისი, 2014.

არსა . *ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 13, არქივი 704, საქმე 5.* ახალციხე, საქმე 5.

არსა. *ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 13, არქივი 945, საქმე 8.* ახალციხე, საქმე 8.

—. *ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 3, საქმე 424.* ახალციხე, საქმე 424.

—. *ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 3, საქმე 426.* ახალციხე, საქმე 426.

—. *ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 3, საქმე 506, ოქმი #83.* ახალციხე, საქმე 506.

ბარათაშვილი, კლარა. *მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები.* თბილისი, 1997.

ბარდაველიძე, ნუგზარ. *კათოლიკური ეკლესია საქართველოში (მოკლე ქრონოლოგიური ინფორმაცია).* 09 15, 2016 https://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/katolikuri_eklesia_saqartveloshi.html.

—. *საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, უახლესი პერიოდი.* თბილისი, 2018.

ბერიძე, მერაბ. *თბილისელები*, თებერვალი 23, 2015: 64.

—. *ჯავახეთი (ტოპონიმური ანალიზი).* თბილისი, 1992.

ბლუაშვილი, უჩა. "ევროატლანტიკური ორიენტაცია და ქართული იდენტობა." *ახალციხის უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები.* ახალციხე, 2011.

—. "ეროვნულ უმვირესობათა უფლებები და ქართული სახელმწიფოს ინტერესები." *ახალციხის უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები.* ახალციხე, 2012.

—. *მესხეთის სახელოვანი შვილები.* თბილისი, 2008.

—. "სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების მოტივაციის საკითხისთვის." *ახალციხის უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები.* 2013.

დაუშვილი, ალექსანდრე. *საეროვნებათშორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1941 წწ.* თბილისი: მემატიანე, 2000.

ევლია ჩელები. *მოგზაურობის წიგნი.* თბილისი, 1971.

"ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ." ნოემბერი 5, 1992. https://rm.coe.int/1680301f0f;.

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი. თბილისი: ბთკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2008.

ეთნოსები საქართველოში. თბილისი: სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, 2008.

ვახუშტი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსი.* თბილისი, 1973.

ზუმბაძე, ელგუჯა. *სოფელი კლდე, ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი პედაგოგი, პენსიონერი, 72 წ.* (ინტერვიუ, 2018).

ზურაბაშვილი, ლაურა. *ეროვნებათშორისი ურთიერთობების ტრადიციები საქართველოში.* თბილისი: მეცნიერება, 1989.

თეთვაძე, შოთა, and ოთარ თეთვაძე. *სომხები საქართველოში (უძველესი დროიდან დღემდე).* თბილისი: საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემია, 1988.

თოთაძე, ანზორ. *საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი.* თბილისი: სამშობლო, 1993.

იაგორაშვილი, ირაკლი. "საბჭოთა პროპაგანდა ებრაელების წინააღმდეგ." *,,მითების დეტექტორი"'.* 04 23, 2021. https://mythdetector.ge/ka/sabtchotha-propaganda-ebraelebis-tsinaaghmdeg/.

იველაშვილი, თინა. *ეთნიკური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში.* თბილისი: უნივერსალი, 2015.

ინაძე, მერი. *ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები.* თბილისი: არტანუჯი, 2009.

ინგოროყვა, პავლე. *გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა.* თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1954.

კაციტაძე, პაპუნა. *ეთნიკური იდენტობა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები.* თბილისი: ,,უნივერსალი", 2014.

კოალსონი, რობერტ. "სტალინის მემკვიდრეობა: ეროვნული საკითხი, შენელებული მოქმედების ნაღმი." *www.humanrights.ge.* მარტი 21, 2013 http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=16559&lang=geo.

კომახია, მამუკა. *ეთნიკური რუკის ფორმირება საქართველოში.* თბილისი: ბთკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2011.

კოჟორიძე, დავით. *განახლებული მესხეთის ქალაქი (ახალციხის ისტორია).* თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო", 1969.

—. *სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე.* თბილისი, 1975.

"კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება #3/272." *www. matsne.gov.ge.* oqtomberi 28, 2011. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1500168?publication=0.

ლეიაშვილი, პაატა. *ეთნიკონფლიქტები ეკონომიკური თეორიის კონტექსტში.* თბილისი, 2002.

ლომსაძე, შოთა. *მესხები: ახალციხური ქრონიკები.* თბილისი, 1997.

—. *მესხეთი და მესხები.* თბილისი: კავკასიური სახლი, 2000.

—. *სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე).* ახალციხე: ,,ახალციხის უნივერსიტეტი", 2011.

ლორთქიფანიძე, ვაჟა. *ისტორიული მესხეთი: დემოგრაფიული განვითარების პრობლემები.* თბილისი, 1998.

—. *სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. (დემოგრაფიული განვითარების პრობლემები).* თბილისი: მეცნიერება, 1994.

ლორთქიფანიძე, ვაჟა. "სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ისტორიული მიმოხილვა XIX საუკუნემდე." *მაცნე*, 1992: 4.

ლორთქიფანიძე, ვაჟა. "საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XIX საუკუნის II ნახევარში." *ეკონომიკა*, 1993: 2-3.

ლორთქიფანიძე, ოთარ. *რა საიდუმლოს ინახავს ვანი.* 1984.

მაცნე, საქართველოს საკანონმდებლო. "საქართველოს კანონი ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ." *https://matsne.gov.ge/.* ივლისი 27, 2007. https://matsne.gov.ge/ka/document/view/22558?publication=7#!

მელაძე, გიორგი. *საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები.* თბილისი, 2007.

მელიქიშვილი, ლია. *ეთნოგრაფიული ველი: ერთაშორისი ურთიერთობის პრობლემა.* თბილისი, 2010.

—. *კონფლიქტის ანთროპოლოგია (ეთნიკური ასპექტები).* თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2006.

—. *სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში.* თბილისი: მწიგნობარი, 2011.

მელუა, დავით. *ეროვნული უმცირესობანი საქართველოში.* თბილისი, 1996.

მერჩულე, გიორგი. *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება.* 2014.

მესხი, კოტე. *,,ახისკას" თურქები და თურქულ-ქართული ურთიერთობები დღეს.* თებერვალი 11, 2012. https://www.politforumi.com/ka/arch/analizi/akhiskas-turkebi-da-turkul-kartuli-urtiertobebi-dghes?highlight=WyJcdTEwZDBcdTEwZWVcdTEwZDhcdTEwZTFcdTEwZDlcdTEwZDBcdTEwZTEiLCJcdTEwZDdcdTEwZTNcdTEwZTBcdTEwZTVcdTEwZDRcdTEwZDFcdTEwZDgiXQ==.

მეტრეველი, ეკატერინე. *ჯავახეთი - მთავარი ტენდენციების მიმოხილვა.* საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, GFSIS, 2013.

მიგრაციის სტატისტიკა (საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების კვლევის ანგარიში). თბილისი, 2002.

ნათმელაძე, მაყვალა. *დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში (თურქებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების გასახლებანი საქართველოდან 1941-1951).* თბილისი: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2002.

ნოზაძე, ვიქტორ. *საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო.* თბილისი, 1989.

პავლიაშვილი, ქეთევან. *საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში.* თბილისი, 2008.

ჟამთააღმწერელი. *ასწლოვანი მატიანე.* თბილისი, 2009.

როგავა, გივი. *რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX ს.ს.).* თბილისი, 2002.

საბჭოთა საქართველოს 40 წელი: სტატისტიკური კრებული. თბილისი, 1961.

საბჭოთა საქართველოს 50 წელი: სტატისტიკური კრებული. თბილისი, 1971.

სანებლიძე, ნანა. *რელიგიური უმცირესობების კულტურული მეკვიდრეობის მდგომარეობა საქართველოში.* 2016. http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/religiur%20umciresobata%20kulturuli%20memkvidreoba-geo.pdf.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები: რვა ტომად: ტომი II. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.

საქართველოს მოსახლეობა: სტატისტიკური კრებული. თბილისი, 1998.

სუიცა. *საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტარლური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1.* თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული, საქმე 12.

—. *საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტარლური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1.* თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული, საქმე 122.

—. *საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1.* თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული, საქმე 12: 3-5, ჩანაწერი 32.

—. *საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1.* თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული, საქმე 25.

—. *საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1.* თბილისი: რელიგიური კულტების აქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული, საქმე 8:2.

—. *საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1.* თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული, საქმე 22.

—. *საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1.* თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული, საქმე 23.

—. *საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1.* თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული, საქმე 30:1.

—. *საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1.* თბილისი: რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებული, საქმე 64, ოქმი #8.

ფანჯიკიძე, თეიმურაზ. *რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე.* თბილისი: ,,ლეგა'', 2003.

ფრონელი, ალექსანდრე. *დიდებული მესხეთი.* 1991.

ფუტკარაძე, თამაზ. *ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში.* ბათუმი, 1998.

ფუტკარაძე, ტარიელ. *ქართველოლოგიის შესავალი.* თბილისი, 2014.

ქართველიშვილი, მიხეილ. *საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში.* თბილისი, 2022.

ქართლის ცხოვრება, ტ.1. თბილისი, 1955.

ქიმაძე, გოჩა. *ქართული სახელმწიფოებრიობა და ,,თურქი მესხების'' პრობლემა.* ინტელექტი, 2004.

შარდენი. *მოგზაურობა საქართველოში.* თბილისი, 2014.

შსსა. *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 29.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალციხის რაიონული კომიტეტი, საქმე 36.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 20.* თბილისი: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი (1921-1991), საქმე 175.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 22.* თბილისი: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი (1921-19910, საქმე 310.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 46, აღწერა 19.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალქალაქის რაიონული კომიტეტი, საქმე 170.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 46, აღწერა 24.* თბილისი: საქართველოს კ.პ. (ბ)ახალქალაქის რაიონული კომიტეტი, საქმე 13, ოქმი #23.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 46, აღწერა 3.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალქალაქის რაიონული კომიტეტი, საქმე 170.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 46, აღწერა 3.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალქალაქის რაიონული კომიტეტი, საქმე 170.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 46, აღწერა 3, ოქმი #182.* თბილისი: საქართველოს კ.პ. (ბ) ახალქალაქის რაიონული კომიტეტი, საქმე 129.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 46, აღწერა 3, ოქმი #185.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალქალაქის რაიონული კომიტეტი, საქმე 129.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 46, აღწერა 3, ოქმი #93-ის დანართი.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალქალაქის რაიონული კომიტეტი, საქმე 129.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 11.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალციხის რაიონული კომიტეტი, საქმე 6.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 13.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალციხის რაიონული კომიტეტი, საქმე 8.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 13.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალციხის რაიონული კომიტეტი, საქმე 8, ოქმი #53.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 267, ოქმი #12, დადგენილება 27.* თბილისი: საქართველოს კ.პ. (ბ) ახალციხის რაიონული კომიტეტი, საქმე 16.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 27, ოქმი #9.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალციხის რაიონული კომიტეტი, საქმე 14.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 29.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალციხის რაიონული კომიტეტი, საქმე 27.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 29.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალციხის რაიონული კომიტეტი, საქმე 16.

—. *შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 47, აღწერა 7, პლენუმის მასალები.* თბილისი: საქართველოს კ.პ.(ბ) ახალციხის რაიონული კომიტეტი, საქმე 221.

"ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ." *www,matsne.gov.ge.* თებერვალი 1, 1995. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0.

ჩელები, ევლია. *მოგზაურობის წიგნი.* თბილისი, 1971.

წულაძე, გიორგი. *დემოგრაფიული ვითარება საქართველოში (1950-2050).* თბილისი, 2013.

ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, ჯანაშია. *საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე).* თბილისი: საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1943.

ჯავახიშვილი, ივანე. *საქართველოს საზღვრები, ისტორიული რარიტეტები.* თბილისი, 1989.

—. *ქართველი ერის ისტორია, ხუთ ტომად, ტ. I.* 2012.

ჯალაღონია, ნატალია. *საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტო The Tbilisi Time.* დეკემბერი 18, 2024. https://www.ttimes.ge/archives/60676.

ჯაოშვილი, ვახტანგ. *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX სს-ში.* თბილისი, 1984.

ჯაფარიძე, ანანია. "ქადაგებანი, წერილები-,,ქართველთა არმენიზაცია"." *გაზეთი ,,მადლი''*, 1993, #11.

ჯაფარიძე, ოთარ. *საქართველოს არქეოლოგია.* თბილისი, 1991.

ელექტრონული რესურსები:

1. http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/religiur%20umciresobata%20kulturuli%20memkvidreoba-geo.pdf
2. http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=16559&lang=geo
3. https://mythdetector.ge/ka/sabtchotha-propaganda-ebraelebis-tsinaaghmdeg/
4. https://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/katolikuri_eklesia_saqartveloshi.html
5. https://www.politforumi.com/ka/arch/analizi/akhiskas-turkebi-da-turkul-kartuli-urtiertobebi-dghes?highlight=WyJcdTEwZDBcdTEwZWVcdTEwZDhcdTEwZTFcdTEwZDlcdTEwZDBcdTEwZTEiLCJcdTEwZDdcdTEwZTNcdTEwZTBcdTEwZTVcdTEwZDRcdTEwZDFcdTEwZDgiXQ
6. https://www.academia.edu/35919438/Nika_Chitadze_Samtskhe_Javakheti_as_A_Potential_Flash_Point_in_Georgia_Ethnic_Confessional_Composition_and_Integration_Challenges_?rhid=29434756891&swp=rr-rw-wc-53392917
7. http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE

8. https://rm.coe.int/1680301f0f

9. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1500168?publication=0

10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0

11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/22558?publication=7#!

12. https://www.ttimes.ge/archives/60676